პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 81 კვირა, 2 იანვარი 1927 წ. № 81



ახალი წელი (ძველ წელს): ბევრი ზიანი მიაყენე ჩვენს რკინის გზას, კიდევ კარგი, რომ მოგიშორეთ, ახლა ჩემს საიმედო ხელშია მანქანის რული.

# 1927

1. **ძველი წელი** თეთრწვერა, წელში მოხრილი მოხუცი.
2. **პროტექცია** მდიდრულად ჩაცმული ბანოვანი.
3. **გამფლანგველი** 35 წლის ინტელიგენტი.
4. **მოდა** ახალგაზრდა ასული. აცვია მოკლე და გამქვირვალე კაბა... შიშველი მკლავები. წითლად შეღებილი ტუჩები.
5. **ხულიგანი** 25 წლის ახალგაზრდა.
6. **ბიურო კრატიძე** 40—45 წლ. „საქმის-კაცი".
7. **ახალი წელი** მშვენიერი ჭაბუკი.

**სცენა**: ბუხართან ზის ძველი წელი და ყალიონს ზბოლებს; მის ახლოს არიან: გამფლანგველი, პროტექცია, ხულიგანი, მოდა და ბიურო კრატიძე. ხულიგანი ფანჯარაში იცქირება და იღრიჭება; ხელები ჯიბეში აქვს.

## გამოსვლა პირველი

**ძველი წელი** (ამოიოხრებს): ოცი წუთი-ღა უკლია ახალი წლის მოსვლას. უკვე ვგრძნობ მის მოახლოვებას; თითქოს მისი ფეხის-ხმაც მესმის... ყველანი ხომ მზად ხართ?

**გამფლანგველი**: მის შესახვედრად?

**ძველი წელი**: ჩემთან წამოსასვლელად.

**გამფლანგველი**: სად უნდა წამოვიდეთ?

**ძველი წელი**: განა არ იცით, რომ ახალი წელი თქვენ ხრ მიგიღებს?

**პროტექცია**: მე კარგად ვიყო და, სიცოცხლე მაქვს, უარს ვერაფერზე მეტყვის (**იგრიხება**).

**ხულიგანი**: (**თავისთვის ჩაიხითხითებს**) ხი-ხი-ხი-ხი... მაგრამ, ქალბატონო, ამ ბოლო დროს ცოტათი შემოგწყენ.

**პროტექცია**: შემომწყენ, თორემ ისეთივე პატივისცემა და მიღება არა მაქვს, როგორიც მქონდა, ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. ის, ვინც ჩემი წინააღმდეგია სიტყვით,—საქმით ჩემსკენ არის და ბოდიშს ასე იხდის ჩემს წინაშე:

— უკაცრავად, ქალბატონო პროტექცია, მართალია: ჩვენ თქვენი საწინააღმდეგო სიტყვა ვსთქვით, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, სხვებს ფვალი ავუხვიო, და ახვეულ თვალებით, მოგეხსენებათ, თქვენს ჩემთან მოსვლას ვერ დაინახავენ.

უჩემოდ ვერც ერთი ვაჟი თუ ქალი ვერ მოეწყობა სამსახურში. ჩემის წყალობით შოფერს ინჟინერად მიიღებენ, ხოლო დახელოვნებულ მომუშავეს მოხსნიან და მის ალაგას მიიღებ ჩემს კანდიდატს, რომელსაც, შეიძლება, ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდეს იმ საქმისა, რომელსაც მას ჩააბარებენ.

**მოდა**: მეც თავი ქუდში მაქვს. მე ყველასათვის და ყოველთვის საჭირო ვარ. ახალი წელი სიამოვნებით მიმიღებს. აი ეს მოკლე და გამჭვირვალე სამოსელი, აი ეს ბლისფრად შეღებილი ჩემი ტუჩები და შავად შეღებილ წამწამებიდან ჩემი თვალთა ეშმაკური გამოხედვა ჭაბუკს—ახალ წელს კი არა, მგონი ამ ბებრუხანა—ძველ წელსაც აუტოკებს გულს.

**ბიურო კრატიძე: მართალია**: ძველი არაფერი მოსწონთ, მაგრამ მე მაინც რა მიშავს; გამოცდილება, ცოდნა, სპეცობა,—აი ჩემი ფარი. რას გამიბედავს? უჩემოდ საშველი არა აქვს... მე მისთვის საჭირო კაცი ვარ... და რაკი ასეა, ვერ მომიშორებს... აი, ამათ რა ეშველებათ! (**გადახედავს გამფლანგველს და ხულიგანს**).

**ხულიგანი**: რა მეშველი და აი!—(**უჩვენებს ორივე ხელების მუშტებს**) ისე მაგრად ავაფარო პატრეტში, რომა საიდანაც გამომძვრალა, იქ შევაძვრინო. დედიმისის შვილია და უარი უთქვამს ჩემს მიღებაზე; გადავკრავ ერთ კვარტ ღვინოს, და მერე გამიბედოს რამე... ყველას, ყველას გვეშველება, მაგრამ ამ სალაროს ვირთხას რაღა ეშველება? ხი-ხი-ხი-ხი... (**მუჯლუგუნს ჰკრავს გამფლანგველს**).

**პროტექცია: (ხულიგანს) თოტექცთქპრნიასახა**

**პროტექცია: (ხულიგანს)** თუ ყველა ჩვენ საჭირო ვართ და დავრჩებით, ესეც დარჩება. ესეც ჩვენი წრის და ჯურის არის. მე მას დავიცავ; მე მას კარგ პროტექციას გავუკეთებ ახალ წელთან.

**ძველი წელი**: კარგი... გეყოფათ. ჩემს დროს ყველას შესაფერი ადგილი გქონდათ... მაგრამ უკვე ახლოვდება ახალი წელი და იგი ჩემთან ერთად თქვენც მიგაბრძანებს.

**ყველანი**: ხელსაც ვერ გვახლებს.

**პროტექცია**: საუკუნოებით მოპოვებულ უფლებას, ჩვენ ვერავინ ვერ წაგვართმევს... მას არა აქვს ამის უფლება.

**ძველი წელი**: აჰა, კარზე კაკუნი ისმის,—ალბად ახალი წელია... მოემზადეთ...

## გამოსვლა მეორე

**ახალი წელი: (რიხით შემოვა)** ო, რა საშინელი ატმოსფერაა!? აქ როგორ უნდა გავსძლო ერთი წელი, თუ ამებიდან არ გაიწმინდა აქაურობა?

**ძველი წელი**: სალამის ნაცვლად პირველი სიტყვა მუქარა იყო.

**ახალი წელი**: თუ კი გეწყინა, გზას დაგილოცავ: აიკარ შენი ბარგი და ამ შენი ამქრებით გზა მშვიდობისა.

**ბიურო კრატიძე: (გაბრაზებული)** თქვენ, ყმაწვილო, ვილაცა ხართ კარებზე ვერ წაიკითხეთ: „დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია"-ო?!

**ახალი წელი**: თქვენ ვინ ბრძანდებით?

**ბიურო კრატიძე**: ბიურო კრატიძე.

**ახალი წელი**: გეტყობათ. (**გამფლანგველს**) თქვენ?

**გამფლანგველი**: გამფლანგველი გახლავარ... დიახ! აი ის, სახაზინო ფულებს ჩუმად რომ ვაძრობ სალაროდან და... მოგეხსენებათ გაზეთებს დიდ დახმარებას ვუწევთ იმით, რომ ჩვენი ამბები ყოველდღე ეფინება საზოგადოებას... იმედია, ადგილი მექნება თქვენს დროსაც, რადგან სასამართლო უმთავრესად ჩვენი საქმეებით არის დატვირთული და დიდი მუშაობა აქვს... ეს, რასაკვირველია, უმუშევრობას ამცირებს, და, რასაკვირველია, თქვენც მიიღებთ ამ გარემოებას მხედველობაში.

**მოდა (მიხით წამოიძახებს)**: მე კი მოდა გახლავარ.

**ახალი წელი**: ჰმ! ეს ვისი მატრაკვეცაა.

**ხულიგანი: (დაინახავს, რომ ახალ წელს გაეცინა და თვითონაც ჩაიხვიხვინებს)** ხი-ხი-ხი-ხი... იგი შემ (**მოდას**) ჩაგიცვამს ლეჩაქის კაბა; შიგ ისე მოსჩანს შენი ტანი, როგორც სუფთა კვარტში კახური, ასე ჰგონია კაცს, თითქოს ეს არის ლოგინიდან ამდგარაო... უუჰ! შენი ჭირიმე, შენ გამაგიჟე... ვაჰ! რამდენჯერ გამითევია კომისარიატში ღამე როცა „ზადევანიე" მიქნია შენთვის... ხი-ხი-ხი-ხი... ერთი ეხლაც ჩაგიკრა ლაზათიანად! (**ხელს მოხვევს**).

**ახალი წელი: (ხულიგანს)** შესდექ.

**ხულიგანი (ახალ წელს. მუშტებს მკერდებზე შემოიდებს)**: რაშია ყმაწვილო საქმე? მოსვლისთანავე ჩხუბის და აყალ-მაყალის თავზე ხარ? ამ ოხერთან (**მოდაზე უჩვენებს**) რამდენჯერ მიქეიფია ორთაჭალის ბაღებში; რამდენი ღამე ერთად გაგვიტარებია... და შენ კი ვიღაცა საიდღანაც მოსულხართ და მოსვლისთანავე მოდას იცავ?! ფრთხილად: ჯინკს თავი არ შეჰკრა!

**ახალი წელი**: ვინა ხარ შენ, რომ ასეთ უწესოებას სჩადიხარ?

**ხულიგანი**: დედიშენის ქმარი,

**ახალი წელი**: რაო?

**ხულიგანი**: რვაო კი არა ცხრაო! ფრთხილად იყავი, თორემ ისეთი მასაჟი გაგიკეთო, რომ ძვალი რბილად, გადაგიქციო. ხომ ხედავ იმ ბებერს (**უჩვენებს ძველ წელზე**), ყოველ ცისმარა დღეს ისე ვსცემდი, რომ ლოგინიდან ძლივს-ღა დგებოდა მეორე დღეს...

**ახალი წელი:** (ძველს) ვინ არის ეს გიჟი?

**ძველი წელი:** მაგან დამჩაგრა და ჩამიშხამა სიცოცხლე, თორემ არც ასე დამეტყობოდა მოხუცება.

**ახალი წელი:** რად აძლევდი ნებას, რომ...

**ხულიგანი:** ხე-ხე-ხე-ხე... მაგას ვინ ჰკითხავდა?!

**ახალი წელი:** ეხლავე გაეთრიე აქედან. **(ხელს კიდებს)**

**ხულიგანი:** **(ეწინააღმდეგება)** არ წავალ...

**პროტექცია:** **(შუაში ჩამოდგება)** შესდექით ორივემ...

**ახალი წელი:** **(პროტექციას)** თქვენ ვინა ხართ, რომ ხელს მიშლით საქმის გაკეთების დროს?

**პროტექცია:** დამშვიდდით, ჩემო კარგო; მე გახლავარ ქალბატონი პროტექცია, რომელსაც ძალიან კარგად მიცნობს აი ეს მოხუცი **(უჩვენებს ძველ წელზე)**. მე და ამ მოხუცს შორის მუდამ მეგობრული და... და... **(იცინის)** და რომ... მცხვენია... რომანტიული კავშირიც იყო... დიახ! დიახ!.. მე და ყველა ჩვენ, ვინაც აქა ვართ, გარდა იმ საიქიოს მიმავალ მოხუცისა, მოგესალმებით თქვენ და მზად ვართ განვაგრძოთ ჩვენი ვალდებულება და გემსახუროთ თქვენც. კერძოდ მე სურვილი მაქვს ისეთივე მეგობრულ და რომანტიულ კავშირში დავრჩე თქვენთან, როგორშიაც ვიყავი იმ მოხუცთან...

**ახალი წელი:** კმარა თქვენი ლაყბობა... უკვე დაჰკრავს საათი თორმეტჯერ... აჰა, ხომ გესმით მორომელთა სიმღერა:

გასწი, გასწი, ძველო წელო,
გასწი, გაგვეცალე...
ახალ წელსა ვეგებებით,
მას კი ვენაცვალეთ.
გასწი, გასწი ძველო წელო,
გაგვეცალე მალე.
ამ ცხოვრების გარდაქმნასა
შეუდგებით ხვალე.

**(ახალი წელი ამ სიმღერის დროს კარებს გააღებს და ამათს უჩვენებს გასვლას... კუდ-ამოძუებულნი და ყურჩამოყრილნი მიდიან).**

**პ. ობოლი.**

# კოშმარი



მღვდელი: საშინელი სიზმარი. ვნახე მე-15-ე გვერდზე! გადაშალე ეს გვერდი და ნახავ, რომ თითქოს:

(იხილე მე-15-ე გვერდი).

# „მოტივი"

ძველი და ახალი სტილის ბრძოლაზე „ტარტაროზი"-ს ამ ნომერში არას ვიტყვი, თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს და ალბად როდისმე ამაზეც ვილაპარაკებ.

მაგრამ რაღა გადავდო; მოდი ბარემ დღეს ვიტყვი.

ეს კაცები ხუთჯერ ირთავენ ცოლს და ხუთჯერვე არღვევენ შემდეგ ოჯახს. ერთდებიან, იყრებიან, კვლავ ერთდებიან და კვლავ იყრებიან... და მე თუ ერთხელ სიტყვა დავარღვიე, რა მოხდა ასეთი?!

ჰო და, მოდი დავარღვევ ამ ერთხელ სიტყვას და ძველი და ახალი სტილის შესახებ ვიტყვი რაც მაქვს სათქმელი ბარემ, თუმცა... დიდი დანაშაული იქნება ჩემ მიერ მკითხველისადმი მიცემული სიტყვა მევე დავარღვიო. ამიტომ, უკაცრავად, მაგრამ ძველზე და არც ახალ სტილზე არაფერს ვამბობ.

ეს უკვე გადავწყვიტე, ასე რომ ბევრს ნურავინ მთხოვს... თუმცა. კაცმა რომ იანგარიშოს, რატომ არ უნდა ვსთქვა?! ტარტაროზს ხომ შევპირდი უსათუოდ ვიტყვი მეთქი? მართალია, მერე წამომცდა, რომ არას ვიტყვი მეთქი, მაგრამ ტარტაროზს ხათრი როგორ გავუტეხო? მართალია, მე პროტექციის წინააღმდეგი ვარ, მარა, რომ გაჭირდეს საქმე, ტარტაროზი ძალიან საჭირო და გამოსადეგი კაცია. ამ მოსაზრებით რომ სიტყვა დავარღვიო, რა იქნება?

უკაცრავად, სანამ პირდაპირ საგანზე გადავიდოდე, ორიოდე სიტყვა წინასწარ. მე იმდენად ძველსა და ახალ სტილის ისტორიულ მნიშვნელობაზე არ ვილაპარაკებ, რამდენაც იმ საშუალებაზე, თუ როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ახალი წლის შეხვედრას. აი ეს საშუალებაც:

**ჩემი ცოლისა და ჩემი „ტკბილი ხაუბარი" ახალ წელიწადის წინა დღეებში:**

**ის:** ახალი წელი რომ ახლოვდება იცი?

**მე:** რომელი ახალი წელი? ძველით თუ ახალი სტილით?

**ის:** ახალი სტილით.

**მე:** ვიცი.

**ის:** მერე?

**მე:** მერე რა?

**ის:** ახალი წელი რომ ახლოვდება იცი?

**მე:** რომელი? ახალი სტილით?

**ის:** ჰო, ახალი სტილით.

**მე:** მერე რა?

**ის:** რა და შენი თავის გახეთქა!

**მე:** მერე?

**ის:** მზადება რომ გვინდა არ იცი?!

**მე:** მერე?

**ის:** რას შვრები? თავს არ იტკივებ?

**მე:** არა.

**ის:** დაგიდგა თვალები, შენ არაფრის არ გრცხვენია: არც მტრის, არც მოყვრის. მაშ სტუმრებს რას უშვრები?

**მე:** რომელ სტუმრებს?

**ის:** არა, არ შემიძლია შენთან ცხოვრება.

**მე:** განცხადებას გავაკრავ კარებზე!

**ის:** რანაირ განცხადებას?

**მე:** **„ახალ წელს ვდღესასწაულობ ძველი სტილით".**

**ის:** სირცხვილია!

**მე:** რატომ? უარს ხომ არ ვამბობ; ვდღესასწაულობ, მაგრამ ძველი სტილით. ჩემი ნება არ არის?!

პირველ იანვარს (ახალი სტილით) ჩემს კარებზე მუდამ ასეთი განცხადებაა:

**რადგანაც ახალ წელს ძველი სტილით ვდღესასწაულობ, ვიზიტებით თავს ნურავინ იწუხებს.**

თოთხმეტ იანვარს (ე. ი. ძველი სტილით ახალ წელს) დაახლოვებით იგივე შინაარსის მუსაიფია ჩემსა და ჩემ ცოლს შორის. ხოლო ჩემს კარებზე შემდეგი განცხადებაა:

**ვინაიდან პროგრესიული ადამიანი გახლავართ, ახალი წელი ახალი სტილით გადავიხადე. ძველი სტილით არ ვდღესასწაულობ. გთხოვთ ვიზიტებით თავს ნურავინ შეიწუხებთ.**

**გოგიელა ტუკიანი.**

# იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა



**ძველი წელი** (ტარტაროზს): სავსე არის ეს ხურჯინი, და სხვა ველარ მოთავსდება;
ძლივს მივათრევ... მათი თრევით მოხუცებულს წელი მწყდება.
შიგ არიან: პროტექცია, ჩინოვნიკი, ხულიგანი,
გამფლანგველი, რომელმაც რომ მრავალ ფულებს უქნა „განი"..
და მეყოფა... სხვებს ვზიდავ, მოხუცებულს წელი მწყდება.

**ტარტაროზი** (ძველ წელს): ბარემ ესეც წაიყვანე, შიგ როგორმე მოთავსდება, —
ბიუროკრატიზმი არის; ჩვენთვის არის ბარგი დიდი.
ამას მაინც არ მიიღებს **ათას ცხრაას ოცდაშვიდი.**

# „მსგავსება“

„ჩვენი კლუბები დაემსგავსენ ეკლესიებს. (გაზეთებიდან).



საახალწლოთ ვანოს დედა ესტუმრა სოფლიდან.

— შვილო, მართალია, თქვენი რჯული კომუნისტებს გიკრძალავს ეკლესიაში სიარულს და ღმერთის თაყვანისცემას, მაგრამ მე მაინც წამიყვანე ამ ახალ წელს რომელიმე ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენად!—უთხრა ახალ წელს დილით დედამ ვანოს.

ვანომ აუსრულა დედას სურვილი. როცა ეკლესიის ეზოში ჩავიდენ, დედამ იცნო, რომ ამ ეკლესიაში იგი მენშევიკების დროს, როცა ვანო ციხეში იჯდა, ღმერთს მის მალე განთავისუფლებას სთხოვდა... ღმერთმა მართლაც აუსრულა: მოხდა საქართველოს გასაბჭოება და ვანოც განთავისუფლდა. ჰო-და, როცა ეს მოაგონდა, შვილს უთხრა:

— შვილო, აი ამ ეკლესიის ძალამ გაგანთავისუფლა შენ, მარა თუკი თქვენი რჯული გიკრძალავს ეკლესიაში სიარულს, ნუ შემოხვალ; კაცს მტერი არ დაელევა, დაგასმენენ და სამსახურიდან დაგითხოვენ.

— არა დედა, ნუ გეშინია. მეც შენთან შემოვალ „ეკლესიაში“: ტყვილა გგონია, რომ ჩვენ ურწმუნონი ვართ. ასეთ „ეკლესიებში“ ჩვენ ყოველ სალამოობით დავდივართ!

— კარგია, შვილო, კარგი! ღმერთი და ეკლესია უნდა გრწამდეს, თორემ იხე ხეირს ვერ იზამ...

„ეკლესიაში“ შევიდენ.

პირველ დანახვაზე დედას ეუცხოვა, მაგრამ გაიფიქრა: კომუნისტები ყველაფერს აკეთებენ და ამშვენიერებნ; ალბათ, ამ ეკლესიასაც „რემონტი“ უქნეს და უფრო გაამშვენიერეს. და თაყვანისცემას აპირებდა, რომ ვანოს სიცილი წასკდა და დედა შეაჩერა.

— დედა, ეს ეკლესია კი არ არის... ეს არის ყოფილი ეკლესია, რომელიც კლუბად გადავაკეთეთ.

— რა ვიცი, შვილო, რა... მთლად ეკლესიას კი ჰგავს. ესენი მე წვერმოპარსული ხატები და წმინდანები მეგონა...

ისელი.

# თეატრალური ანკეტა

## ჩვენი თანამშრომლის ინტერვიუ ხელოვნების ქურუმებთან



**ფალიაშვილი**:—მე ძლიერ მომწონს „მურმანის“ „არია“, მაგრამ არაფერი მოსაწონია, თუ საოპერო საქმე ახალ წელშიაც ვინმემ არია!
ჩემის აზრით:—ძირს კვარტეტი, გაუმარჯოს ანსამბლს!
თუ იძახით „ბისს!“—„აბესალომ და ეთერი“ ახალ წელშიაც ბევრჯერ განმეორდება!



**ქუმსიაშვილი**: — ლირიკული ტენორი კარგია, მაგრამ საწუნარი—არც დრამატიული ტენორია! ყოველ შემთხვევაში, ზედმეტად დრამატიულია, თუ ხმა გაქვს და თამაში არა! ვისურვებ, ახალ წელს ასეთი დრამატიული წუთები იშვიათად ჰქონოდეს მეცა და საოპერო თეატრსაც.



**მარჯანიშვილი**; — ახალი წლისათვის—ახალი სათეატრო ორიენტაცია! აი, ჩემი სურვილები. თუ დეკორაციები იცვლება, რატო ორიენტაციები არ უნდა იცვლებოდეს? მაშინ იყო „დურუჯი“, დღესაა — „სამანიშვილის დედინაცვალი“! მერე რა მოხდა ყმაწვილო? არაფერი: იტალიანური სკოლა იმერულმა შესცვალა მხოლოდ!



**ახმეტელი**: — მოქალაქენო! ზაგმუკი — ბაბილონური სიტყვაა და ქართულად იგი ჩაფლავებას ნიშნავს. მართალია „ლისაბონის ტყვეები“ არა ვართ, სცენაზე თავი თავისუფლად გვიჭირავს, მაგრამ ჩვენი სცენა არც „დეზერტიკაა“, რომ აქ ყველაფერი იაფად საღდებოდეს. ახალი წლისათვის ჩემი სურვილია: — გვაშოროს ღმერთმა მალშტრებისებური ზემთახვეა და შეულებავი ტუჩებით დავსწაფებოდეთ დაუმშრალ დურუჯს!



**ნ. გოცირიძე**:—ხალხოთმა, რომ ჩემი დეზერტიროდა ჯამაათნო! იცოდეს ღმერთის ბრალი არაა, თუ „დეზერტირკაში“ კარგად ვთამაშობ. კაცო, „აბალაყენია“ მყანდაო და ქვეყანა შტეინსთან გარბისვა, მე რაღა დავაშავე, თუ დუროუჯთად მივედი:—ჰამ, ქართული მდინარეცაა და არც ახრჩობს.

— ყოველ შემთხვევაში, ძმეოჯან, მოდი ახ ახალი წლისათვის ერთხელ კიდევ გაუმარჯოს იმ ქორს, რომელიცა, რომა ორი მტრედ შუა იჯდეს: ერთსაც ჰკორტნიდეს და მეორესაც!



**გ. რობაქიძე**:—რომ არ ვიცოდე „ჰამლეტი“ რომ შექსპირმა დასწერა, მე იგი ჩემი მეგონებოდა—ისე სგავს იგი ჩემს „ლამარს“. გარდა ამისა: — რა საჭიროა წერტილი, ან მძიმე? მართალია, ჩემი პიესები აკადემიური თეატრის ბიუჯეტს და „გოსსუდატს“ საკმაოდ ამძიმებს, მაგრამ წერტილს ნუ დავსვამთ: —დაე, მომავალი წლისათვისაც იმრავლოს თუ მაყურებლებმა არა, ჩემმა პიესებმა მაინც!



**ნ. ვაჩნაძე**:
რა ვუყოთ—პოეტურად გამიტაცა ამერიკულმა „უსპეხმა“. ვისურვებ, ჩემ სამშობლოში მაინც მღირსებოდეს პიკფორდობა!

„ნეტავი რამედ მაქცია—
პიკფორდათ გარდამაქცია;
მაშინ ხომ მაღლა აიწევს
ჩემი ტალანტის აქცია“.



**ა. წუწუნავა**:— მოწყალენო ხელმწიფენო! ჩემი სურვილია ახალ წელს მაინც გამოერკვიოსთ:—„ვინაა დამნაშავე“, რომ მე „ხანუმა“ ჩავაფლავე!

# „თავო ჩემო“



თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...
გამითეთრა მწუხარებამ წვერია...
სასიკვდილოთ ყელი მომილერია,
რადგან ვიცი: ყველა ჩემი მტერია...
არ მშორდება სივალალე, ჭირია,—
და ამიტომც არ ვიცინი ვსტირია...
უწინ მქონდა მე საკურთხი ხშირია,—
დღეს კი ყველამ თვალში ჩამკრა ჩხირია...

თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...
ფოფოდიაც გახდა ჩემი მტერია;
ეხლა სხვისკენ ყელი მოუღერია;
მეუბნება: „მოვკვდი ბარემ... ჯერია“...
არ მშორდება სივალალე, ჭირია...
ვხედავ: ხალხი ყველგან გადაირია...
დარდისაგან ჩამოვუშვი ცხვირია...
არასოდეს არ ვიცინი, ვსტირია...

ჭინჭარი

## პერესტიანის ს

კინო-სცენარი 6 ნაწილად



### ნაწილი 1

1. „წითელი ეშმაკუნების" შემდეგ პერესტიანს ეშმაკები შეუჯდენ და არ ასვენებენ.

2. ეშმაკების თავიდან ასაცილებლად პერესტიანმა ყველა ეკლესიები მოიარა, პარაკლისიც გადაიხადა, მაგრამ განახლებული ეკლესიის ძალა ეშმაკებს აღარ აშინებდათ და არ შორდებოდენ პერესტიანს.

3. როცა აღარც შელოცვამ უშველა, ბედის გასაგებათ მივიდა მკითხავთან.

4. მკითხავმა ყველაფერი არ გაუმხილა, მაგრამ რაც უთხრა, იმანაც გული დაუკოდა პერესტიანს. გამოვიდა თუ არა მკითხავისგან, ნაღვლიანათ ჩააქნია ხელი და ჩაიბურტყუნა:

„წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,
„ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
„უნდა ვჭამოთ სახკინმრეწვი,
„ამის მეტი რა შეგვრჩება!

### ნაწილი 2

1. დილმელოვი ალექსანდროვის ბაღში სდგას და სურათებს იღებს სწრაფად გადამღებ აპარატით.

2. ლიუქსი, ჟოზეფი და ესიკოვსკი ოჯახურ საუზმეს მიირთმევენ და დარდობენ იმაზე,—რატომ ეხლაც არ არიან მათი ბაბუები, ბებიები და საერთოდ ყველა წინაპრები, რომ მათაც შეეძლოთ სურათში მონაწილეობის მიღება.

#### დიაფრაგმა

3. პერესტიანი პიეროს ტანთსაცმელში სახკინმრეწვის წინ სდგას და გიტარაზე ამღერებს.

4. სიმღერის და საერთოდ მუსიკის დიდმა მოყვარულმა გერმანე გოგიტიძემ ის-ის იყო მეთორმეტე ფინჯანი ყავა მიირთვა და მეოცე „სლოიკა" შეჭამა, როდესაც სიმღერა გაიგონა. ველარ მოითმინა და ფანჯარაში გადმოიხედა ვნებიანი თვალებით.

5. პერესტიანს გოგიტიძე მოეჩვენება კოლომბინათ, გადაეხვევა და უმღერის:

„შენ ვარდი ხარ, მე ბულბული.
„შენთვის კვდება ჩემი გული".

### ნაწილი 3

1. პერესტიანს ლოგინში სძინავს, სიცხე აქვს და ბოდავს. ხედავს სიზმარს, რომელიც კოშმარად გადაექცევა.

#### სიზმარი:

ერევნის მოედანზე მეხუთე ნომერ ტრამვაიდან გადმოხტა მახნო.

მილიციის უფროსმა ხმალაძემ დაინახა მახნო, შეშინდა, ჩაჯდა ავტომობილში და თბილისის ყველა ქუჩები მოიარა ავტომობილით. ამის გამო მიწას ისეთი ზანზარი გაჰქონდა, რომ თბილისის ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა 100 კილომეტრის გარშემო ძლიერი მიწისძვრა აღნიშნეს.

ჟოზეფი, ლიუქსი, ბენ-სალი და ესიკოვსკი მახნოს გამოეკიდენ.

მახნო გაჯავრდა და დილმელოვს აპარატი დაუმტვრია.

ჟოზეფმა, ლიუქსმა, ბენ-სალიმ და ესიკოვსკიმ დაიჭირეს მახნო,

# აფლავი

სახუმარო იმპროვიზაცია „სავურ-საფლავის" თემაზე



შემდეგ მახნომ დაიჭირა ყეზეფი, ლიუქსი, ბენ-სალი და ესიკოვსკი.

დასასრულ ყველანი გოგიტიძემ დაიჭირა და სახკინმრეწვის სალაროში ჩაკეტა.

2. სიზმარი-კოშმარი გათავდა, მაგრამ პერესტიანმა ვეღარ გაიღვიძა.

3. მახნომ, ლიუქსმა, ბენ-სალიმ, ყოზეფიმ, დილმელოვმა და ესიკოვსკიმ—პერესტიანის დასამარხათ მიწა გათხარეს და უწოდეს მას „სავურ-საფლავი".

## ნაწილი 4

1. პირველი სიტყვა წარმოსთქვა გოგიტიძემ, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა ენაზე ლაპარაკობდა: ინგლისურზე, ჩინურზე, თუ ესპანურზე. ყოველ შემთხვევაში—არც იყო ქართული, არც რუსული. ამის გამო ერთმა უვიცმა რეპორტიორმა, რომელსაც წინად გერმანე არ ენახა, დასწერა, რომ—„ყირგიზების წარმომადგენელმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვაო".

2. გოგიტიძე და ესიკოვსკი მესაფლავეთ დადგენ.

3. როცა კოტე მარჯანიშვილმა მესაფლავეთ დაინახა გერმანე გოგიტიძე, ბევრი ინანა—რატომ ოფელიას მესაფლავეთ არ გამოვიყვანე სცენაზეო. ალბად დიდხანს იქნებოდა ასე დაღონებული, მაგრამ დამშვიდდა, როცა უთხრეს, რომ გერმანე სახკინმრეწვსაც ძალიან ნიჭიერად ასაფლავებსო.

## ნაწილი 5

1. საფლავის წინ. ხალხი მოუთმენლად უცდის ცხედარის ჩასვენებას.

2. ვიღამაც დაიძახა:—მსახიობებო, უკან დაიწით, საშუალება მიეცით ნათესავებს უკანასკნელად გამოეთხოვონ".

3. მსახიობებიდან უკან იხევს მხოლოდ ბენ-სალი, დანარჩენები კი რჩებიან. გამოირკვა, რომ ამის უფლება ჰქონდათ.

4. უკანასკნელად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა წარმომადგენელმა ხალხისაგან. მან ბევრი იტირა და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— „ჭეშმარიტად უნდა იგლოვო ის კაცი, რომელმაც თავისი ხელით გაითხარა საფლავი, რომელსაც გინდა „სავური" დაარქვი, და გინდ „ხოჯევანქის",—ვინაიდან სულ ერთია ამით ვერაფერს უშველი. ჭეშმარიტათ სატირალია ის კაცი, რომელმაც მოგვცა „სავურ-საფლავი".

5. ბოლო სიტყვებში გერმანე გოგიტიძემ გაიგონა მხოლოდ „სავურ-ფლავი". „სავურისთვის ყურადღება არ მიუქცევია. „ფლავის" გაგონებაზე კი ჯიბიდან კოვზი ამოიღო და თავის კაბინეტისკენ გაიქცა.

## ნაწილი 6

1. როცა მიწა დააყარეს პირველი გვირგვინი სახკინმრეწვმა დაადვა შემდეგი წარწერით:

„იქით გორას წიხლი ჰკარი,
„აქეთ გორას უქენ ყლაპი.
„როცა ამით ვერ გასძეხი,
„სახკინმრეწვსაც უქენ ყლაპი".

2. მეორე გვირგვინი რეჟისორებისგან იყო:
„შენ თუ იყავ რეჟისორი,
„ჩვენ გახლავართ შენი სწორი".

3. დასაფლავების შემდეგ ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

სენ-ჯენი.

კინო-სცენარი Ⴂ. ნაწილად

# პერესტიანის ს

## ნაწილი Ⴀ

1. „წითელი ეშმაკუნების“ შემდეგ პერესტიანს ეშმაკები შეუჯდენ და არ ასვენებენ.

2. ეშმაკების თავიდან ასაცილებლად პერესტიანმა ყველა ეკლესიები მოიარა, პარაკლისიც გადაიხადა, მაგრამ განახლებული ეკლესიის ძალა ეშმაკებს აღარ აშინებდათ და არ შორდებოდენ პერესტიანს.

3. როცა აღარც შელოცვამ უშველა, ბედის გასაგებათ მივიდა მკითხავთან.

4. მკითხავმა ყველაფერი არ გაუმხილა, მაგრამ რაც უთხრა, იმანაც გული დაუკოდა პერესტიანს. გამოვიდა თუ არა მკითხავისგან, ნაღვლიანათ ჩააქნია ხელი და ჩაიბურტყუნა:

„წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,
„ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
„უნდა ვჭამოთ სახკინმრეწვი,
„ამის მეტი რა შეგვრჩება!

## ნაწილი Ⴁ

1. დიღმელოვი ალექსანდროვის ბაღში სდგას და სურათებს იღებს სწრაფად გადამღებ აპარატით.

2. ლიუქსი, ყოზეფი და ესიკოვსკი ოჯახურ საუზმეს მიირთმევენ და დარდობენ იმაზე,—რატომ ეხლაც არ არიან მათი ბაბუები, ბებიები და საერთოდ ყველა წინაპრები, რომ მათაც შეეძლოთ სურათში მონაწილეობის მიღება.

### დიაფრაგმა

3. პერესტიანი პიეროს ტანთსაცმელში სახკინმრეწვის წინ სდგას და გიტარაზე ამღერებს.

4. სიმღერის და საერთოდ მუსიკის დიდმა მოყვარულმა გერმანე გოგიტიძემ ის-ის იყო მეთორმეტე ფინჯანი ყავა მიირთვა და მეოცე „სლოიკა“ შეჭამა, როდესაც სიმღერა გაიგონა. ვეღარ მოითმინა და ფანჯარაში გადმოიხედა ვნებიანი თვალებით.

5. პერესტიანს გოგიტიძე მოეჩვენება კოლომბინათ, გადაეხვევა და უმღერის:

„შენ ვარდი ხარ, მე ბულბული.
„შენთვის კვდება ჩემი გული“.

## ნაწილი Ⴂ

1. პერესტიანს ლოგინში სძინავს, სიცხე აქვს და ბოდავს. ხედავს სიზმარს, რომელიც კოშმარად გადაექცევა.

### სიზმარი:

ერევნის მოედანზე მეხუთე ნომერ ტრამვაიდან გადმოხტა მახნო.

მილიციის უფროსმა ხმალაძემ დაინახა მახნო, შეშინდა, ჩაჯდა ავტომობილში და თბილისის ყველა ქუჩები მოიარა ავტომობილით. ამის გამო მიწას ისეთი ზანზარი გაჰქონდა, რომ თბილისის ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა 100 კილომეტრის გარშემო ძლიერი მიწისძვრა აღნიშნეს.

ყოზეფი, ლიუქსი, ბენ-სალი და ესიკოვსკი მახნოს გამოეკიდენ.

მახნო გაჯავრდა და დიღმელოვს აპარატი დაუმტვრია.

ყოზეფმა, ლიუქსმა, ბენ-სალიმ და ესიკოვსკიმ დაიჭირეს მახნო.



# ფლავი

სახუმარო იმპროვიზაცია „სავურ-საფლავის" თემაზე



შემდეგ მახნომ დაიჭირა ჟეზეფი, ლიუქსი, ბენ-სალი და ესიკოვსკი.

დასასრულ ყველანი გოგიტიძემ დაიჭირა და სახკინმრეწვის სალაროში ჩაკეტა.

2. სიზმარი-კოშმარი გათავდა, მაგრამ პერესტიანმა ველარ გაიღვიძა.

3. მახნომ, ლიუქსმა, ბენ-სალიმ, ჟოზეფიმ, დილმელოვმა და ესიკოვსკიმ—პერესტიანის დასამარხათ მიწა გათხარეს და უწოდეს მას „სავურ-საფლავი".

## ნაწილი 4

1. პირველი სიტყვა წარმოსთქვა გოგიტიძემ, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა ენაზე ლაპარაკობდა: ინგლისურზე, ჩინურზე, თუ ესპანურზე. ყოველ შემთხვევაში—არც იყო ქართული, არც რუსული. ამის გამო ერთმა უვიცმა რეპორტიორმა, რომელსაც წინად გერმანე არ ენახა, დასწერა, რომ—„ყირგიზების წარმომადგენელმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვაო".

2. გოგიტიძე და ესიკოვსკი შესაფლავეთ დადგენ.

3. როცა კოტე მარჯანიშვილმა მესაფლავეთ დაინახა გერმანე გოგიტიძე, ბევრი ინანა—რატომ ოფელიას მესაფლავეთ არ გამოვიყვანე სცენაზეო. ალბად დიდხანს იქნებოდა ასე დაღონებული, მაგრამ დამშვიდდა, როცა უთხრეს, რომ გერმანე სახკინმრეწვსაც ძალიან ნიჭიერად ასაფლავებსო.

## ნაწილი 5

1. საფლავის წინ. ხალხი მოუთმენლად უცდის ცხედარის ჩასვენებას.

2. ვილამაც დაიძახა:—მსახიობებო, უკან დაიწით, საშუალება მიეცით ნათესავებს უკანასკნელად გამოეთხოვონ".

3. მსახიობებიდან უკან იხევს მხოლოდ ბენ-სალი, დანარჩენები კი რჩებიან. გამოირკვა, რომ ამის უფლება ჰქონდათ.

4. უკანასკნელად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა წარმომადგენელმა ხალხისაგან. მან ბევრი იტირა და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

— „ჭეშმარიტად უნდა იგლოვო ის კაცი, რომელმაც თავისი ხელით გაითხარა საფლავი, რომელსაც გინდა „სავური" დაარქვი, და გინდ „ხოჯვანქის",—ვინაიდან სულ ერთია ამით ვერაფერს უშველი. ჭეშმარიტათ სატირალია ის კაცი, რომელმაც მოგვცა „სავურ-საფლავი".

5. ბოლო სიტყვებში გერმანე გოგიტიძემ გაიგონა მხოლოდ „სავურ-ფლავი". „სავურისთვის ყურადღება არ მიუქცევია. „ფლავის" გაგონებაზე კი ჯიბიდან კოვზი ამოიღო და თავის კაბინეტისკენ გაიქცა.

## ნაწილი 6

1. როცა მიწა დააყარეს პირველი გვირგვინი სახკინმრეწვმა დაადვა შემდეგი წარწერით:

„იქით გორას წიხლი ჰკარი,
„აქეთ გორას უქენ ყლაპი.
„როცა ამით ვერ გასძეხი,
„სახკინმრეწვსაც უქენ ყლაპი".

2. მეორე გვირგვინი რეჟისორებისგან იყო:

„შენ თუ იყავ რეჟისორი,
„ჩვენ გახლავართ შენი სწორი".

3. დასაფლავების შემდეგ ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

ხენ-დენი.

# ასე იყო



ასე იყო: სუფრის შუაში იჯდა წვეროებ-ცანცარაო;
იძახოდა: „მომიტანეთ საჭმელები ჩქარ-ჩქარაო.
ფოფოდიას მიუმატეთ, მისთვის აგი არ კმარაო.
ხომ კი იცით—ეს მუცელი რომ ჯერ არა გამძღარაო.

# ახალწლის „სლუჩიები"

მაშ ესეც ახალი წელიწადია, რაღა! იუდის კერძი ვიყო, თუ რომ ქვეყნის ახრიზამანი კიდევ მესმოდეს!... ვა, ახალი წელიწადი და ასეთი სუხოვი? ყეენობა რა არის, ყეენობა—იმასაც კი მადლი და ლაზათი აქვს, შიგ ხალხის შნო და მარიფათი დარჩენილა, აოადან-ბაბადან შამოღებული წესი და პარიადკა კიდევ არ მოშლილა.

ეს კი რა ახალი ობა შამაიღეს ამ ბემურაზმა ბალშევიკებმა? ჯერ შობა არ მოსულა, ქრისტიანული ალილო არ უთქვიათ და პუპუზ, ახალი წელი დადგაო! ვა! ბნელა?—ანგარიშში ხომ აქ არი, ჩოთქში ჩავაგდოთ, რაღა: იანვარი, თებერვალი, თვის თავი და ნიადაგი, ესეც შენი ნაკიანი, ჰამაც ზედნადები ჩააგდე—ჯერ სადა ხარ?

თუო ძველი ცხოვრება მაისპო და იმისი ყველა პარიადკები უნდა დაინგრესო!... ვა, ბემურაზ, დაინგრეს რომელია, წელიწადი სტეპკუას ბუტკა ხომ არ არის, რომ დაინგრეს და ისევ მამენტალნათ ააშენო? ეს დროა, ვახტია, ძველი ხალხის ვიჩისლენიაზე გამოანგარიშებული რამეა. ეფრემვერდში სწერია—ზნაჩიტ, ესეც მართალია.

ახარ, მასალა შამააკლდათ და რაღაცას ზირთიფირთობენ რაღა!

ჯერ იყო და იმენიები და ღრაედანწკი ზვანიები წაგვართვეს—ეს ნოვი სტროი არისო, მერე საყდრებიდან ტერტერები და ბლაოჩინები გამოყარეს და შიგ ტრიატები ქნეს, ისეც კომსომოლცების დვიჟენიაო, მერე ვარანცოვის პამეტნიკი ჩამააგდეს: თუო, ორმოცი წელიწადია, აქ ვირივით გაჩერებულა და თვალში მაზოლებს გვიკეთებსო! ვა, რა მაზალოა და! ახარ, როდის იყო, რომ ბრონზოვი პამეტნიკები ტანცაობდნენ, დაუდგამთ, გაჩერებულა, თოლ, იყოს რაღა, რას ერჩი?

ბოლოს კონკის ასტანოვკებს მისდგნენ და სკაჩკის ცხენებივით აქეთ-იქით აქენებენ. ერთი სიტყვით, დავთრები აგვირიეს რაღა, ჩიჩმაკები დაგვიფრთხეს. ნუ, მახლაზ, ეს კიდევ საქმეა, ყველაფერს თავისი თაბაუთი აქვს, თუ აშიპკა რამეა, მერე გასწორდება.

მაგრამ ამ წელიწადის ანგარიშში რაღას ურევენ დავთრებს, ესეც ხომ კონკის ასტანოვკები არ არის. ყოფილა, თოლ იყოს რაღაა, ერთმანეთში უქნათ, როგორც გვიქნია: თავის დროზე გოზინაყი ეჭამოთ, პაზდრავლენიები გავაკეთოთ, დრო გავატაროთ, მოვიგონოთ ნუყლიანი ტკბილი დრო და უტეშენია უყოთ ერთმანეთისა.

ბან ჩუნის? არ გაცლიან, არ გიშვებენ—ჩვენი ახალი წელიწადი ეს არისო. ოლონდაც! მაგათთვის ახალი წელიწადია, ჩემთვის კი ახალი დარდების თარიღია: კაი გილდის კუპეწი ვიყავი, პაჩოტი და სახელი მქონდა, ჩემ შუშანას ზანდუკებით ოქრო ედგა—ვჭამდით და ვჭამდით!

აი, ახალწლის დოჩრანი მაშინა მქონდა: ჩვენ გოსტინაში სტუმრები ისე ირეოდნენ, თელეთობა გეგონებოდა—სტოლზე თაბახებით იდგა გოზინაყი, ალვახაზი, ჩურჩხელა, ალუჯანაბადი, ფსტა, ნუში—რამე, ვინ მოსთვლის? ჰამაც შამფანცკები და კანიაკები დუჟინობით მამქონია. ჩემ შუშანას დილა ადრიანით სამი წყვილი ტერტერა და ტერაცუა უშვრებოდნენ ხოლმე ისემესა, ვეზიტსა რაღა, პაზდრავლენია უკეთებდნენ.

აი ლაზათი მაშინ იყო!

ამ საწყალ ახალწელიწადმა კი დამთარსა. რამტოლიც ვსტრეჩა გავაკეთე, იმტოლი სლუჩი მამივიდა, შარშან კი აბიდაშიც ჩავვარდი, იმას მერე რეშენია მიქნია:

# ასეც ხდება



თუმცა დრონი წავიდენ და... ვერ ყოყოჩობს ხუცესიო,—
ჯოგან თემის თავმჯდომარემ შემოიღო ეს წესიო:
„ხუცის ნაცვლად ეხლა მე ვარ მოციქული ქრისტესიო;
მე და ჩემს ცოლს მოგვიტანეთ საჭმელები უტბკესიო“.

სინამდისინ ძველი დრო არ დადგეს, ახალწლის პრაზნიკი სახლში არ შემოუშო.

რაო, შარშანდელი სლუჩი გიამბო? გიამბოფ, პაჟალუსტა, პურმარილის კაცი ხარ, არ დამცინეფ.

შარშან, გათენდა თუ არა ახალწელიწადი, შუშანა მებნება:— საქოჯან, წადი, ვეზიტნი აფხოტები გააკეთე, მოკეთეები დაჰპატიჟე და სახლში სადილი ვქნათო. წაველი. ჩამოვიარე ყველა ოჯახები, პაზდრავლენია გაუკეთე და ჰამაც სადილად დავპატიჟე. ახარ, სადაც მივდიეარ, ყველგან თითო რუმკა მაინც მასმევენ... რა დაგიმალო და ლაზათიანათ თავში პარი გამიჩნდა!

თითქმის სადილობა იყო, როცა ლოპიანაანთ ვართანასთან მიველი. სტუმრები ჰყავდა. იმათ უკვე იალქნები აეშვათ და ჰოპოპები დაეფრინათ. დამსვეს, დავლიეთ, ჯიჰელობა მოვიგონეთ და ერთი ლაზათიანათ დაველბით. შინდი იყო, როცა ავიშალენით და ქუჩაში გამოველით. ის ბემურაზი ყვინტლიანი ჯეილუა გაჯეჯილდა—გინდა თუ არა, ჭირკას რესტორანში წავიდეთო. აგვიყოლია და წაველით. იქაც დაუმატეთ და სულ კოლოტებივით გავხდით. ჰამაც ვიანგლეთ რაღა, მანახორის ბოთლიკები დავამტვრიეთ.

ღამის თერთმეტ საათზე მივსულვარ სახლში და მე მგონია პადეზდის ზვანოკსა ვრეკავ! ბან ჩუნის, სიმთვრალისაგან ველარაფერი გამიგია და თურმე ზარულში შავსულვარ, დამიჭერია ჩამოსაწევი ჯაჭვი და ვიძახი:

— შუშანჯან, კარი გამიღე, ნუ მიწყრები, დაგვიანება ჩემი ბრალი არ არის მეთქი.

ხმა არავინ გამცა, ვიღრიალე, ვიყვირე და ბოლოს ჩამოვვეჭქე. ჩამძინებოდა. ერთიც ვნახოთ, ძილში დიდი ცაკუნი და ღავიდარაბ მესმის: იძახიან, თუ ვიღაც ბემურაზი შასულა ამ ფეხისადგილში და შიგ დაუძინიაო. ბოლოს მიბრახუნებენ—ვინა ხარო. მაშინ კი მივხვდი, რომ ჩაბლუჟდენია მამსელია და ამ ზარულის კარებს ვეცი, ჰამა ველარ გავაღე—სამაზეოდნი ზამოკით დაკეტილიყო. ვყვირი თუ:

— მე ვარ, საქო ვარ მეთქი.

— მარტო ხარ?

— მარტო ვარ, მაშ, ფეხის ადგილში მეზურნეებით ხომ არ შამოვიდოდი მეთქი.

— ჩქარა გამოდი, შუშანა ცუდათ არის, ნეჩაინათ წაუვიდაო და კაპლებით ძლივს ვაბრუნებთო. ვა, ლიხტრი/ავმა დამიარა რაღა, ერთბაშათ გამოვფხიზლდი და ვებნები:

— ჰა, თქვი, როგორ თუ წაუვიდა მეთქი.

— ნეჩაინათ გული წაუვიდა და ველარ ვაბრუნებთო. კარი გავაღე. შავვარდი, ვხედავ შუშანა გაშხლართული წევს. თავზე დოხტური ადგია და მებნება, თუ: არაფერია, ნერვნობის პოჩვაზე პრიპადკა მოსვლია, ჰამაც ჟელუდკაში პლოტნათ არის და კიშკების აქვსო, სლაპიტლის კასტორკა მოუტანეთ და გაივლისო.

გავვარდი აფთრიაქში წასასვლელად, ვეძეფ, ქუდი აღარ არის. გარდიირობცკის შკაფში ჩემი ყაბალახი მეგულებოდა, ჩამოვიღე, მოვიხვიე და წაველი. ქუჩაში ყველა მიყურებს და იღრიჭებიან, კონკაში ჩავჯექი, მთელი მგზავრები ხარხარებენ და ჰამაც გაკვირვებული მიყურებენ.

აფთრიაქში რო შაველ და ზაკაზს ვაძლევ, ერთიც ვნახოთ, მილიციონი არ შამამყვა:

— ღრაჟდანინ, შენ აქ ყეენობა ხომ არ გგონია, რომ ქალაქს მასხარათ აკეთეფო. ვებნები:—ძმაო, ბძელა, შარ-

# ელოდებიან



**ღმერთი:** გულს ნუ გაიტეხთ. მართალია შობის მერმე ველოდებით მღვდელს ხელში დანა-ჩანგლით და ხახამშრალი, მაგრამ დღეს მაინც კი მოვა და ყველაფერსმოიტანს.

ზე ხომ არა ხარ, სურიოზნი საქმეზე მოსულვარ, სლაპიტელსა ვყიდულოფ, მახსარობა რა შუაშია?

— მნოგა ნი გავარი, ქოფაკ-კონტრრეოლიუციონერ, სკარეი სნიმი შტანი სგალავარ! ვა, ვერ გავიგე საგიჟეთში ვარ თუ აფთრიაქში, ეს მილიციონი რამ გადარია მეთქი,—ეშმიში მამივიდა რაღა. ბოლოს, ეს მლიციონი მწყდა და ყაბალახი არ მამაძრო. შავხედე, სტალბნიაკი დამეცა—თურმე სიმთვრალის გამო ყაბალხის მაგიერ შუშანას საცვალი ჩამამიღია და ის ძამიხვევია!

დიდი აბიდა მამაყენა და უჩასკაშიც წამიყვანა— ხვალამდე აქ იჯექი, შე ბეხრეკო, ზა ნარუშენია აბშესტვენი ტიშინაო.

მეორე დღეს გამამიშვეს ჰამა, მკვდარი ვიყავი რაღა, ზაფრანის ფერი მედო. ხალხში აღარ ვჩნდებოდი.

შუშანა ორ თვეს უმძრახათ მადგა და დიდი პადარკები დამპირდა იმის შასარიგებლათა. იმას აქეთ რეშენია ვქენით,—სანამ ძველი დრო არ დადგეს,, ახალი წელი აღარ გავმართოთ.

ჩვენში კი დარჩეს, და ან რა მეახალწლება, როცა ხახლში გამოთხეკილი ვარ, და მშიერ თაგვებს ჩვენსა საჩქები აქეთ გამართული (ხომ იცი, გავკოტრდი!) ქარი რო ამოვარდება ხოლმე, პირს ვაღებ და კბილებს პრავეტრენია უშვრები—უჭმელობისაგან ობი არ მამეკიდოს მეთქი.

აბა შენ მითხარი, უსტა ფარსადან, ასეთ ახალ წელს მადლი აქვს?

პაჟალუსტა, ჩემი სლუჩიები არავის უამბო.

ფარსადან.

# იულო ჭყურტაძე

იულო ჭყურტაძის სახეზე, როგორც ბარომეტრზე, ყოველთვის აღიბეჭდებოდა ახალი წლის მოახლოვება. უნდა გენახათ ის ამ დღეებში. თქვენი თვალით ნახავდით კაცის გარდაქმნას, ფერისცვალებას. იესო ქრისტეს ფერისცვალება მიქარვა იყო ამასთან შედარებით. ფერისცვალება კი არა, ეს იყო იულოს ელექტროფიკაცია. თვალები „ე. ტ. ც. რ."-ის ანთებულ ლამპასავით უბრწყინავდა, ხელებს და ფეხებს ისეთი აჩქარებული მოძრაობა ემჩნეოდა, რომ იფიქრებდით ამ კაცს ორი ფუთი „სეკარის სითხე" ერთად გადაუყლაპავსო.

უკანასკნელ წლეებში იულოს სევდა დაეტყო. მას ყოველი ახალი წლის მოახლოვება თითქო თითო სხივს აკლებდა. დადიოდა და რაღაცა დიდი დავა ჰქონდა თავის თავთან: შეატყობდით, რომ ეჭვის ჭია ღრნის მის მის მუდამ ცეცხლოვან გულს.

— ამ ახალი წლის გული რომ ვერ მოვიგე? რამდენ ახალ წელს შევხვედრივარ ლოცვა-კურთხევით, მთელი კვირის განმავლობაში მისი მოლოდინით ძილი არ მქონია, ყოველთვის ვიმეორებდი ჩემს ვედრებას ახალი წლისადმი, არასოდეს არ გამორჩებოდა ჩემი მთავარი და არც წვრილმანი სათხოვარი და შესავედრებელი. სულ ყველა მიზნები, თეზისებრივათ ჩამოწერილი მქონდა და როგორც კი 31 დეკემბრის 12 საათი დაჰკრავდა, მუხლმოდრეკილი ვიწყებდი მის კითხვას. მართალია: ხალხს ჰგონია, რომ მე არ ვარ ღვთის მორწმუნე, მაგრამ ღმერთი ხომ ხედავს მას ვევედრები, როცა ჩემს მახლობლად არავინ არის; პირჯვარსაც ვიწერ, როცა სინათლეს დავაქრობ ოთახში!? ან იქნებ ძველი სტილით ღმერთი ლოცვას აღარ ღებულობს! მაგრამ გასულ წელს ახალი სტილითაც ხომ ვილოცე ყოველ შემთხვევისათვის? არა, აქ რაღაც სხვა მიზეზია.—იულომ თავზე ხელი მიიდო და ღრმად ჩაფიქრდა.

— რასაკვირველია, ვერ გავამტყუნებ, ახალი წელი სამართლიანად მსჯის, თორემ აბა რა ღმერთი მიწყრება, რომ რაც თავს მოვესწარი, სულ უკან-უკან მივდივარ და ტროხელაც არ მღირსებია არც კარგი სამსახური, არც ბინა, არც შეშა ზამთარში! მამაჩემი რომ არ მომკვდარიყო ამ ათი წლის წინ და იმისი პალტო მემკვიდრეობად ჩემზე არ გადმოსულიყო, აქამდე ათჯერ მკვდარი ვიქნებოდი. ღმერთმა გაანათოს მისი სული „ზაპესივით". ვერა, ვერ გავამტყუნებ... ახალი წელი,—ძველი პალტო, ძველი ხალათი, ძველი ფეხსაცმელი, ძველი ქუდი და ძველი ქუდი და ძველზე ძველი ბინა და ყველაფერი ძველი და შენ გინდა იულო ახალი წელი. შენი მადლიერ-

# მოვიდა, მაგრამ...



ღმერთი (მღვდელს): ოი, გაგიწყრეს ჩემი მადლი და ძლიერება. ეს რა არის, რომ ხელცარიელი დაბრუნებულხარ? მთელი ერთი კვირაა ამდენი ხალხი მშივრები გელოდებოდით.

მღვდელი: რომ ჰყვირი, რა გაყვირებს! მე კი არა, ბავშვებსაც აღარ ეშინია შენი. თუ მარჯვე და ყოჩაღი ხარ, თვითონ შენ წადი და სინჯე ხალხში საკურთხ-სალოცის შეგროვება. რამდენიც მე მომხვდა მათგან, დარწმუნებული ვარ, შენ მეტი მოგხვდება.

იქნეს? რასაც სთხოვ ის შეგისრულოს? ახალ წელს მარტო ჩემი პალტო დაასველებს. შეეშინდება ჩემს ოთახში შემოხედვა. არა... საჭიროა ახალ წელს ახალ ტანისამოსით და ახალ ადგილას უნდა შევხდე.

ასე სთქვა იულომ და ჰაშალა თავისი დამტვრეული ჩემოდანი. მოაგონდა ორი წლის წინ მუშკოოპიდან ნისიად მიღებული მიტკალი რომ ჰქონდა შენახული. სთქვა; „მუშკოოპი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა".

ეს იყო გასულ 26 წლის 31 დეკემბერს. ღამის 11 საათი იყო. გარედ საშინლად ბნელოდა. იულომ გამოიკეტა თავისი ოთახის კარი, ამოიდო იღლიაში თავისი მიტკალი და გაუდგა გზას. შემოუარა ალექსანდროვის ბაღს ქაშვეთის გზით, გადახტა ჩუმად ბაღში და ფეხაკრეფით მიიპარა მაღალი ხის ძირას. გაიხადა ყველაფერი, შემოიხვია ტანზე მიტკალი, აღაპყრო ხელი ქაშვეთისაკენ და იწყო ლოცვა. იყო ვედრება;

— ღმერთო ძლიერო, თუ არსებობ, რა გენაღვლება, მეც გადმომხედე მოწყალების თვალით, შენც ხომ რომელიმე ჩინოვნიკი ან ბიუროკრატი არ ხარ, რომ ცრიტიკაში ჩამიდგე;—რატომ ბაღში ხარ და არა სახლშიო? სახლი ძველია და ახალ წელს ეწყინება. ან კიდევ;—ფეხზე რატომ არ გაცვია?—ფეხზე მე კი არა, ზშირად ღვთისმშობელსაც არ ეცვა. შენ ერთი კარგი ხსმანეთიანი სამსახური მაშოვნიე და შემდეგ მე მკრთხე პატივისცემა:..

იულო იდგა მოჩვენებასავით. ბევრი ელაპარაკა და ედავა ქაშვეთს, რომელსაც სთხოვდა შუამდგომლობას ღმერთისა და ახალი წლის წინაშე, მაგრამ ქაშვეთს მხოლოდ გაციებულ იულოს კბილების რაწკუნი თუ ესმოდა; შუამდგომლობაზე კი ეტყობოდა უარზე იყო.

დილის რვა საათზე იულო მიტკალში და მამისაგან დატოვებულ პალტოში გახვეულ-მკვდარი მიიყვანეს სახლში. ნათლისღებამდე იყო ამ ქვეყნად, შემდეგ კი სული განუტევა.

მაგონდება ეხლა იულო და მინდა მის საფლავზე ვიყო. თან მახლდეს ფოცხვერაშვილის გუნდი და ვამღერებდე:

შენ მსხვერპლი გახდი ახალი წელის,
მუშკოოპის მიტკალს შესწირე თავი,
წელს მე ბაზარში რატომ ვერ გნახე?
—ალბად მიტომ რომ მკვდარი იყავი.
დღეს ჩემს ერთად-ერთ კვარტი ღვინიდან
შენ აღარ გვხდება არც ერთი წვეთი,
ხედავ, რა გიქნა ახალმა წელმა..
ოჰ! შეარცხვინა ღმერთმა ქაშვეთი,
რომ არ იცოდი სიკვდილი წინად
ეხლა ეს გული რად მომიკალი?
თუ მანდ სიცივე აღარ გაწუხებს,
გამომიგზავნე შენი მიტკალი.

ბუშტი.

### ვინც ამ სურათის შინაარს გამოიცნობს, იგი მიიღებს ტარტაროზისაგან საჩუქარს



# რა მოაქვს

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— სიკეთე და ბედნიერება: წყალობა ინგლისის მთავრობისა, პუანკარეს ვექსილები, ჟორდანია-რამიშვილის მოწოდებები, ერთი წყვილი ვიქტორიის ჩულქები,—აქვე არის შეძენილი კონტრაბანდისტებისაგან.

— ყველაფერი ეს ძველის-ძველი სამკაულია. ექვსი წელია, სულ იმპერიალისტური სახელმწიფოები გულუხვი დაპირებებით ცდილობენ ჩემი გულის მოგებას, მაგრამ ვერ შესძლეს. ვერც ახლა შესძლებენ, რადგან ჯერ არ დამკარგვია კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, რადგან კარგათ ვიცი რა ბოროტი ზრახვები უდევთ გულში იმ ვაჟბატონებს, რომელნიც კონტრაბანდის საშუალებით ფიქრობენ საბჭოთა ეკონომიური ძლიერების ძირის გამოთხრას... სხვა უფრო საიმედო და ძვირფასი არაფერი გაბადია რა?

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— წმინდა სამღვდელოებისა და სამოციქულო ეკლესიის ლოცვა-კურთხევა, ჩვენ მამულიშვილთა რაინდული გეგმები, თავად-აზნაურების ტკბილი მათრახები, ევროპის ბურჟუაზიის ნელსაცხებლები, კაპიტალისტური ქვეყნების უმუშევრობა... სხვა რაღა გინდა?!

— ოჰო, სად მოაგროვე ამდენი მარგალიტები, რომელთაც, ცოტა არ იყოს, მყრალი სუნი ასდით? ეგ არის განახლებული და ბედნიერი ცხოვრების საწინდარი?! არა, მაგათი იმედით მე ვერ ვიქნები, კარს ვერ გაგიღებ.

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— ფაშისტური აღვირახსნილობის წარმტაცი ნიმუშები, იმპერიალისტური ქვეყნების საახალშენო პოლიტიკის მშვენიერი შედეგები: ჩინეთის, იავის, მაროკოს, სპარსეთის, პალესტინის და სხვა აღმოსავლეთის ერების დამონავების ახალ-ახალი გეგმები...

— ეს ძვირფასი ნაწარმოები, როგორღაც ვერ ეგუება ხოლმე ჩემს გემოვნებას; ჩვენ ხალხს პირივით ეჯავრება „განათლებულ ქვეყნების კულტურული" ნაბიჯები მცირე ერების საპატრონოთ გადადგმული; ის გრძნობს, რომ ფაშისტური მოძრაობის განვითარება მას სასიკეთოს არას უქადის. მაგის მომტანს კარს ვერ გაგიღებ, მომშორდი.

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— პილსუდსკის ახალი კანონები, მის მიერვე გაჭედილი ახალი ბორკილები მცირე ერებისათვის, დევნა და შევიწროვება ბეჭდვითი სიტყვის, პროფესიონალური კავშირების, ინგლისის ბურჟუაზიის გამარჯვების ამბავი გაფიცულ მუშებზე.

— კმარა, ჭაბუკო, ასეთი რამეებით შენ ჩემს გულს ვერ მოიგებ და ჩემს სიყვარულს და პატივისცემას ვერ დაიმსახურებ. სთქვი თუ რამ კარგი და სანუგეშო გაქვს სათქმელი.

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— ბურჟუაზიული წყობილების ისტორიის უკანასკნელი ფურცელი. მშრომელი ხალხის სისხლითა და ცრემლით მოპოხიერებული; ფაშისტური გადატრიალება ლიტვაში, სამხედრო ცენზურა, პარლამენტარიზმის უკანასკნელი სულის ლაფვა, მემარჯვენეთა შავი დიქტატურა. გამიღე კარი, თორემ გაიყინა სისხლი ძარღვებში.

— ჯანიც და სულიც გაგვარდეს; თუ მაგაზე უკეთესი საგზალი არ გაგაჩნდა, როგორღა ბედავდი ჩემთან მოსვლას?! მე ხომ ახალ ცხოვრებას ვაწყობ, თავისუფლებას ვიცავ და ვიბრძვი კაცობრიობის ბედნიერებისათვის! რა თავში ვიხლით ძველი, დრო-მოჭმული წყობილების ამყრალებულ ნასუფრალს.

— კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— ევროპისა და ამერიკის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევანი. 24 დიუმიანი ზარბაზნები, უზარმაზარი ტანკები, დრედნოუტები, ჰაეროპლანები, მხრჩოლავი გაზები, ერთი სიტყვით. ყველაფერი, რაც აუცილებელია კაპიტალისტური წყობილების გასამტკიცებლათ.

— კმარა. გინდა ბურჟუაზიული მეცნიერებისა და

# „მეგობრები“



მე, ტარტაროზი და კომსომოლი ერთმანეთის ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით და ახალ წელს ერთად ვხდებოდით.
(იხილეთ მე-3-ე გვერდი).

ტეხნიკის მიღწევებით შემაშინო და ხელი ამაღებინო ეროვნული თავისუფლებისა და პროლეტარული რევოლიუციის მიჰაპოვარის დაცვაზე? ტყუილია შენი ანგარიში; მე შემწევს ძალა და გამბედაობა მივაფურთხო ყველაფერს, რასაც დრომოჭმული წყობილების ელფერი ადევს.

— კარი გამიღე; რა გულქვა ვინმე ყოფილხარ, რომ ამ სიცივეში გარეთ მიპირებ დატოვებას.

— რაც მოგივა დავითაო,— ხომ გაგიგონია, რატომ არ იცოდი ვისთან გქონდა საქმე?! გული დადნა შენს ლოდინში; შენმა მოსვლამ კი ყველა იმედები გამიცრუა. შენ ჩემთვის სანუგეშო არც არა გითქვამს, არც კარგი რამ მოგიტანია.

— კარი გამიღე გულქვა ადამიანო. რაკი იმპერიალისტურ სახელმწიფოების სამკაულები არ მოგწონს, მეტი რა გზა მაქვს: მეორე ყუთიდან უნდა გადმოვალაგო ძვირფასი საგნები. ესენი ხომ საბჭოთა გულისა და გონების ნაყოფია, ესე იგი თქვენი საკუთარი სისხლი და ხორცი... კარი გამიღე.

— რა მოგაქვს?

— კიდევ ერთი ახალი რგოლი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის, მსოფლიო პროლეტარიატის გამოფხიზლებისა და დარაზმვის ახალი სურათები. მიიღე ყველა ქვეყნების მუშათა კლასის გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები.

— ყველაფერი ეს მეტათ ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ ამასთანავე ბევრჯელ ნახული და გაგონილი ჩემს მიერ. ამოალაგე უფრო ახალ-ახალი და სადღეისო.

— კარი გამიღე.

— რა მოგავს?

— საბჭოთა ქვეყნების სიმტკიცე შიგ და გარეთ, ახალ-ახალი მიღწევანი სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე—საბჭოთა რესპუბლიკების სიამაყე: ვოლხოვსტროი, ზაჰესი, მაუდისა და ქაღალდის ქარხნები, ცემენტისა და ავეჯეულობის ფაბრიკები, ჩვენი ვალიუტის სიმტკიცე, ჭირნახულის უხვი მოსავალი, ერთი მილიონი წევრი კომუნისტურ პარტიაში, ათი მილიონი მშრომელი ჩვენს პროფკავშირებში, კოოპერაციის ზრდა-განვითარება, ქალაქის მუშისა და გლეხობის მტკიცე კავშირი, საბჭოთა ერების კულტურული და ეკონომიური განვითარება.. რომელი ერთი ჩამოვთვალო; რომელი სამკაული გინდა დავასახელო, რომელსაც ვერ უძლებს მშრომელი ხალხის მტერთა თვალი და ბოროტი გული. კარი გამიღე; ხომ ხედავ, სამტროთ არა ვარ მოსული!

— თუ ასეა, რაღაზე მაწვალებდი ამდენ ხანს და რაზე იყინებოდი!

— შენი გამოცდა და გამოცნობა მინდოდა მხოლოდ. მართალია, შევწუხდი, დავიტანჯე, მაგრამ ეს არაფერია. ახალი ძალა, ახალი მოვლენა ყოველთვის ხვდება მრავალ სიძნელესა და დაბრკოლებას თავის მსვლელობის გზაზე, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოდის ხოლმე, ახალი ცხოვრების სარბიელზე. გამიღე კარი.

— ახლა კი მჯერა შენი სიტყვები. კეთილ იყოს შენი მოსვლა, პაპუკო.

მე—ლი.



— კარი გამიღე! მომაქვს საბჭოთა აღმშენებლობის უხვი ნაყოფი, ელექტროფიკაცია, ტრაქტორიზაცია, ფილმი და კარგი ღირსების ნაწარმოები, ხალხის ჯანმრთელობა, სწავლა-განათლება, საბჭოთა ქვეყნების სიმტკიცე შინ და გარეთ...

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 82 — კვირა, 9 იანვარი 1927 წ. — № 82

## ნათლის-ღება ლიტვაში



ხმა ზეციდან: ესე არს ძე ჩემი საყვარელი;—ისმინეთ მისი.

## სიზმარ-




ერთხელ, მხოლოდ ისიც ძილში
საუცხოვო ვნახე კრება;
ზეფიცებით ნახვა მისი
მე დღესაც კი მენატრება.
ტახტზე იწვა ორი ვინმე:
ბარონი და მგონნ ნიკო,
ძილი ჰქონდათ საუცხოვო
და ლოგინიც რბილი იყო...
მათ, თავ-ბოლო შექცეულებს
უღიმოდათ სახე ისე
რომ ღიმილში ჩაწნულიყო
სახელგამის სიხალისე

ცალ-ცალკე და ორივ ერთად
წასულიყვნენ მგონი სიზმრად
და სახეზე ალბეჭდოდათ
ნეტარება სიზმრის იმათ.
დასტათ ეწყო კალენდრები
დაბეჭდილი „ადრე" ფრიად:
დახვეოდა მათ მუშტერები
ვინ ნაღდათ და ვინ ნისიად,
ერთი—ტაჩკით ეზიდება,
მეორეს კი—მიაქვს ეტლით,
„გრუზავიკთა" სიმრავლეზე
ნუღარაფერს ნუღარ მეტყვით.

ვინ იძახის:—„მეც მომეცით,
უკალენდროთ მგონი ვრჩები!
და ვის კიდევ უხმოთ მოაქვს
ლასტა-დასტა ჩერვონცები.
კალენდრები დაბეჭდილი
მთლად გაზიდეს ერთი-ათად,
კალენდრები ილეოდა,
მოსცვიოდა ფული პანტად!
ფული სცვივა, ზოგს ბარონი
ზოგსაც კიდევ ნიკო იჭერს
და მოგებას უკეთესსა
სახელგამს რა მიანიჭებს!

## „პატივის-ცემა"

მამაჩემი საერთოდ, სტუმართ-მოყვარული იყო,—და მეც, რასაკვირველია, მისი შვილი ვარ;—სტუმარი ძალიან მიყვარს, მაგრამ არც სტუმრებს ვძულვარ, როგორც ვატყობ. სადგურზე იშვიათად გავდივარ, მაგრამ როცა გავალ ორი სამი სტუმარი მომყვება სახლში. მისამართს ხშირად ვიცვლი, ხან ქალაქის ერთ კუთხეში ვარ, ხან მეორეში, მაგრამ ის ოჯახაშენებულები მაინც მაგნებენ.

— მობრძანდით, დაბრძანდით, მიირთვით, უკაცრავად, მადლობთ. ბევრი გიახელით.—და ასეთი ქათინაურები გაისმოდა ჩემს ოჯახში თითქმის ყოველ დღე. ყოველ მოსულ მატარებელს ახალი სტუმარი მოჰყავდა და მატებდა ღვთის წყალობას ჩემს ოჯახს. ოთახი ისე იყო ხანდახან სავსე მოსულებით, როგორც სადგური მგზავრებით, მე და ჩემი ცოლი თითქმის ფაქტიურად გავშორდით ერთმანეთს: ის ლოგინთან წვებოდა იატაკზე, მე კარებთან: ზოგს საბანი ეხურა, ზოგს ფარაჯა და ზოგს რაღაც ძველები.

მიუხედავათ ასეთი გამასპინძლებისა, მაინც კმაყოფილი იყვნენ ჩემი სტუმრები და, აბა, მე რა მეთქმოდა.

ერთ საღამოს ჩემს ბინას ერთი წყვილი ახალი სტუმარი ეწვია. ერთი გახლდათ ჩემი ძველი მეგობარი დათიკო ზახუტაძე და მეორე—ჩემი უცნობი, მისი მეუღლე ანასტასია თედორეს ასული.

გაუხარდათ, გამიხარდა, გავახარე ცოლიც და შვილიც ნაძალადევი სიხარულით. იმ ღამეს კარგი ვახშმის შემდეგ კარგად მოვასვენე; მეორე დღეს ჩაის შემდეგ მატარებელიც მოვაგონე, მაგრამ თურმე ზღვის აბანოს მისაღებად ჩამოსულიყვნენ და ერთი კვირა რჩებოდნენ.

„სტუმარი ღვთისაა"—ვთქვი ხევსურული თავაზიანობით და ვითომ კმაყოფილად გავიღიმე. მიდიოდა დღეები, ღამეები და სტუმრები არც კი ფიქრობდნენ წასვლაზე.

ერთ საღამოს სამსახურიდან გვიან დავბრუნდი, ოთახში რომ შევედი, ბნელოდა; აღარ ამინთია სანათი, წავედი ისე გავიხადე ტანზედ და იქავე იატაკზე დაწოლილს ჩემს ცოლს მოვუწექი და... შემდეგ ჩამეძინა.

ჯერ კარგად არც კი გათენებულიყო, რომ ვიღაცამ კარებს კაკუნი დაუწყო. მე ყურადღებაც არ მიმიქცევია, მეორე გვერდზე გადავბრუნდი და ხვრინვა ამოვუშვი.

— დაგწყევლოს ღმერთმა, შენ თუ დრო იცოდე მოსვლის!—ჩაილაპარაკა ლოგინზე ნამძინარევმა ხმამ, წამოდგა და კარები გააღო.

# -ცხადი

# სახელგამი



ერთხელ მხოლოდ ისიც ცხადათ
საუცხოვო ვნახე კრება:
გაფიცებით ნახვა მათი
დიდათ აღარ მენატრება.
სახელგამის ვიტრინასთან
თვალი მოვკარ ნიკო-ბარონს.
და ამ ნახვამ მე სიცოცხლის
მგონი დღენი გამიმწაროს.
შესცქერიან სახელგამის
ვიტრინასა და თაროებს
თანაც სევდა შუბლის ნაოჭს
ბზრასავით აფართოებს.
ცალ-ცალკე და ორივ ერთად
დღეს ხედავენ უკვე ცხადათ.
რომ სიზმარი საუცხოვო
კალენდრისგან გაეფანტათ.
მრავლად ეწყო კალენდრები
დაბეჭდილი ფრიად „ადრე“,
თან ისეთი, რომ კარდონზე
ვერც ერთი ვერ მივამაგრე.
ოოსვენებულს თაროებზე
იმათ ხელი არვინ ახლო,
მხოლოდ თავენი შესცქეროდენ
მოკრძალებით, შორი-ახლო.
ბარონ ჰკითხავს: —„ნიკო ჩემო,
მითხარ, მითხარ შენსა მზესა,
ეს ამდენი კალენდრები
სადღეისოდ რას უმზერსა“?
ნიკო ამბობს—:„ბარონ ჩემო,
აწ ხომ გავა აგი წელი?
ჰო და—ჩვენი კალენდრებიც
იმ მეორე წელსა ელის.
ფული ბევრი დაიხარჯა?
ქაღალდი ხომ დაგვრჩა ბლომად?
და მგონია კი გვეყოფა
მკითხველების გასაძღომად;
რა ამბავი, რა შაირი
რა გინდა, რომ იქ არ იყოს
და თუ ყველა არ გასაღდეს
მაშ, მოგიკვდეს შენი ნიკო!
გაიმაგრეს გული ამით—
თუმც სალარო დაგვისუსტა—
და ეს მიტომ, რომ კალენდრებს
თურმე ბეჭდვა დროზე უნდა.
მაგრამ დღეს კი ბარონ-ნიკო
სანაძლეოს მაინც სდებენ
რომ წაგებულ წრეულ ფულებს
გაისისთვის მოიგებენ.
ჩვენც ვერწმუნოთ. განა რწმენა
თვით ბუმბერაზ მთებსაც არ სძრავს?
ჰო და—ამ ჩვენ კალენდრებსაც
გაისს—თავეი მაინც დასძრავს!..

**მორიელი.**

— შეგაჩვენოს ღმერთმა, სად იყავი კაცო ამდენ ხანს მოსვლა რომ ვერ გაგიგია სახლში.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო; ქალაქში დავიბენი და ამდენხანს ქუჩაში დავდიოდი.—უპასუხა კაცის ხმამ; ძილში ვიყავი, მაგრამ გამოვერკვიე რომ ის კაცი ჩემი ამხანაგი იყო და ის ქალი კი ჩემი ცოლი.

ეხლა შევკრთი. ლოგინში ხელი მოვავლე; ქალი გვერდში მიწევს. კარებისკენ გავიხედე, ჩემი ცოლი ჩემს ამხანაგს ელაპარაკება.

— მე ჩემი ქმარი მეგონეთ, მაპატიეთ—ეუბნება ჩემი ცოლი და თან იბნევა.

— თქვენი ქმარი არ მოსულა სახლში თუ?

— არ მოსულა და არც ვიცი რა მოუვიდა... მე თქვენთვის იატაკზე გავშალე ლოგინი უფრო ფართოთ მოისვენებთ მეთქი—ეუბნებოდა ჩემი ცოლი და ჩვენსკენ იხედებოდა.

მე უკვე მივხვდი,რომ სხვის ცოლთან ვიწექი და აღარ ვიცოდი რა მექნა, ადგომა შეუძლებელი იყო და ისევ თავი მოვიმძინარე.

ჩემმა ამხანაგმა ტანზე გაიხადა, ლამპა ჩააქრო, გვერდით მომიწვა და ისე მაგრად მომხვია ხელი, მიმიკრა გულზედ და მაკოცა, რომ....

— ვაიმე! მიხდის სამაგიეროს მგონი! — ვიფიქრე მე და გადავბრუნდი მეორე გვერდზე.

—ეი, ვინა ხარ?!—იყვირა მან და ზეზე წამოვარდა. მის ყვირილზე სხვებმაც გაიღვიძეს, მეც წამოვვარდი. ჩემ გვერდში მწოლმა ქალმა შიშისაგან აკანკალებულმა ყელზე მომეხვია და ფართხალი დაიწყო.სინათლე აანთეს, მთელი მდგომარეობა გასაგები შეიქნა. სათქმელი არც ერთს არაფერი გვქონდა, საქმე ხუმრობაზე გადავიტანეთ, მე და ჩემი ამხანაგის ცოლმა ყველას დავუმტკიცეთ, რომ ჩვენ დაძმასავით გვეძინა და ერთმანეთისთვის ხელი არ გვიხლია, მაგრამ მისმა ქმარმა იმდენი ურწმუნოება გამოიჩინა, რომ ჩვენი ფიციც არ დაიჯერა და თუმცა სამი ვანა კიდევ სჭიროდა, მაგრამ მეორე დღესვე წავიდა.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“,—სწორედ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი.

**ჯ. იბოლი.**

# ომონი



მოქალაქე (მილიციელს): კაცო, წადი და დაამშვიდე ისინი; ხომ ხედავ, ჩხუბობენ და ერთმანეთს ჰკლავენ?

მილიციელი: იმათ ჩემი მოტყუილება უნდათ, რომ ჩავერიო ჩხუბში და მცემონ... ვერ მომატყუილებენ!

# ზამთარს

შენ მტარვალი ხარ, ბოროტი, გულქვა;—
მუდამ გწყევლი და გიგონებ ავად;
გახარებს ჩემი სახის დათუთქვა;
მოდიხარ მუდამ დაუკითხავად...

იქნებ არ იცი ჩემი წამება,
ჩემი ცხოვრების „პალაჟენია"?!
შეგეწირები,, თუ გეამება...
გავიყინები, თუ არ გრცხვენია.

ოჰ! შენ ულმერთოვ, შენ გწყევლი ეხლაც
ჩემს ცივ ოთხაში რომ ვზივარ კენტად.
არ გავექეცი მე შენთან შეხლას,
მასხრად ამიგდე და დაგხვდი „ლეტნად".

ხომ კი იცოდი: შენს შესახვედრად
მე არ ვყოფილვარ მზად, „აბესპეჩი",
დიდი ხანია, რაც თავს მოვესწრო
არ მღირსებია ოთახში „ფეჩი".

მაქვს მხოლოდ ერთი ადამის დროის
გვერდშემტვრეული მე „კერასინკა";
ავანთებ,—ბჟუტავს, ბოლავს, ბუზღუნებს,
ვუხ[illegible] ვვერდით, როგორც რომ ქინკა.

ჩემი სი[illegible]ოლდვე, ძალლიკ არ არის,—
ათასი [illegible]ალმა მერევა გულში:
ჩემი საბანი—შეი გახსოვს ალბათ—
ისიც კაკაიდე შარშან ბაფხულში.

აბა რა ვქნა, სად წავსულიყავ,—
კუჭი მეწოდა, პური მშიოდა.
ვსთქვი, რომ უსაბნოდ იოლად წავალ,
რადგანაც მაშინ ჯერ არ ციოდა.

შენც შემომიჩნდი, როგორც ეშმაკი,—
დამტანჯეე, ქკუა წამაგებინე
და საზაფხულო თეთრი ტუფლები,
ულმერთოვ, შავად შემაღებინე!

შენ არასოდეს ჩემზე არ ფიქრობ,
მე ეს მაბრაზებს, ეს მტანჯავს მარტო...
რა იქნებოდა დეზერტირკიდან,
რომ წამოგეღო შენ ჩემთვის პალტო.

არ იფიქრო, რომ მე „მოდნი" მინდა!
— მაგრე არ მითხრა, არ გამახელო,—
ოღონდ გვერდები ოდნავ გამითბოს,
თუნდაც არ ჰქონდეს ორივ სახელო.

მითხარი აბა, შენ რას ფიქრობდი
ხელცარიელი სტუმრად რომ მოდი.
რომელი პრინცი მე მნახე ერთი,
ან ქურქიანი „პაჩოტნი" ლორდი?!

ბუშტი.

# უკუღმართი „ნათლის-ღება"



თუმცა ფეხზე ველარ ვდგები და სიცივე ლაფში მყინავს,—
მაგრამ ვხედავ, ეჰე, ცაში სული წმინდა ჩემზე ფრინავს..

მეც აქ ისე ვინათლები, როგორც ქრისტე მაცხოვარი..
ღვინის სმასა ქრისტიანმა როგორ უნდა უთხრას ვარ..

# ზაჰესის ბრალია

„მუშკოოპის მაღაზიებში იყიდება კოოპმრეწვის მიერ ახლად გამოშვებული საუკეთესო ხარისხის შოკოლადი „ზაჰესი". (გაზეთების ქრონიკიდან).

— გაიგე ვაჰაკჯან, ეს რა შტუკა მამსვლია? ვაი, სუფსარქისის მადლმა დაშამათოს ამ ზაგესის მამგონი, როგორც მე ჟუტკი პრიკლუჩენიაში ჩამაგდო მაგაშა! ვა, ქრისტიანო, დაფიცული ვარ რაღა, მითქვიფ, თუ მაგათი ფაფრიკის რამე ჩემს ოჯახში არ შამოუშო,—თარსი ხალხია, ოინებს არ მამიშლიან მეთქი, ჰამა მაინც არ იქნა, შარსა და ნედარაზუმენიებს ვერ ავცდი.

ახარ აკანჩატელნათ მაგათ ხელში ჩავვარდნილვარ რაღა, ჯადო შაუკრიათ ჩემთვის—ჩარი უქნიათ და რამტოლიც უნდა ვიჩალიშო, კიხოდი დამკეტია, ყისმათი წასულა! მეც მოლას ვირივით ტერპენია ვშვრები, ვჭამ და ვჭამ აბიდებსა! ჰამაც ეს ბემურაზი ფარსადანი ჩემი ზაკლიატი მტერი გახდა, არ მეშვება,—მთელი ჩემი ატრიცატელნი რამეები „ტარტაროზში" აგდებს, მთელ მილეთს ჩემზე აცინებს და ალავლავებს,—მე კი ჯიგარში ნეუგასნი პაჟარი გამჩენია, მედლენათ ვიხრუკები და შამბრალებელი კი აღარავინა მყავს.

ჰუზურში ყველაფერი კი ამ არსაქნელ ფეფელოსგნითა მჭირს, სხვას რა დავემდურო: ეს ბემურაზი, შაჯდება ეშმაკის ცხენზე და ისეთ რამეს გამაატყვრენს, რომ პუპუზ, ნეპრემენი აბიდა და ბაიაზლივი მამენტები არ ამცდეს, ქვეყნის ბერეკა და მიშკინა არ გამხადოს,—მერე ადექი გეოჯან და ვირი ტალახიდან ამაიყვანე! მოდი შენ და ბოლმა ნუ გაგხეთქავს...

ახარ, იტოგი რომ ვაკეთეფ მაგისგნით ბევრი ისემე მიჭამია რაღა—აბიდა, ფათერაკში ჩავვარდნილვარ და ბესმისლენი რასხოდებიც მიქნია.

დილმის ამბავი ხომ გახსოვს, კანდრაბანტაზე რო წამიყვანა და ჩუჩუტ მელიების ზაკუსკათ არ გამხადა, ჰამაც აბიდა და შიშიც სხვა იყო.

იქიდან რომ ასეთი ნავნებით ჩამოვედით, ნერვნათ ვიყავი და ველარ მოვითმინე, ლაზათიანი საყვედური უთხარი და კარგათ გამოვშუპრე. ვებნები:

— დედაკაცო, ახარ რა ჰაკარაკი შაგძრომია, მაისვენე რაღა, ოგური ქენი რომ ან დახლში ბარაქა დადგეს, ან გული საგულეში დარჩეს.ამტოლ ნეუდაჩებში რაზე მაგდეფ მეთქი! პაჰ, პაჰ, პაჰ, პ-ა-ა-ა-ჰ, დუშმანის ყურმა გაიგონოს, რაც მაშინ იმან იჯიჯინა! ისე შახტა და დეეცა, რომა რბილი ადგილები სულ ატბივნოი კატლეტივით გაუხდა. გაალო რაღა კაპასობის ზანდუკი და გადმაალაგა იქიდან თავისი დუხოვნი საკროვიშჩები,—ერთი ილრიალა, ვაჰაკჯან, ერთი ილრიალა, რომა ქვაც ვერ გაუძლებდა იმის გამგონი. ჰიმანუმეს? დაეე დამაყვედრა, რომაო—შე ბეხრეკო, მადლობელიც უნდა იყო, რომ აქამდისინ რაზვოდი არ გიყაჲი და კაი ჯეჰელი, კოხტა ბიჭი არ მოვძებნეო, შენგნით ჩიხოტკა გამჩენია, ტერპენიის პუზირკა მისქდება და ჰამაც დავოლნი არა ხარო? ამას იქით შენ შენთვის და მე ჩემთვისო, სამასტაიატელნი ცხოვრებას გავაკეთებო! ერთის სიტყვით, ათასი აბიდნი რამეები თქო რაღა, დიდი სპორი მიყო.

იმას აქეთ სულ გაფხვერილი იჯდა და სახლში რო შავდიოდი, ზედაც აღარ მიყურებდა. სპალნაში აღარ შამიშო და ლოგინი სტალაოში გადმამიყარა. ახარ, მეც კაცი ვარ თუ ვირისთავი, გავჯავრდი რაღა და გულში ვთქვი, თუ: თოლ, გაწყრეს. უფრო სართაა, ფულს აღარ მამთხოვს მეთქი. გულში კი მეშინოდა, იზმენიტი არ მიყოს მეთქი და ჩვენი მელიქას ცოლს ოსანას დავავალე ნაბლუდენიას გაკეთება.

ერთი თვე რო გავიდა, ფეფელოც ნელნელა მოტკბა, მოლბა, ბარხატნი გახდა და პუპუზ, ისევ მაქრათ დამედო, ჩემი ლოგინი ისევ სპალნაში შაიტანა და მებნება, თუ:

— გეოჯან, ახარ კაპრიზნობას თავი დაანებე, ეგ რა ვაჟკაცის საქმეაო, მე თუ რამე გაწყენინე, რა უყოთ, ნერვნი ვარ, შენ უნდა შამიფეროო.

შაფათ საღამოს დუქნიდან ძალიან დაღლილი და მშიერი დავბრუნდი სახლში, კაი სადილი დამახვედრა, ნალივკა მამიტანა, ჰამაც დესერტი მააყოლა, მადაზე მამიყვანა რაღ, ამჰიკჰიკა! ბოლოს ნუყლი და შიკალატიც გადმოიღო,—აიღე, გეოჯან, ასეთი ნაჭამი უფრო კარქ გუნებაზე დადგებიო. ბლომათა ვჭამე. ბოლოს დავხედე შიკალატის იარლიკებს; ვკითხულოფ: „შიკალატ ზაგეს".

ვა, ელფენი მამივიდა, შიშისგნით სტალბნიაკი დამეცა. ქვეყანამ იცის, გრანიცაშიც კი გაგებული აქვთ, რომ ზაგესი ლიხტრიცკის ზაოტია, იმით ქვეყანა უნდა გაანათონ, იმის ტოკით მაშინები უნდა ატრიალონ, პოეზდები და კონკები უნდა გააქცუნონ, ლიხტრიფიკაცია უნდა ქნან რაღა—პრაიზვოსტვა გაალონ, ერთი სიტყვით, ის საჭმელი არ არის, ის ტოკია, სილაა, სმერტელნი რამეა!—წაიკითხე რაღა, ყველა ქუჩაზე ბუტკები გააკეთეს და ზედ ვივესკები მიაკრეს: „სმერტელნო"-ო. პრედუპრეჟდენიას უშვრებიან ხალხსა: ჰაა, ლიხტრიცკი არა სჭამოთ, თორემ აპასნია, სმერტელნიაო. ამ ბემურაზ ფეფელოს კი უყიდნია და ჰამაც მაჭამა—ზნაჩიტ, უმიშლენათ უქნია, ჩემი მოკვლა უნდა და ატრავლენია მიშვრებ! ვებნები:

— ფეფელ რაზე დაგიღუპივარ, ეს რა მოგიტანია, არ იცი, რომ ზაგესი საჭმელი არ არის?

იცინის, თუო, რა ნედაგადლივი რამე ხარო,—ეს ახალი ფაფრიკის კარამელია და, რახან ზაგესი დიდი იავლენიაა, იმის სახელი შიკალატსაც დაარქვესო, ეს ფირმაა, ნაზვანიაა, კაიჰკებში ჩაწერილი სახელია, ნამდვილი ზაგესი კი სულ სხვა არისო.

— დედაკაცო, რას ლაპარაკოფ, ბუტკებზე არ გინახავს?—ზედ შიკალატის პლიტკები და კაცის თავია დახატული და სწერია „სმერტელნო" ზნაჩიტ ეს ის არის, რომა ამ შიკალატში ლიხტრიცკის სასტავაა, ტოკია, დაგარტყამს და მამენტალნათ გაგათავებს, ახარ თუ დუქნებში იყიდება მყიდველმა თითონ უნდა იცოდეს, რომ ეს ლიხტრიჩესკი პრისპასაბლენიაა და იმის ჭამა არ შაიძლება. ეხლა რაღა ვქნათ მეთქი? იმასაც შეეშინდა, ორივენი ჟუტკათ გავხდით რაღა, ჩელეთ-მელეთმა მოგვიარა.



ფეფელოს თავი ასტკივდა, ნერვნათ გახდა და ლოგინში დაწვა. მე კი მუხრისკენ ზურგ-შექცევით ტახტზე წამოვწექ და გული არსენალის ზარბაზანივით მიბრაგუნებს, ვფიქრობ: ჰაა, საცაა სულთამხუთავი მოვა გეოჯან, და სულს სტაფილოსავით ამოგაძრობს, ალსარებას ვამოფ, ლოცვებს ვბუტბუტეფ და თანაც ლიხტრიცკი აპასნოსტი ფიქრიდან არ მცილდება.

დიდიხანი გავიდა.

დაღლილს ჩამძინებოდა და მაჯლაჯუნა დამწოლოდა, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ სულ საცვლები დამსველე-

# „ბულმავინყი“



— მამა ნუ წამიწყდება, როცა ვქეიფობ სულ ყველაფერი მავიწყდება ამ ქვეყნათ!
**მიკიტანი**—ვა! ამ ოჯახქორს, ნახარჯის გადახდაც არ დაავიწყდეს და!

ბოდა. თურმე „სმერტელნი“ ბუტკასთან მივდივარ და ზედ დახატულ ჩერეპს ვეკითხები:

— ღრაქდანინ, შენ რისგნით მომკვდარხარ?

იმან გაცოცხლდა, ჩონჩხიანი ხელები მამხვია და მეჲბნება თუ·

— ტოკი ვჭამე, ლიხტრიცკი სასტავა ვჭამე, დარიგება არ დავიჯერე და სრაზუმ მოვკვდი, ახლა შენი ოჩერედი მოსულა, ხვალ შენი ჩერეპიც ბუტკაზე მიეკრობაო. თან იცინის. ჰამაც დიდი მაშინები ხტუნვით შემომეხვივნენ, ყველანი თვალებს მიბრიალებენ და ჰამაც პირიდან ცეცხლს მაფურთხებენ. ვატყოფ, რომ მეც თანდათან ცეცხლში ვვარდები, პაჟარი მიჩნდება და აბჟოკი მამდის. უცბათ ტკივილმა გამამაღვიძა, ვხედამ, უკან ხარეს, ზურგის ქვემოთ რაღა ცეცხლი მიკიდია და ვიწვი. ზნაჩიტ მართალია, ეს სიზმარი არ ყოფილა მეთქი. ენა ჩამივარდა, ჰამა მაინც მოვასწარი და დასაკლავ ღორივითა ვყვირი:

— გამაქრეთ, გამაქრეთ, ტოკმა უეე დამარტყა, პაჟარი მამდის მეთქი. ფეჭელა გიჟივით გამოვარდა. ხან აქეთ ეცა, ხან იქით, ბოლოს აიღო წყალი და მასხამს და თან ღრიალებს:

— გეოჯან მეც ჯიგარი მეწვის, ზნაჩიტ ტოკი მიჩნდებაო და მეზობლებს უძახის.

მთელი უბანი შაიყარა, ტრევოგა ქნეს, პაჟარ-კამანდას დაუძახეს და მამენტალნათ ჩვენი სახლი ურიების სინაღოღას დაემსგავსა.

მალე ჩამაქრეს.

ქვაზე მოვედით, მივიხედ მოვიხედეთ და მთელი ტაინა იასნი გახდა: რის ლიხტრიცკი, რის ფლანი, რის ფსტანი. თურმე ბუხრიდან ნაპერწკალი გადმოვარდნილა და შარვალზე მამკიდებია, იქიდან პატარა პაჟარი გამიჩნდა რაღა და ამ სიზმარის პეჩატლენიისგნით მე გონს ვეღარ მოვედი, მეგონა თუ ტოკი მარტყამს და ვკვდები.



გამაქრეთ, გამაქრეთ... დავიწვი... პაჟარი შამდის...

მამეჭრა თავი, ხალხმა მახსარათ გამაკეთა, მეზობლებმა ჩარბუზანა ქნეს და მთელ დუნიას გააგებინეს. კიდევ კარგი თუ ტარტაროზში არ ჩამაგდეს.

ეს ყველაფერი კი მაგ შიკალატ ზაგესის მამგონის ბრალია! მაგ ბემურაზებს თუ ფირმა უნდათ სხვა რამე დაეწერათ რაღა, გოზალოვის კამფეტს რომ ზაგესი არ ერქო გემო არა ჰქონდა? ეხ, მახლაზ, მაგათი ფაფრიკისგნით მე ხეირი როდის მინახამს?

ფარსადან.

# „ტრაღედია“

ახალ წლის (აწ დამდგარის)
ორი-სამი დღით უკან,
გრძელ განცხადებით ხელში
მიდის უფროსთან ლუკა.
როგორც ყოველთვის, ეხლა
აღარ უცინის სახე.
ცრემლები მოადგება
თვალებზე იმის მნახველს.
ეკითხებიან—კაცო,
რად დაგიკარგავს ფერი,
იქნებ გაგქურდეს ღამით
წაიღეს ყველაფერი?..
იქნებ გაგექცა ცოლი,
გადაიკარგა სადმე,
ან იქნებ ამ საშობოდ
შემოგეფლანგა რამე?..
გვითხარი, რა გაწუხებს,
რადა ხარ ასე ცუდათ,
იქნება ამ წლის ბოლოს
უღვთოდ შეგკვეცონ უნდათ?..
ყურსაც არ უგდებს ლუკა
მეგობრებს და ძმა-ბიჭებს;
კაბინეტისკენ უხმოდ,
უსიტყვოდ მიაბიჯებს...
მივა, ჩადგება რიგში,
იცდის ერთს საათსს. ორსა..
ამბობს:—დასწყევლოს ღმერთმა
დღეს აქ ეს ჩემი მოსვლა!..
სადაც არ წახვალ, ყველგან
ბიუროკრატიზმი არის:
რა ქნას საწყალმა კაცმა,
ვაი იმისი ბრალი!..
კართან ატუზულ დარაჯს
შეეხვეწება ლუკა:
მოვსულვარ, ნუ გამიშვებ
ხელცარიელსა უკან.
დარაჯი კი უარს არის.
ლუკა მიჭუტავს თვალსა.
დარაჯი მორჩილდება.
სწრაფად გაუღებს კარსა.
და შევა შიგნი ლუკა
გრძელ განცხადებით ხელში,
და იქვე მაგიდასთან
აიტუზება ხვეწნით.
თხოვნას გაუწვდის შემდეგ,
წაკითხვას არც კი აცლის.
შესძახებს:—ვილუპები
ცოლშვილიანი კაცი!..
უქმე დღები მოდის,
სუყველას უხარია,
ჩემი შვილები სახლში
ტიტველ-შიშველნი ყრიან.
არ მყოფნის ჯამაგირი,
მმართებს თქვენიც და სხვისიც;
ერთი კაპიკი რაა,
ჯიბეში არ მაქვს ისიც!..
და გეტყვით წრფელად, მოკლედ.
არ მიყვარს ბევრი გრეხა.
ავანსად თვის ჯამაგირს
ნუთუ ვერ მომცემთ ეხლა?..
ფიქრობს უფროსი, ტვინი
წაიღო ყველამ რაღა;
ახედ-დახედავს, ჯღაბნის
დაელოთ ფართედ ხაზს.
და შეშინდება მაშინ,
უარი აქ არ გავა.
პრესაში საჩივლელად
აუცილებლად წავა.
ტყუილ-უბრალოდ შემდეგ
გამომაბაძენ ქესტს...
ეხ, რაც იქნება, მივცემ,
სხვას არვის ამის მეტსა!..
ლუკას აცილებს ტანში
უფროსი მწუხარად არის...
მაგრამ ამზადებს ქაღალდს.
მიეცეს ნათხოვარი.
ოცნებით ფრთებ შესხმული
გამოდის ლუკა კარში.
მაცურავს... ჩაუდგება
დარაჯი უკან კვალში.
ლუკა უმატებს ნაბიჯს.
ლუკა ქარივით მიქრის...
--ვაი თუ დამეწიოს—
აწუხებს ამის ფიქრი.
მაგრამ მდევარი ავი
აღმოჩნდა უფრო მარდი.
კუთხეში დაეწევა,
სახეზე ცეცხლი ადის.
ლუკას ადარდებს ერთი
არ დაიკეტოს კასა...
დარაჯი იგი ცხვირწინ
უდგას... და ჭუტავს თვალსა.
მაგრამ არ კრთება ლუკა.
სიმშვიდეს იჩენს სრულსა.
აიღებს, დაკრავს თავში
და ამოახდენს სულსა...
წავა კასისკენ შემდეგ
და იქ სასწაულს ნახავს,
მოლარე სალაროდან
იჯიბავს მოზრდილ თანხას...
ლუკას ეს როდი უკვირს,
ამასაც ერგოს ძვალი
მხოლოდ თავისას ითხოვს
რეზოლიუციის ძალით.
მოლარე ვირზე ჯდება.
არ არის, რა მოგართვა?..
აქ ვერ უშველის, ძმაო,
ვერც ჩხუბი, ვერც ნებართვა.—
ქრება ჰაერში ხვეწნა
ხან ცივი, ხან მხურვალე;
არის პასუხი ერთი:
„შემოიარეთ ხვალე“.
და ეკარგება ფერი
ჩვენს ლუკას გულმოსულსა..,
ჩაკრავს მოლარეს მაგრად
და ამოათმევს სულსა...
კასაში შეიჭრება,
ხელი დაკუურავს, ელავს...
კასირს ჩაჯიბულ ფულებს
მსწრაფლ ამოაცლის ყველას.
გამოვა, არც დახედავს
თან წამოიღო თუ რა,
და ვით წყვდიადში ღამის
გაქრება როგორც ტურა...
ორი დღე, ორი ღამე
ქეიფობს ჩვენი ლუკა.
პირს არ აშორებს ღვინოს,
საცივს და მწვადებს მსუქანს.
ასმევს და აჭმევს ყველას,
კაცია ხელგაშლილი...
ახალ წელს ისე ხვდება,
როგორც ხელმწიფის შვილი.
მაკვლიელს კარზე მომდგარს,
ეტყვის:—მომშორდი, წადი,
თორემ ეს არის, ვფიცავ,
დაგკარი თავში წალდი.

## „მშვიდობიანი




ზრინუსი—(ლიტვის პრეზიდენტი) სმეტონას—
ბა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა მთელი ხალხ

# ბის გუშაგნი“



(...პრემიერ-მინისტრს): მე გეთანხმები, რომ მშვიდობიანო-...ბაში იქნება მოთავსებული.

რად მინდა შენი ღომი,
შენს სახლში მოაყარე,
ბედნიერება ჩემსას
მე უკვე დავამყარე!—
მაკვლიელს ეცინება,
მეხუმრებიან ალბად.
შედის და ღომის მარცვლებს
აულუხვად აპნევს დაბლა.
—იცოცხლეთ, ეს დღე თქვენთვის
საბედნიერო იქნეს!..—
მეტს ლუკა აღარ აცლის
და კართან ჩაკლავს იქვე...
და კვლავ განაგრძობს ქეიფს,
აულო ღვინოს ალლო.
ემუდარება ცოლი,
რას შვრები, შენ სულ ძაღლო!..
სიმწრით ნაშოვნი ფულით
რომ ხეთქავ ამდენ ხალხსა,
მითხარი რას უპირებ
მშობლებს, ცოლშვილს და სახლსა!..
ლუკა ნუ აქცევ ოჯახს,
ლუკა ქუჩაზე მოდი!..
მაგ გაუმაძღარ კუჭზე
დაგედის ბარემ ლოდი!..
და შეწუხდება ლუკაც,
რადა ვარ ასეთ ბედში...
და ცოლს ინგლისურ დაკვრით
მაკვლიელს უწვენს გვერდში...
ამბობს: ქეიფი სახლში
აღარ ღირს მგონი ეხლა.
ვიცი შვილებთან კიდევ
მომივა რამე შეხლა.
მაკვლიელთან და ცოლთან
საქმე ხომ მოვაგვარე...
ჩაიცვამს უცბად პალტოს
და გავარდება გარედ...
სამიკიტნოსკენ სწორ გზას
მუდამ იპოვის კაცი.
და მიდის ჩვენი ლუკაც
ხან დინჯად, ხან ბარბაცით.
მიდის გულმშვიდად,... უცბად
თოფნაკრავივით ხტება;
ცხადათ გრძნობს, თითქოს უკან
საშინელი რამ ხდება...
შემობრუნდება შიშით
და ფერი ადევს მიწის...
დარაჯი და მოლარე
ეტუზება ცხვირწინ.
იქვე დგას მაკვლიელიც.
ცოლიც გრძელ ჯოხით ხელში...
და უცბად ღრიანცელით
ლუკას წვდებიან ყელში...
დადნება ლუკას სული,
როგორც შამპანსკი ბოთლში...
და ელვიძება უცბად
გაწურულ სიმწრის ოფლში.
ამოიოხრებს შვებით,
არც წალდი... არცა წვადი...
—ავანსზე, პისკუნებზე
ჩამყვა უთუოდ დარდი...
ავანსი რომ მოეცათ,
ვინ იცის რა მელოდა...
სამის და ოთხის მოკვლის
შემოდის ეხლა მოდა...
დასრულდებოდა მაშინ
ჩემი სიცოცხლის ვადაც
დახვრეტას გადავურჩი
„წმინდა ბასილის“ მადლმა!..

სინემატო.

# ბრძანება № 16

სჰამდით და სჰამდით
შობა-კალანდას,—
ჯანი გექნებათ
მომატებული...

უკვე დრო დადგა
შეუდგეთ საქმეს
და გავანაღდოთ
ჩვეს ჩვენი თქმული.

მტერს თავს დავეცით
რისხვისა ზარი,—
და მიიმალენ
აქა და იქა...

მაგრამ ამაოდ,—
სადაც არ იყოს
მაინც გაძრება
მას ჩვენგან სიქა.

ჩვენ უნდა დავყოთ,
უნდა დავსაქსოთ
მოწინაალმდევის
ძალ-ღონე, რათა

შემდეგ ცალ-ცალკე
და სათითაოდ
თავს დავატეხოთ
რისხვა და ხათა.

ასე ამგვარად
ადვილად შევსძლებთ:
გავანადგუროთ
მტრის ძლიერება,

რომელიც არის
ხელის შემშლელი
ქვეყნად რომ იყოს
ბედნიერება.

**ბიუროკრატიზმს**
პირველ ყოვლისა
გაავთრებული
ჩვენი იერიში

(შეტევის დროს ხომ
არც ერთს თქვენთაგანს
არ ემჩნევოდეს
რყევა და შიში).

და ამიტომაც
ყველა თქვენთაგანს
გიბრძანებ:—ფხიზლათ
დამიგდეთ ყური:

უნდა მივუძღვნათ
**ბიუროკრატიზმს**
**ერთი ნომერი**
**სპეციალური...**

და ეს ნომერი
**84**
გამოვა ამ თვის
ოცდასამს, **კვირას**

აწი თქვენ იცით
ამ ნომრისათვის
რას გამოგზავნით
რას შემოსწირავთ.

**ტარტაროზი.**

2 იანვარი 1927 წ.

# ჯოჯოხეთის ქუთხე



## „დანართი“.

„ხათაბალა“ გვატყობინებს ქუთაისიდან: **„კოოპერატივში ორი-სამი მანეთის ფართლეულობა იყიდე, აუცილებლად, გინდა თუ არა, ძალით გაყიდვინებენ სხვა რამეებსაც, როგორიც არის: საპონი, ცხვირსახოცი, ტკბილეულობა და სხვა.**

აი, ვაჭრობაც ამას ჰქვია... გამყიდველი ცდილობს, რომ მყიდველს მომარაგებული ჰქონდეს ყველაფერი. მხოლოდ ამ მიზანით ამართლებს ქუთაისის კოოპერატივი თავის საღვთო დანიშნულებას.

რა არ ხდება ამ დალოცვილ... ქუთაისში!!

## „დიდი საქმე“.

არც ჩვენ ვიცით, თუ რატომ უწოდა ამ წერილს მურდივანმა ასეთი სათაური! ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს



სახალხო სახლი, რომელიც ეკუთვნის **სოფ. შილდას,** მიემგზავრება... დიახ! მიემგზავრება... რა გაცინებთ? **განა** ადამიანს თუკი შეუძლია საიქიოსაკენ გაემგზავროს, სახლს რატომ არ შეუძლია?! დიახაც შეუძლია, და ამიტომაც აუკრავს ბარგი-ბარხანა და მიემგზავრებ საიქიოს. ჩვენ ხომ იმას არ ვუარობთ, რომ ამ სახლის გადარჩენა არ შეიძლებოდა! პირიქით: ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს სახალხო სახლი ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებდა, რომ აღმასკომს მისთვის, როგორც ავადმყოფისათვის წამალი (შეკეთება) მიეშველებინა. ეს ვერ ჰქნა აღმასკომმა და ასე უპატრონოდ გარდაიცვალა და მიემგზავრება საიქიოს შილდას სახალხო სახლი. (თუმცაღა რა გასაკვირია: სახლს კი არა, საავადმყოფოებში ავადმყოფებსაც ვერ უვლიან და ბევრი მათგანი მიემგზავრება საიქიოს).

რაკი შილდაში ვართ, უეჭველად ახალ გზებზე უნდა გავიაროთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ აღმასკომის თავმჯდომარემ ახალი გზა გააუქმა და მაზე მგზავრობა ყველას ეკრძალება. მიზეზი არის ანდაზა: **„შორი გზა მოიარე და შინ ლაფში ამოსვრილი მიდიო“.** ამ საქმით უკმაყოფილო გლეხებს ეუბნება:

— **რათ გინდა ახალი სწორი გზა რომ გაიყვანეთ? სწორ გზაზე ეხლა თქვენ კი არა, მინისტრებიც ვერ დადიანო.**

საჭიროა მაზრის აღმასკომმა სწორ გზაზე დააყენოს სოფ. შილდას აღმასკომის თავმჯდომარე.

## „პრაქტიკული“.



როცა მკითხველმა ამ სურათს დახედა, ალბათ გაიფიქრა:

— ეს დღესასწაულების ბრალია!

მაგრამ ეს ასე არ არის... თუმცაღა შეიძლება ითქვას, რომ ასეც არის... და **არის** იმიტომ, რომ ჯამაგირის მიღება ერთგვარი დღესასწაულია. რატომაც არ უნდა იყოს! აკი ასე ამბობენ:

— როცა ფული მაქვს, ღვინის ყიდვაც მაშინ შემიძლია;—მაშასადამე: დღესასწაულიც მაშინ არის ჩემთვის!

მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელოთ. ამ დამტვრეულ თავებს არავითარი კავშირი არა აქვთ დღესასწაულებთან,—და ჩვენ უდანაშაულობას ვერ ჩავიდენთ, რომ ეს ცოდვები სარწმუნოებას მივაწეროთ, მით უფრო მაშინ, როცა ისედაც ბევრი თავები შეიწირეს შობა და ახალ წელმა.

ჰო-და, იმას ვამბობდით, რომ ეს თავები (რა თქმა უნდა, გატეხილი), ეკუთვნისთ ბათომელ ფოსტა-ტელეფონის კავშირის პრაქტიკანტებს, რომლებმაც ჯამაგირი მიიღეს... ახლო ხანში, პრაქტიკის შემდეგ ისინი სამსახურს მიიღებენ... მოსამსახურენი გახდებიან... ჯამაგირი ექნებათ... და სწორედ ამიტომაც პრაქტიკულად ემზადებიან ლოთობაში. ამ ახალგაზრდებს მაგალითს აძლევს (ესეც ხომ პრაქტიკული ვარჯიშობაა) საამანათო განყოფილების გამგე, რომლის გვარი (თანახმად **წყნარი ბიჭის** წერილისა), არის **თეოდოროვი.** ამ უკანასკნელს თავი ეხლაც შეხვეული აქვს. რომ ჰკითხოთ:

— **რა დაგემართა, კაცო? თავი რატომ გაქვს შეხვეული?**

გიპასუხებს:

— **დასწყევლოს ღმერთმა... კბილი მტკივა და არ იქნა მისი მორჩენა.**

ჩვენ არაფერი გვაქვს სადარდელი, როცა ასეთი თავები ტყდებიან. ერთი იმ მოსაზრებით, რომ: დიდ ღირებულებას მაინც არაფერს წარმოადგენენ; ხოლო მეორე— იმ მოსაზრებით, რომ: გატეხილი თავები მორჩებიან...

მაგრამ ჩვენ იმას ვდარდობთ, რომ **„მინები და კარები დაამტვრიეს“...** და, მოგეხსენებათ: დამტვრეულ მინის გამთელება შეუძლებელია. მაშინ, როცა გატეხილი თავის გამთელება ადვილი საქმეა.

## „ელდა“.




თქვენ რომ აქ გულწასულებს ხედავთ, ესენი გამოიყვანეს ქ. ხონის კოოპერატივიდან. ამათ გული წაუვიდათ, როცა ნოქარმა გამოაცხადა:

**გაიგონეთ: აღარ არის,**
**გაგვითავდა ბამბაზია.**
**მაინც არ გვაქვს, თუ გინდ მოგვცეთ**
**მეტრში შვიდი აბაზია.**

ამიტომაც მართალი არის **„ქოჩორა“**, როცა წინადადებას იძლევა, რომ ქ. ხონის კოოპერატივს მიეცეს სახელწოდება: **„ელდა“.**

## „ყ ა ნ წ ი“



აი ეს ყანწია, რომ ხელს უშლის (როგორც კირილეისონ გვატყობინებს) საჰამიასერის მასწავლებლებს, თორემ ეს უკანასკნელნი არ დათვრებოდენ, სკოლაში მეცადინეობის დაწყებას არ დააგვიანებდენ და, ერთი სიტყვით,სწავლის საქმე კარგად იქნებოდა... მაგრამ, რა მასწავლებლების ბრალია, თუ ეს ყანწი მათ მოსვენებას არ აძლევს და ყველგან დასდევს? რადგან ყანწი არ შორდება ამათ, უმჯობესია ესენი მოვაშოროთ.. სკოლას

## „ტყემ მოისხა.. ტიკები“.



დიახ! ეს სრული ჭეშმარიტებაა, და თუ ვინმე თქვენში ურევია „ურწმუნო თომა“, თუ კირილე,—ყური დაუგდეთ სოფ. სორში (რაჭის მაზრა) ჩხიკვს:

ეს ყმაწვილი იასონ
ჩვენი მთების მცველია.
როცა წავა ის ტყეში,
მისთვის არის თველია.
საჭაპური და ღვინო
ბოთლებით და ტიკითა...
(მას ხომ მაინც არ უყვარს
სმა პატარა ჭიქითა).

და საკვირველიც არ არის, რომ ტყე იჩეხება, ნადგურდება, ვინ იცის: იქნებ იასონ ტყის მოსპობის შემდეგ აქ ვენახის გაშენებას ფიქრობს! თუკი იასონის „კეთილ განზრახვას“ მხარს არ უჭერს რაჭის აღმასკომი, დროზე განუცხადოს თავისი უკმაყოფილება ტყისმცველ იასონს.

## „დადაგლება“.




თუმცაღა ეს სურათი თავის-თავად ამბობს ყველაფერს, მაგრამ მაინც ავხსნათ ამის შინაარსი:

საფოსტო ყუთი წერილებისათვის, მაზე ზის ქღმასკომის თავმჯდომარის კაცი (ხშირად კი თვითონაც) და უთვალთვალებს, თუ როდის გააგზავნის მუშკორი წერილს რედაქციაში. რასაკვირველია: ამ წერილს ჯერ თემაღმასკომის თავმჯდომარე „განიხილავს“ და თუ დაპაბეჭდია, ე. ი. მაზე მუშკორი ცუდს არ სწერს, ისევე ჩადებს ყუთში.

გლეხკორების მტერი არის,
ერთ წერილსაც აღარ უშვებს.
ამოაცლის საფოსტო ყუთს.
დახევს, გვერდზე გადაუშვებს.

ეს კიდევ რაა, მაგრამ ამ დალოცვილ ამაღლების თემში (გურია) სხვა ბევრი საკვირველებანიც ხდება. ცოტა ხნით კიდევ მოვუსმინოთ ა. ოროკელს:

ვახტანგისთვის ძღვენი მიაქვთ
(პუნქტის გამგე არის იგი).
იქნებ მაშინ გაილვიძოს,
რომ შედგება დიდი რიგი.
თუ საფერშლო პუნქტის გამგეს
არ მიუტან დედალ-მამალს,—
ისე იგი ავადმყოფ გლეხს
აღარ მისცემს არც ერთ წამალს.



ალბად ვახტანგი ასე წაბრძანდება ამაღლებიდან:

ბოდიშს ვიხდით, მაგრამ სკოლაშიაც შევიაროთ და გავიგოთ, თუ რა ხმაურია, რომ იქიდან გვესმის:

ოო! ამას კი არ მოველოდით. სად გაგონილა, რომ



სკოლაში მასწავლებლები კამათლებს თამაშობდენ და ისიც მოწაფეების თანადასწრებით?

ყველა ამის შემდეგ, რომ **ამაღლებას** ჩვენ **დადაგლება** ეუწოდოთ, ეს არ უნდა ეწყინოს არავის.

---

## „ტარტაროზი“ № 84
### სპეციალური ნომერია
## ბიუროკრატიზმზე

## სიყვარულის დამტკიცება



— ვანიჩქა, დამიმტკიცე, რომ მე მართლა გიყვარვარ!
— რა ვქნა, გენაცვალე, საკონდიტერო რომ დაკეტილი არ იყოს, ეხლავე დაგიმტკიცებდი.

## „თვითღირებულება“



— კაცო, რა ჩვეულება გაქვს, რომ მარტო მიდიხარ და შენ თავს ელაპარაკები ხოლმე!
— ეჰ! რა ვქნა, ჩემო კარგო, მიყვარს ჭკვიან და გონიერ კაცთან ლაპარაკი!

# სატარტაროზო

### „დუეტი“
(ქუთ. რკ.-გზის ყოფა-ცხოვრებიდან)

**კაცი**
ჩვენი რკინი გზის აბანო
აღარ არის საქებური:
შეხვალ, თბილ წყალს ვერ იშოვი,
ისმის ხალხში საყვედური.

**ქალი**
რა ქნას პეჩემ თუ თვით ეშჩემ
ხრა მისცა მას ნახშირი;
ან კი პეჩეს რა ბრალია
თუ პაჩინკა უნდა ხშირი.

**კაცი**
როს ქვალები ფეხებიდან
თავს მოიყრის კინკრიხოში,—
ვატყობ მაშინ მოსულია
ფართალი ჩვენ ზაკტეპოში.

**ქალი**
იმოტელა ოჩერედში
წიხლებს, მუშტებს გვერდში მცემენ;
ამ ბრძოლაში კაბას დახევ,
საპერანგეს ძლივს მოგცემენ.

**კაცი**
ერთი ჩეთვერ შეშისათვის
პირდაპირ რომ ჯვარს მაცვენო;
მაგრის ფასი გადვიხადე
ხელზე რბილი კი მომცენო.

**ქალი**
შენს მტერს შეშის ოჩერედში,
რაც დღეი მე იქ დამადგა!
იმდენ შეხლა-შემოხლაში
ზორტები სულ მთლად დამაწყდა.

**ორივე**
ისევ-ისევ დაგვიბრუნდა,—
ყველგან არის „ოჩერედი“;
უნდა ჩაღგე გზა არა გაქვს,
არ შეგრჩება წელი-გვერდი.

*კოსტაიდი.*

### სამტრედია

გული ვერ ითმენს ოხვრი,
ოორემ რაღა დროს ლექსია?!
(აქვსენტის კითხეთ,—თუ ვსტყუი,
აველაზე უკეთესია)

კლუბისა გამგეთ დანიშნეს
(ახალი ვინმე ბრძანდება)
წუნ კაბინეტი მოაწყო—
ალბად არგუნა განგებამ.
(არ შეიძლება ჯერ მისი,
არც ქება არცა ძაგება)

სული რომ მიწუხს, იმიტომ
არ შემიძლია ლოდინი!
ქარხანა—ჩვენი იმედი
დგას დაკარგული ლოდივით.

სამასი ქალი მუშაობს—
ყველა გლეხისა შვილები!
სისაწყლე-სილარიბეში
და ტანჯვით გამოზრდილები.

# „ლორდი“



**პალტოში**
როცა მიდის ქუჩაში
ხომ ჩამდვილი „ლორდია“?!

**უპალტოთ**
და ეს ლორდი უპალტოთ
ამნაირი „ლორდია“

დღე მათთვის ალარ ასათებს
და ღამე მუდამ ბნელია!
რაღაცა ჯავრი აწუხებთ—
პირდებიან... და ელიან.
(ე, მეთაურო ქარხნისა,
ნუ თუ აღარა გრცხვენია?!).
ხელოვნებაში მუსიკა.
დიდი განძი და დარგია!
ასეთი სკოლა ჩვენცა გვაქვს,
შიგ „ქაბბატონი“ ბრძანებლობს
(ვაი, სირცხვილო სადა ხარ)
მე მის ადგილას რომ ვიყო
გავწითლდებოდი ხანდახან.
(თუ ასე, ამ გზით იარა,
ვეტყვით: აღარა გვიყვარხარ).
ჯანმრთელობისთვის ზრუნავენ:
მუშა, გლეხი და მთავრობა!
რომ აღეზარდოს სამშობლოს
მხნე და ჯანსალი თაობა.
ამას არავინ ყურს უგდებს,
არავინ ეხმაურება!
და ჩვენც მოგვწყხნდა ლოდინი
და მუდამ ასე ყურება.
ლორთქიფანიძე ექიმი,
(იქნება წელი სამია)
არ ეხმარება ღარიბებს—
დაგვიდგა შავი წამია.
(თუ სამსახური არ მოგწონს,
მოგვშორდი ჩემო ძამია)
ყართაპეტოვი, ლეჟავა,
მისი გული და სულია!
ისინი ლორთქიფანიძეზ
დაგვისნეულა სრულიად.

—„ღმერთო გვიშველე, გვიხსენი!“—
გაისმის ხმები საზარი:
ხალხი ირევა ბუზივით,
ვით პარასკევის ბაზარი.
(ტანჯვამ და სევდამ იმატა,
ღმერთი კი არსად არ არი).

ერთხელ, ოდესღაც, კვირა დღეს,
გამოვაქვეყნე ცნობები—
რომ წითელ სასადილოში,
არ გვასვენებენ ლორები.

ერმილეზ რა ეს გაიგო,
მყისვე გაფერა ხანჯალი—
ერთხელ კი ცასა შეხედა
და არ დაიწყო ჯაიჯალი—

ყველასა ყელი გამოჭრა,
როგორც ყმას, როგორც მონებსა!
ვინ შეიბრალებს ნეტავი,
აწ სასადილოს ლორებსა?—
(ესე ამბავი ნამდვილი,
ქვასაც კი დაალონებსა)...

**ჭაგნელი ბზიკი.**

## მოგვაშორეთ

**სურამი**

ყოფილი მამასახლისის
„სახელგანთქმული“ ქვრივიპ.
მახლობელ მეზობლობაში
უყვარს მუშტი და კრივია.
დაძრწის აქა-იქ უბნებში
ღამობით, როგორც ღამურა.
თავისი ცუდ-ყოფაქცევით
სხვებიც [illegible]ვალი გამურა.
ბლომად აქვს „ნაიმასქნარი“
ცხვარი, თხა. ხბო თუ ღორია;
ეზოდან დენის ქუჩაში,
ჰგონია რომ მინდორია.

ტარტაროზ, ისევ და ისევ
შენგან მოველით შველასა;
ამ ქალსა თუ მოგვაშორებ
დაგვიხსნი ამით ყველასა.
რომ არა შეგცდეს ვინ არის,
გახსოვდეს სახელ-გვარია;
ყველა ამისი ჩამდენი
ქიმერიძეა დარია.

**უბნის ეშმაკი.**

## ფოთი

უნდა ვესტუმროთ, ტარტაროზ,
სატყეო განყოფილებას;
უკვე დრო არის: შევუდგეთ
იმათ საქმესა მხილებას.

როგორც ბუნების წესია:
ტყეში იმალვის ნადირი...
და ასე დღესაც თუ არის
არ არის მთლად გასაკვირი.

აქ თავმოყრილნი არიან:
ძველი მოხელე, მლვდელია.
ამბობენ: ჩვენ ერთმანეთსა
უნდა ვუმართოთ ხელია.

და მართლაც ხელს უმართავენ:
ახწყობენ თავის ამქრებსა;
განყოფილებას როცა აქვს
ისვით იჯიბავენ კანკრებსა.

მუშებს ფულს არა აძლევენ,—
—რა ვქნათ, არა გვაქვს ფულიო.,
რესტორნებში ითხოვენ:
—მოიტათ მოხრაკულიო.

შენ მოგვეშველე, ტარტაროზ,
შენ მოდგი აქეთ ფეხია,
რომ იმათ თავს დაატეხო
მრისხანებისა მეხია.

შენ თუ დროზე არ გვიშველე,—
მთლად დაიღუპვის საქმეო...
ჯამგე იძახის:—ვინ რას იქმნს?—
[illegible]ელაფერი ვარ აქ მეო.

**ხიმართლე.**

## ვინ არის?

**ჭიათურა**

საშუალო სწავლით ბრძანდება,
ცოდნა არ აქვს დიდია;
გული აქვს შურით აღსავსე,
და პირში მეტად ფლიდია.
„დიდებთან“ უყვარს ბაასი,
მუშა ფეხებზე ჰკიდია...
ასეთი კაცი, იცოდეთ,
ყველასგან მოსარიდია.

**ალი-ლოლლი.**

## ვანი

ცეკავს „ეპოს“ გამგეობა
და სიმღერა ისმის შორა;
სამდივნოში ბუქნას უვლის
ჩვენი მიშა ქამაბორა;
საწყალს წუთი მოცლა არ აქვს,
საქმეების უდგას გორა,
მართლაც დიდი საქმე არის
კამათლები თუ აგორა...

---

წარმოკავშირს უხარია,
ფიქრობს ვერ მიწვდება სტვირი,
სჯობს, რომ გამგემ ნოქრისაკენ,
მიიხედოს და ქნას პირი,
შევამჩნიეთ—სავაჭროში
„კომბინატორობაა ხშირი.
ტარტაროზის ჩამოყვანა
ჩვენ არ დაგვიჯდება ძვირი.

---

სასადილოს გამგეებიც
გვყავს ჩვენ მეტად სათნო ზრდილნი.
ყაურმა რომ მთლათ ძვლებია,
და უნდება კატლეტს რბილი.
(ალბათ „ეკრეურმით“ არის,
მათაც შეაქეთ თვისი წვლილი).
თვითონ რბილებს მიირთმევენ,
შენ იმტვრიე ძვალზე კბილი.

---

მაშ ყოჩაღათ, ჩემო სტვირო,
არ შევსწყვიტოთ ჩვენი მღერა!
მაინც ჩვენი ვანი არის,
სამშობლო და ჩვენი კერა.

## იქიდანვე

წესი არის, რომ პირველად
ვინახულო აღმასკომი.
ქეიფისთვის არ ვაწუხებ
და არც მინდა ხარჩო-ღომი.

თუმცა მინდა სული-გულით
აღმასკომი რომ შევაქო,
მაგრამ ეს მას არ შეჰფერის,
რადგანც არის იქ ამბაკო.

ყველგან ასჭრა მან ხეები,
ტყე გახადა, როგორც ვაკე.
ნარკის ფულებს რომ იჯიბავს,—
მე ამიტომ ვერ შევაქე.

საექიმო პუნქტის გამგეს
დავუმღერე ტკბილი ჰანგი,
განაპირა უბნებისთვის
თუმც არ არის დიდი მარგი.

იქნებ შრომა ბევრი ჰქონდეს
ვანის თემში დანაკარგი,—
მაგრამ ქალებს სდევდე მუდამ,
ბიქტორ, არც ის არის კარგი.

დიდია ცხრა წლედის გამგის
ენერგია და წყალობა;
რომ ბიჭად არ შობილიყო
მას შეჰფეროდა ქალობა.

მასწავლებლებსაც უსურვებს
მოესპოთ ინტრიგანობა
პოწაფეებსა ასწავლონ

და დაივიწყონ „გაბობა“.
ღობდიკოს მიძინებული
მსურთა მენახა გლეხკომი,
მაგრამ ძვლავ სტკივა მას „კუჭი“,
საჭმელად უდგას რძე-ღომი.
წარმოკავშირს მიულოცოთ
ერთი დიდი მანდარინა.
როგორც ფიქრობს გამგეობა
არც ასეა საქმე წინა.
სადგური გვაქვს და მის გამგეს
უნდა ვარგოთ ცოტა წილი.
არც ის ვარგა: მუდამ კაცი
ღვინით იყო გალეშილი.
უნდა ენახოთ, რომ არ დარჩეს
გულნატკენი ჩვენი ბანკი.
ქებას მასზე ვერ-რას ვიტყვი,
ფულის ნაცვლად აქვს მას მანკი.
გამგეობამ დაადგინა,
რომ უჩიულოს თავის თავსა;
(ალბად ჰფიქრობს რომ დამალავს
ასეთ ხერხით საქმეს შავსა).
რომ არ ენახო, ეწყინება
აღგილკომის მდივანს სიმონს.
თუ მელირსა მისი ნახვა
მივულოცავ მე ერთ ლიმონს.

კვინტრაძე.

## ს. საჭილაო

ტარტაროზო, გვჭირია
საქმის გამოძიება:
რად აწუხებს მუშკოოპის
გამგეობას ციება?!

არავის არ აძლევდენ
ნისიათ და ჩუმადა,—
რომ დიდის ხნის ნაშრომი
არ წასულოდათ უქმადა.
მაგრამ, თურმე პროკოპის
არვინ უშლის არაფერს:
თუ ინდომა—დუქნიდან
გაიტანს ის ყველაფერს.
—არ იქნება,—ამბობდენ,—
კაპიკის ნისია—
მაგრამ ერთი გეითხარით
ეს არის სინდისია:
ას მანეთის ნისია
პროკოპს გაუტანია,
და იმითი ცოლ-შვილის
შეუმოსავს ტანია!

ფულსაც აღარ იძლევა
ეს მეორე წელია,
(რადგან ძლიერ დასუსტდა
და ვერ გაიქვს წელსა).
გამგეობამ როდესაც
გააჭყიტა თვალია,
და გასინჯა სალარო,—
მას შიგ დახვდა ვალია.
თურმე ასე ვაჭრობდენ
შიგ ნოქრები მართლითა...
თუმცა სხვები დატოვეს,—
თვითონ „გაძღენ“ ფართლითა.

მიშა.

## ქიმითისათვის

ჩვენ რად გვინდა სამკითხველო
თუმცა იგი არის ვრცელი?!
ფანჯარიდან შევიჭყიტეთ,
შიგ შესვლაა მეტად ძნელი.

სამკითხველოს გამგეს ზურგზე
დავუჭიროთ მაგრად წკნელი...
წკნელი, მაგრამ, იცოდე რომ,
უნდა იყოს მეტად მწველი.

არ დაზოგო, იქნებ შემდეგ
ჰან ისწავლოს ამით წესი
და აწ აღარ წაუხდინოს
გლეხებს კითხვის ინტერესი.

---

აქ სკოლებიც ვინახულოთ,
მაგრამ უნდა ვიყოთ ფრთხილად:
მასპინძლებად თხები არის,
და შეგვხვდებათ ჩვენ გულგრილად.

---

აღმასკომის თავმჯდომარეს
მოუხდება წევა ყურის:
ვუთხრათ: თემში არ ივარგებს
უხვად თესვა მტრობა, შურის...

და თუ კიდევ არ ისმინოს,—
მას გადავკრათ მწველი წკნელი,
ცემა იყოს სულ მაგარი,
არ ივარგებს მასთან ნელი.

კოოპერატივში შევიდეთ,
იქ გვჭირია მარდი თვალი;
დახლზე ღვინის ნაკადული,
შიგ კი ხალხი არის მთვრალი...

კაჟუნა.

## კოკი (ზუგდიდის მაზრა)

საჩანგლე ხალხსა ვეძებდი,
კარგი დამიდგა ტაროსი.
ნივძარ-მოვძარი ხვრელები
მაცდურთა საბაღნაროსი.

ბევრს ჩამოვხიე ნილაბი,
ბევრს მოვაგლიჯე სამოსი;
სახე ხელთა მაქვს მაცდურთა,
ასინჯავს აწ ტარტაროზი.

---

კოკის გლეხკომში შევედი,
ცეცხლის სინათლე ვაწვიმე;
ბნელაში მიმალულიყო
იქ ნარმანია მაქსიმე.

იტაცე ხელი და კინწის კვრით
ღლის სინათლეზე გავჭიმე...
(და აღარც მოვტყუებულვარ
კარგი ვიხილე სარფი მე)

გაქონილ შუბლზე ეწერა
უტიფარ უსირცხვილობით?
მიდგომა, საქმის ჭახრაკი
ძმა-ბიჭურბიძაშვილობით...

უხვად ვიძლევი მოწმობებს
ჩემებურ ხელგაშლილობით,
ასე ვიქცევი მდიდრებთან;—
ღარიბებთან კი წილობით.

ცხვანტი.



**ნატურჩიკუს:** დეე, ჩვენს გარდა, სხვებიც დასტკბენ თქვენი ლექსით: „განიკურნა“, რომლიდანაც მოგვყავს ყველაზე უფრო მხატვრული ადგილი:

მოითხოვე ღვინიკუმი,
ორი-სამი კვარტიკუმი,
სამი-ოთხი შამფურიკუმ,
ცვარიანი წვადიკუმი.
ხრამილიკუმ-დოშიკუმი
წვანილიკუმ-წიწმატიკუმ

და სხვა კიდევ მრავალი კუმები... და ყველა ამის შემდეგ, რომ თქვენი წერილი ისე შეზარხოშდეს, რომ მას ფეხი გადაუცვდეს უფსკერო გოდორში

და როდესაც გაეღვიძოს,
თავი იგრძნოს კუტუსკაში;
მისი ბინა ერთადერთი
ტარტაროზის გოდორია,—

ჩვენ ამაში ბრალი არ მიგ იძლევის. იმედი გვაქვს: ამ შემთხვევის შემდეგ თქვენი მუზაც განიკურნება.

**შ. ხ—ლ'ის** (სამტრედია) იტყვიან: „ზოგიერთი ქირი მარგებელიაო“, — და სწორედაც ასეა. თუ კი:

ჩვენსა ვალოს სწრაფ გაექცა
ეტლიდანა თვის საცოლო...
და ამგვარად დაუსრულდა
ცოლის შერთვის მწარე ბოლო...,

ეს მას, პირიქით: უნდა უხაროდეს და კმაყოფილი იყოს საცოლოს ასეთი საქციელით... და ცდება ვალო, როცა:

დასწყევლა მან მაშინ ქალის
შეყვარება ტრფობის მიზნათ...
და წარსულში ოპტიმისტი
გარდაიქცა, პესიმისტად.

**მამათელს:** მგონი ეს წერილი თქვენ მაშინ დაგიწერიათ, როცა „ალის წვეულება“-ში სხვების არანაკლებ „შესარხოშებულხართ“; ეს იქიდან სჩანს, რომ წერილში ყველაფერი ისეა არეული როგორც „ალის წვეულება“.

**ავნირს** (ძირულა): თუ:

ხალხს ჰგონია, რომ შალვა,
სწავლული არის კაცი,—

თქვენ რატომ გგონიათ, რომ თქვენ კარგი მწერალი ხართ? სხვებს უსაყვედურებთ უვიცობას და თქვენ თვითონ ასეთი ხართ.

წავიკითხეთ ეს წერილი,—
შიგ ბევრია აბდა-უბდა;
იცოდეთ, რომ ლექსის წერა
ამნაირად არა უნდა.

**ბარნაბი ნოდიას** (საჯილაო) გიდასტურებთ, რომ ჟურ. „ტარტაროზი“-ს № 79-ში მოთავსებული წერილი პროკოპი ნოციას შესახებ, თქვენ არ გეკუთვნის.

**კირილეს.** ჰოდა, როცა ნესტორი ამერიკიდან გამოწერილ ფეხსაცმელებს მიიღებს ცოლისათვის, ანდა ის ჯიბგირი, რომელმაც მას ჯიბიდან ამოაცალა ოცდაათი მანეთი დაუბრუნებს წაღებულ ფულს, მაშინ დავბეჭდავთ თქვენს წერილს. იქონიეთ მოთმინება.

**ბრიუ-პლატ-შალვას** (ქუთაისი) კარგი წინადადებაა:

საფიჩვანის მოლარე დათიკო თავისი ამქრებით (იაკობ და გაბო) ტყავს აძრობს ხალხს, რომელსაც რამე საქმეზე მიუცდება ფეხი სალაროში. კარგი იქნებოდა, რომ ტარტაროზო, შენ მათ გააძრობდი ტყავს“,

დიდი სიამოვნებით; დათიკოს ტყავის გაძრა ადვილი იქნება, იმიტომ რომ მას ძალიან ჰყვარებია პონჩიკები. თუმცალა ამ კაცს დიდი საყვედური არ ეთქმის იმიტომ, რომ პონჩიკებით კმაყოფილდება და სხვა დიდ რამეს არ თხოულობს ფულის ურიგოდ გაცემისათვის. მაგრამ, რასაკვირველია: თუ ამ თავიდანვე არ აუკრძალეთ პონჩიკების ყლაპვა, სხვა რამეზე გადავა და... სანიფადოთ, ძვალი ყელში არ გაეჩხიროს.

მაგრამ რა საჭიროა ასეთ უმნიშვნელო რამეზე წერა?! ამიტომაც ჩვენ ვერ ვბეჭდავთ თქვენს წერილს და ვაგზავნით უფსკერო გოდორში. (რაც წამოგვეცდა ისიც ზედმეტია).

**„ანზელულუმს“:** თქვენს მილოცვებს ვინაიდან ვერ ვბეჭდავთ იმიტომ რომ... ამიტომ ვბეჭდავთ მარტო მილოცვას თქვენს თავისადმი:

**ჩემს თავს.**

მე ვუსურვებ ჩემს თავს კარგად ყოფნას, ფულებს
და ყველა საგნებში ვლებულობდე ხუთებს
(ძცხონოს ღმერთმა, სოლომონ).

სასტკა ვარ... გათხოვება მინდა ჩქარა, მალე.
ვინც იქნება ჩემი საქმრო, იმას ვენაცვალე.
ჯერ არ ვიცი ვინ იქნება, მყავს მრავალი წყვილი.
მომავალსა ახალ წელსა მყავდეს ქმარი, შვილი.

**არ დამიტირონს** (მაჩხაანი). არც თქვენ დაიტიროთ თქვენი წერილი, რადგან იგი თავს კარგად გძნობს უფსკერო გოდორში. შეგნებული წერილია თქვენი წერილი: მან იცის თავისი ადგილი და სრული კმაყოფილია თავისი ბინით.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

წითელმა სასადილომა
გაგვაძრო ყველას ტყავიო.
კერძოს ხელშია და მიტომაც
მას უნდა ერქვას შავიო.

ხშირია სასადილოში
ხჩუბი და აურ-ზაური,
რადგან პორცია წვენი ღირს
აქ ვერცხლის ათი შაური.

თუ ცხვარი მიდის მგელთან, მგლის რა ბრალია, რომ იგი შესჭამოს!? (როგორც გინდათ, ისე გაიგეთ). ასეთები მართლაც არ არიან დასატირნი და არც დაუსტიროთ.

**ლინოფრინას:** კარგი გადაწყვეტილებაა: ამიერიდან აღარ გავიარო ქალიშვილთან. ამ გადაწყვეტილებას ესეც მიუმატეთ: ამიერიდან არ გამოაგზავნოთ ასეთი წერილი. თქვენს მიერ ნახულ კინო-სურათში ხსენებული მსახიობი არ თამაშობს. სჩანს, არც სურათი გინახავთ და არც აქტიორი. მაგრამ ეს დასაშვებია; აკი ჩვენში წინასწარ სწერენ რეცენზიებს.

**ადს** (ბაღდადი). ამ წერილს ჩვენ აქ არ დავბეჭდავდით, მაგრამ არც უფსკერო გოდორში მიიღეს (დიახ! ყველაფერს იქ კი არ ღებულობენ!)

**ბაღდადი.** მოხდა ძაღლების აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბაზარი, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ დაატოვებინეს მონადირეთა რაზმებმა. მოკლულია რამოდენიმე ძაღლი, აჯანყების მეთაური შეიპყრეს და ვერაგულად მოჰკლეს. ამის შემდეგ გაძაღლებული ძაღლების ერთი ჯგუფი შურისძიების ნიადაგზე ბაღში თავს დაესხა ბაია მელაძეს (მეთაურობდა მონადირეთა ერთ რაზმს), რომელმაც გაქცევით თავს უშველა.

# შურის-ძიება



შინაური ცხოველები და ფრინველები (ქრისტეს): წელიწადში რამდენჯერ იბადები და აღსდგები მკვდრეთით?! რამდენი სტილი გაქვს?! შენ გაანადგურე ჩვენი მოდგმა და შთამომავლობა...

ილმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 83 კვირა, 16 იანვარი 1927 წ. № 83



შიკრიკი (დამლაგებელს): ხედავ ჩვენი გამგე ეს ერთი კვირაა ყველასთან თავაზიანია?! ჩვენაც კი ზრდილობიანად გვეპყრობა.

დამლაგებელი: ეს იმიტომ, რომ დღეის სწორს „ტარტაროზი"-ს სპეციალური ნომერია ბიუროკრატიზმზე და ამისი ეშინია.

# „სამწუხარო ამბავი“



კაცო, რას დაღონებულხარ?
— გავიგე, რომ ერთი მდიდარი მომკვდარა.
— მერე რა! შენი ნათესავი ხომ არ იყო?
— მეც იმას ვდარდობ, ჩემი ნათესავი არ იყო, რომ რამე მრგებოდა მის ქონებიდან.

# რაციონალიზატორი

მშვენიერი მზიანი დღე იყო, როდესაც მან შემოალო კარები და ეზოში შემოვიდა.

არავინ იცოდა, თუ ვინ იყო ის.

ცხვირზე წამოსკუპებული უზარმაზარი ამერიკული სათვალეები ბევრს არაფერს ამბობდენ.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ იგი დადგა ეზოს შუაგულში და მის გარშემო ამართულ პატარა შენობებს დამცინავი ღიმილით გადახედა.

— რა სიღატაკეა, ღმერთო ჩემო!.. წარმოსთქვა მან ზიზღით.

ფილიმონი არ ვიქნები, თუ ეს პატარა წარმოება გრანდიოზულ ქარხანად არ ვაქციო!.. დაუმატა შემდეგ მტკიცედ და კანტორისაკენ გასწია.

სრული ერთი კვირის განმავლობაში მზადდებოდა კაბინეტი.

არავინ იცოდა, თუ ვისთვის ეწყობოდა იგი, გარდა გამგისა.

ბოლოს, როდესაც ყველაფერი მზა იყო, შემოვიდა ფილიმონი სქლად გატენილ პორტფელით ხელში, დიაგრამებით და პლაკატებით იღლიაში და მოუჯდა მაგიდას.

საუცხოვო დღე იყო, და ამ საუცხოვო დღიდან დაიწყო ფილიმონის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჯერ მისთვის უცნობ ასპარეზზე.

იმ საღამოს, მუშა-მოსამსახურეთათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენის განსამარტავად, მოწვეულ იქნა საერთო კრება, რომელზედაც გამგემ ფილიმონზე მითითებით ასე მიმართა დამსწრეთ:

— ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ მეცნიერების და ტეხნიკის წარმომადგენელი ამხანაგი ფილიმონი. იგი მოწვეულია ჩვენთან რაციონალიზაციის ჩასატარებლად და შრომის ნაყოფიერების ასაწევად. ჩემი სურვილია, შეიყვაროთ იგი, როგორც ჩვენი საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი მომავალში!..

კრებამ აღფრთოვანებით დაუკრა ორივეს ტაში.

ფილიმონს მეტი აღარ დაუცდია, თვალის დახამხამებაში გააკრა კედელზე დიაგრამები ამერიკაში ავტომობილთა რიცხვის და ტრესტების ზრდის შესახებ და ტრიბუნაზე შეფრინდა.

— ამხანაგებო, დაიწყო მან დინჯად, რაციონალიზაცია, ელექტროფიკაცია და ინტენსიფიკაცია—ეს მთავარი ფუძეა ინდუსტრიალიზაციის. სირცხვილა, ბოლოს და ბოლოს, ასე ჩამორჩენლ მდგომარეობაში ყოფნა. მე არ ვიცნობ თქვენს წარმოებას და არც გამიგონია მასზე არაფერი, მაგრამ მე წავიკითხე და შევისწავლე მრავალი წიგნი თითო ხუთას გვერდიანი მაინც, და თუმცა არც იქ წამიკითხავს თქვენსგვარ წარმოებაზე რამე, მაგრამ ეს არაფერია. პრაქტიკა დაგვანახვებს ყველაფერს, და მე იმედი მაქვს, რომ თქვენც დამეხმარებით ამ უდიდეს საქმეში.

— უსათუოდ.. უსათუოდ!—ერთხმად დაიძახა კრებამ.

მეორე დღეს, ფილიმონმა გაიგო თუ არა თავისი ჯამაგირის რაოდენობა (300 მანეთი და 50 პროც. დატვირთვა) მოითხოვა მუშა-მოსამსახურეთა სია და კრიტიკულ თვალით გადახედა მას.

— როგორ,—წამოიყვირა მან აღშფოთებით,—ასეთი პატარა წარმოება და 56 კაცი?.. რაღა რაციონალიზაცია უნდა გავატარო, თუ ყველა ესენი თავის ადგილას დარჩება?!.

— მაშ, რა ვუყოთ?.. შეეკითხა გამგე.

— ცხადია, რა!..

და მუშებისათვისაც ეს ცხადი გახდა მაშინ, როდესაც მცირე ხნის შემდეგ 12 კაცს აუკრეს ბარგი და ფილიმონის ლოცვა-კურთხევით წარმოებიდან გაისტუმრეს.

სამი დღის შემდეგ კიდევ ოთხ კაცს უჩვენეს იქით გზა.

თუმცა ისევ მშვენიერი დღეები იყო, მაგრამ ეხლა უკვე აღარ ისმოდა ჩაქუჩების მხიარული კაკუნი.

დაკრავდა ორ-სამს ჩაქუჩი და მერე თითქოს ჰაერში დაეკიდაო.

იდგა მუშა გაშტერებული აწეული ჩაქუჩი ხელში და ფიქრობდა.

— ვინ იცის, იქნება ეხლა ჩემს შეკვეცაზე ლაპარაკობენ.



**— დღეს იმისთანა მშიერი კაცი ვნახე, რომ; შენ ნუ მომიკვდები, მეც მომშივდა!**

**— მერე რა ქენი?**

**— რას ვიზამდი, წევედი, შენ ხარ ჩემი ბატონი და— ერთი ნაგრათ ვისადილე.**

---

შევიდა ერთხელ ფილიმონი სახარატოში და იქით-აქეთ ხეტიალის დროს შემთხვევით ხელში გამოყოლილი ქინძისთავი ფურფუშელაში ჩაუვარდა.

დატრიალდენ ყველანი, მთელი ორი საათის განმავლობაში გადააბრუნეს ყველაფერი, მაგრამ ქინძისთავი მაინც ვერ იპოვეს, თუმცა არც არაფისთვის იყო იგი საჭირო.

— როგორც ვხედავ, აქ ცუდი სინათლე გაქვთ თქვენ! მიმართა მან მუშებს, თუმცა სინათლე არც შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი.

— რატომ?.. სინათლეს არა უშავს—წარმოსთქვა ერთმა.

ფილიმონმა მკაცრად ახედ-დახედა მას.

— კონსერვატორულ მხედველობის ყოფილხართ, როგორც ვხედავ... მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უნდა დამეთანხმოთ, რომ აქ არ არის ისეთი სინათლე, როგორც ცარში...

—მმ... დიახ!—გამოტყდა თავის უმეცრებაში მუშა.

ოთხი თვის განმავლობაში მუშაობაზე არავინ ფიქრობდა.

ყველანი მიდგომოდენ ახლად გადახურულ სახურავს და შლიდენ, რომ იმის ნაცვლად ახალი, შუშის სახურავი დაედგათ.

— მეცნიერება გვეუბნება, სადაც კარგი სინათლეა, იქ შრომის ნაყოფიერებაც მაღლა დგასო,—ამტკიცებდა ფილიმონი.

— ქარი და სეტყვა დაგვილეწავს.—გაბედა შეკამათება გამგემ.

მაგრამ ამ მცირე შემთხვევამ ფილიმონის თავში ერთი გენიალური აზრი დაბადა.

— მეცნიერება ამის შესახებ გარკვევით არაფერს ამბობს... ყოველ შემთხვევაში. თქვენ რისი გეშინიათ. თუ დალეწავს, ისევ ძველებურად გადავხურავთ, რა დიდი საქმეა...

ოთხი თვის განუწყვეტელ მუშაობის შემდეგ შუშის სახურავიც დადგმულ იქნა და შეუდგენ მუშაობას.

ერთი კვირის შემდეგ შშენობაში ისე წვიმდა, როგორც კარში.

ფილიმონის გამოანგარიშებით კი შრომის ნაყოფიერება სულ იზრდებოდა და იზრდებოდა, რაც ნათლად სჩანდა დიაგრამებზე.

მაგრამ მიღწეული შედეგები როდი აკმაყოფილებდა ფილიმონს.

— ქვაბი არ გვივარგა, მიმართა მან ერთ დღეს გამგეს. ბევრ სათბობს თხოულობს და ეს არ არის რაციონალური.

— ხუთმეტი წელიწადია. რაც მუშაობს, შეუძლია კიდევ ათიც იმუშაოს. ასე ამბობენ ტეხნიკოსები.

— მიკვირს, ნუ თუ თქვენ გინდათ, რომ ქვაბი აფეთქდეს და ჩვენც აგვაფეთქოს?—აიმაღლა ხმა ფილიმონმა.—ვინც წარმოებას არ უფრთხილდება, იგი მტერია ხალხის!..

ქვაბის შესაძენად მივლინებულ იქნა თვით ფილიმონი, თუმცა მას ამ საქმეში ისე გაეგებოდა, როგორც ვირს სტენოგრაფიაში.

ექვსი თვის განმავლობაში ყიდულობდა ფილიმონი ქვაბს მთელ კავშირის ტერიტორიაზე, მაგარმ ვერ იყიდა, რადგან შესაფერისი ვერსად აღმოაჩინა.

ბოლოს იძულებული გახდა გერმანიაში გამგზავრებულიყო.

ათი თვის შემდეგ, როგორც იქნა, დაუბრუნდა ფილიმონი წარმოებას, დაკვრით წესი მოახსნევინა ძველი ქვაბი და მის ადგილას ახალი დაადგმევინა.

დადგმისას ფილიმონი ასე ემუსაიფებოდა მუშებს:

— ამხანაგებო. ოჩაფეხის გრძელ ნაბიჯებით უნდა ვირბინოთ, რომ გერმანიას დავეწიოთ, სხვა გზა არ არის. იცოდეთ, რომ გაწეულ ხარჯებს ერთი-ასად ავინაზღაურებთ!..

როდესაც, რამოდენიმე ხნის შემდეგ. ფილიმონს უთხრეს, რომ ახალი ქვაბი უფრო მეტ სათბობს თხოულობს და ძველზე უფრო დაძეელებულია, ფილიმონმა უპასუხა:

— მაგის ასე ზეპირად თქმა შეუძლებელია... ვიმუშაოთ ერთი წელიწადი მაინც და თუ ამ ხნის განმავლობაში თქვენი ნათქვამი დადასტურდება, რა განაღვლებთ, ავიღოთ და ისევ ძველი დავდგათ...

ამ მცირე ნაბიჯების შემდეგ, ფილიმონს სურდა უფრო ღრმა საკითხებისთვის მოეკიდა ხელი და, როგორც გულში ამბობდა, მთელი წარმოება „ყირამალა დაეყენებია“, რომ ერთ გარემოებას არ შეეშალა ხელი.

ფილიმნის განსაცვიფრებელ ნიჭის შესახებ ჩაწვდომოდა ვიღაცას ყურში და. მცირე მოლაპარაკების შემდეგ, ფილიმონი ერთ დიდ ქარხანაში მიიწვიეს რაციონალიზაციის ჩასატარებლად.

გამომშვდობებისას, ფილიმონმა ასე მიმართა მუშა-მოსამსახურეთ:

— მერწმუნეთ, მე სულით და გულით მსურდა თქვენი წარმოების უკიდურეს წერტილამდე ატყორცნა, მაგრამ, რა ვქნა, მოვალეობა უფრო საპასუხისმგებლო საქმისაკენ მიმიწოდებს, და ჩემი მოვალეობაა უსიტყვოდ დავემორჩილო მას.

წვიმიანი, გულსაკლავი დღე, როდესაც კვლავ გაიღო ჭიშკარი და თავის წიგნებით და დიაგრამებით იღლიაში ფილიმონმა სამუდამოდ დატოვა მის მიერ „რაციონალურ ნიადაგზე დაყენებული წარმოება“, რომ სხვა ადგილას უფრო ფართოთ მასშტაბით და მეტის ენერგიით გაეგრძელებინა თავისი ნაყოფიერი მუშაობა.

**ხინემატო.**



— პალტოს შენახვა ორი შაური ღირს.
— კი მაგრამ ეს ხომ „ტუჟურკა“ არის, და ამიტომაც მოგეცი ერთი შაური.

# „თავმოყვარეობა“

ისაკის ძმა ესტუმრა სოფლიდან.

მისალმების და შინაურ ამბების გამოკითხვის შემდეგ, ისაკის ძმამ—ლუკამ თავი მოხსნა აბგას და ამოალაგა რაც შიგ ეწყო.

— აი ეს ერთი ბოთლი არაყი მამამ გამოგიგზავნა,— მარტოდ შენ დალიე, ჩემო ჭკვიანო შვილოო... ეს ათი შავი და ხუთმეტი ლიმონის ვაშლიც მამამ გამოგიგზავნა,— შენი დამყნილია შენს მამულში და ნახე რა გემრიელიაო... ეს ერთი-ცხრა ჩურჩხელა ჩემმა ცოლმა—შენმა რძალმა გამოგიგზავნა სანახელაოთ, თხილისაგან და ნიგვზისაგან არის გაკეთებული... ეს ღორის თავი კი ჩემგან არის თეშქეშათ... ო, რომ იცოდე ამ ღორის თავის ისტორია! საკალანდოთ კინაღამ შემოგვეჭამა სუფრაზე სტუმრებს, მარა რაკი შენთვის მინდოდა, ჩემო ისაკი, კბილი არავის გავაკარებინე. აჰა, ძმაო, დღესასწაულებზე სახლში არ ჩამოდი, მაგრამ შენი წილი და არჩივი მაინც არ დაგაკელით და აქანე მოგიტანე... ოჯახის შვილი ხარ... ყველაფერში წილი გაქვს, და ლუკმა როგორ შეგვერგებოდა, რომ შენ არ გჭამებოდა ოჯახის შემოსავალი... რომ იცოდე, რა ქეიფი და ლხინი გვქონდა ამ დღესასწაულებზე, პირდაპირ, არ ვიცი, მგონი გადაირევი. შენი სადღეგრძელო ჩაის სტაქნებით დავლიეთ... ყველა მთვრალები ვიყავით და როცა მოგვაგონდი—ბედაური ბოლოსო, ხომ გაგიგონია—მაშინვე დავუძახე ცოლს:

— აბა, ლოლა, ჩაის სტაქნები მოიტანე ამ მინუთში, თვარა „რაზვოდს“ მოგცემ.

— თუ კი მართლა ძასე იზამ, არ მოგიტან; ოღონდ შენ მოგშორდე და, სხვა რა მინდა,—გამეხუმრა ცოლი და მაშინვე მომიტანა ჩაის სტაქნები... ჰო-და დავლიეთ, ძმაო, შენი სადღეგრძელო... სამი ჩაის სტაქანი გაგვიტყდა, მარა ეს არაფერია,—ყველას „დო კაპლი“-თ დავალევინე... მთელს სოფელში ამბობენ, რომ

— ყოჩაღ, ლუკა, ძალიან პურმარილის ბიჭიაო...

მართლადაც, ხუთმეტ თუმნამდი დამიჯდა ქეიფი და ლხინი, მარა მადლობა ღმერთს სირცხვილი არ მიჭამია; ჩვენ ოჯახს ძველიდანვე ჰქონდა პურმარილიან ოჯახის სახელი და ჩვენც არ უნდა დავუკარგოთ, ძმაო, ოჯახს ეს სახელი. ხომ იცი: სახელის მოპოვება ძნელია, ხოლო დაკარგვა კი ადვილია... სოფლის ამბავი ხომ იცი,—ერთხელ თუ ფეხი წაიკარი და სირცხვილი ჭამე, მერმე მშვიდობით, იმის გამოსწორება სოფლის თვალში დიდხანს არ შეიძლება. ამიტომაც არის, რომ ასე ვუფრთხილდებით,—და გულს არ უნდა დაგაკლდეს, ძმაო, რომ ეს ქეიფი დაჯდა ხუთმეტი თუმანი,—და ეს ხუთმეტი თუმანი, არ გეწყინოს—და ნასესხები იყო.

— მერმე-და რითი ფიქრობ, რომ გადაიხადო ეს ხუთმეტი თუმანი?—გაკვირვებით შეეკითხა ლუკას ისაკი.

— აი სწორედ ამ ნაახალწლევს იმიტომ ჩამოვედი შენთან და ესენიც ჩამოგიტანე, რომ რაც არ უნდა იქნას, ეს ხუთმეტი თუმანი უნდა მომიხერხო და სახლში გამატანო. ვისგანაც ეს ფული მაქვს ნასესხები, იგი ჩემსას იყო ქეიფზე და ჩუმად გადმომიჩურჩულა ყურში როცა შენი სადღეგრძელო დავლიეთ და შენ დაგახასიათეს, როგორც ოჯახის გულშემატკივარი და მოყვადული შვილი... ჰო-და ასე ჩამჩურჩულა ყურში მევალემ:

— კაი ბიჭი ხარ, მარა. ძალიან მეშინოდა შენთვის ფულის სესხება... და რაკი ასეთი ძმობა გქონებიათ ძმებს, აწი ძმაო, შენთვის ფულის სესხება აღარ დამეზარება.— ეს მითხრა და თანაც დაუმატა:

—აბა შენ იცი, თუ თავის ვადაზე მომიტანო.

მეც, დავპირდი:

— შენი ხუთმეტი თუმანი რა არის, კაცო? ძმას მივსწერ და მაშინვე გამოგიგზავნის...

ჰო-და ასე შეგაქე, ძმაო, მევალეს თვალში... ახლა რომ პირი გავტეხო, ჩემს სირცხვილზე უფრო, შენი სირცხვილია... უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ის ფული ჩემთვის კი არ უსესხებია, არამედ შენთვის.

# „ქვრივი“



— კატო, რა არის, რომ ამ ბოლო დროს თმის შავად შეღებვა დაიწყე?
— მიცვალებულ ქმარს ვგლოვობ, ჩემო კარგო,—და იმიტომ ვიღებავ თმას შავად.

— მე იმას ვერც ვიცნობ?!

— აი სწორედ შენი კაი კაცობაც ის არის, რომ კაცი ვერ გიცნობს, მარა შენი ნდობა ისეთი აქვს, რომ შენს ძმას ენდობა და იმ იმედით, რომ შენ შენს ძმას ფულს გამომიგზავნი—მომცემ. მე მასესხა ფული. მე თუ კი მაქვს იმისი თავმოყვარეობა, რომ შევუნარჩუნო ჩვენს ოჯახს ძველი სახელი და ამისათვის ძვირფასს ლხინს ვმართავ და მტერ-მოყვარეში გამოვდივარ,—შენც უნდა დამეხმარო ამ ძნელ საქმეში, თორემ მარტო მე რას გავხდები. მე ვისესხებ. წვეულებას მე გავმართავ, მტერ-მოყვარეს მე დავუძახებ და პასუხს გავსცემ, თამადათ მე დავდგები და სტუმრებს ისე დავათრობ, რომ ყველას კისერს მოვტეხ...

— კაი პატივისცემაა, შე ნუ მომიკვდე, კაცი დაპატიჟო და ღვინით კისერი მოტეხო!—უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკა ისაკიმ.

— ჰმ! შენ რა იცი. სწორედ ეს არის პატივისცემა, ჰო-და იმას გეუბნებოდი,—ყველაფერი ხლაფორთი მე უნდა გადავიტანო. თუ ძმა ხარ და ძმობა გწამს, შენც უნდა გამიწიო მცირეოდენი დახმარება ამ მძიმე მოვალეობის შესრულების დროს.

— რით შემიძლია დაგეხმარო ამ მძიმე მოვალეობის შესრულების დროს?—ირონიული ღიმილით შეეკითხა ისაკი.

— სულ უბრალო რამეთი; აი მაგალითად: ეს ხუტმეტი თუმანი, რომელიც დამიჯდა ეს ქეიფი, რამაც ჩვენს ოჯახს შეუნარჩუნა პურ-მარილიან ოჯახის სახელი, უნდა მომცე ეხლა. სწორედ რომ გითხრა, მე ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ჩამოვედი და ეს ძღვენიც ჩამოგიტანე.

— აქ ბაზარზე ყველა ამ ხურდა-მურდას ათ მანეთად ვიყიდდი.

— ეჰ! ისაკი, ისაკი, შენ ქალაქში გაზრდილი ხარ და არ იცი სოფლის ფასი. აი ეს ვაშლი შენს მიწა-წყალზეა ამოსული და დამწიფებული. ეს უფრო გემრიელია, ვიდრე შოკოლადი. აი ეს ჩურჩხელა, თუმცაღა, უკაცრავად პასუხია, ღორის ჩხინკოსავით გაფშიკებულია, მაგრამ უფრო გემრიელია და უტბესია, ვიდრე მარგალიტი. აი ეს არაყი, ტყემლიდან გამონახადი, უფრო კარგია, ვიდრე აქაური ყვანიაკი თუ რაღაც ჯანაბა კანიაკია.

— ღორის თავზე რას იტყვი, ჩემო ლუკა!—

— კაცო, შენ ახლა დამცინი, მარა მაინც ვიტყვი:—დიახ! ეს ღორის თავია რაც არის; ეს ღორი ჩვენს ოჯახში გაზრდილია და, რასაკვირველია, იგი უფრო გემრიელი იქნება, ვიდრე აქაური ღორის თავები. ამ გეწყინოს და, შენ ძმაო, სანახევროდ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გაევროპიელებული ხარ. გაველურებული იმ მხრივ, რომ არ იცი ოჯახის და სოფლის ჭირ-ვარამი.

— მერმე-და ხუთმეტი თუმანი რა ამბავია? სახლში არაფერი გქონდათ?

— თითქოს არ იცი, წყალის მეტი ყველაფერი საყიდელია ჩვენსას. ხუთმეტი თუმანი კი არა, მეტიც დაჯდა, მაგრამ მე არ ვანგარიშობ დამტვრეულ სტაქნებს, ბოთლებს და საინებს. ეს ორი კბილიც ჩამამტვრიეს, მარა ენა არ ამომიღია. ქეიფის დროს კბილი კი არა, კაცსაც ჰკლავენ, მარა ამაზე ენა არ უნდა დაბეროს პურ-მარილის მოყვარულმა კაცმა.

როცა სტუმრები წავიდენ, ჭიშკარი ჩამოიღეს,—იხუმრეს რაღა,—და ჭიშკარი გატყდა; ეს მეორე დღეს გავიგეთ... ჩვენსას კი არა, თურმე, სადაც კი დაინახავდენ ჭიშკრებს, ყველგან იღებდენ. მეორე დღეს ჩვენს თემში საჩივარი საჩივრებზე მოდიოდა:

ლუკას სტუმრებმა ჭიშკრები ჩამოგვიგდეს და დაგვიმტვრიესო.—მარა რას გახდებოდენ... ხომ იცი პურმარილიან კაცს ალმასკომის თავმჯდომარეც შინაურ კაცად სთვლის.

ასეა ძმაო საქმე. ოჯახი ასე თხოულობს. შენი სახელიც არის, რომ ჩვენი ოჯახი პურმარილიანია... ოჯახთან კავშირი ყოველთვის უნდა გქონდეს. ხომ გახსოვს მენშევიკების დრო, როცა ქალაქიდან სოფელში გამორბოდენ ქალის ქფილისათვის? ღმერთმა დაგვიფაროს და ისეთი დრო, რომ კიდევ დადგეს, (ყველაფერია კაცის თავზე მოსალოდნელი), მაშინ ხომ გამოგადგება სოფელი; მართალია: ჩვენ არ გვექნება ოჯახში ქადი, რადგან მუშა-ხელი არავინ არის, მარა როცა სახლი გექნება,—სოფელში ჩამოხვალ, რამოდენიმე დღეს დაისვენებ, ცვარიან მინდორზე ფეხშიშველი გაივლი და მაზოლები მოგირჩება, შემდეგ ვინმე მეზობლისაგან იყიდი ორ ფუთ მჭადს, წამოიღებ ქალაქში და ორივე ცოლ-ქმარს ერთს თვეს თამამად გეყოფათ... ასეთია, ძმაო ისაკი, სოფელი და მასთან კავშირი არასოდეს არ უნდა გასწყვიტო.

ისელი.

## „ღირსება“



ოთახის დამქირავებელი (სახლის მეპატრონეს): ყველაფერი კარგი, მაგრამ თბილი თუ არის ეს ოთახი ზამთარში?

სახლის მეპატრონე: მაშ არა-და! ხომ ხედავ ბაღლინჯოები ეხლაც შიგ არიან!

# სევასტის თავგადასავალი

ოთხმოც მანეთს ღებულობდა სევასტი თვეში.

ერთი პატარა ოთახი ეჭირა მეორე სართულზე და თავისი ცოლით—ელენეთ შიგ მშვიდობიანად ცხოვრობდა. რატომაც არ იცხოვრებდა—ცოლი „უბრალო ქალი“ იყო და დიდ მოთხოვნილებებს ქმარს არ უყენებდა. მოკეთეებიც არ აწუხებდენ სევასტის.

— რა ვქნა, ჩემო კარგო, სულით და გულით მინდა დაგეხმარო, მაგრამ საშუალება რომ არა მაქვს? სად უნდა გაგათევინო ღამე, როცა ერთი ოთახი მაქვს ცოლ-ქმარს და სხვა რომ არა იყოს რა, უხერხულია მედაჩემმა ღმერთმა. მინდა ორ-სამ ოთახიანი ბინა ვიშოვო, მაგრამ ჩემი ჯამაგირით ამაზე ფიქრიც ზედმეტია. მპირდებიან—სპეცობას მოგცემთო, და თუ მართლა ასე მოხდა, მერმე ვიცი თქვენი პატივისცემა.—ამბობდა მოკეთეებში სევასტი.

—:—

მალე სევასტის მეზობლად ორ ბინაში ჩამოსახლდენ სპეცები, რასაკვირველია, თავიანთი ცოლ-შვილებით...

და აი ამის შემდეგ შეირყა სევასტის მშვიდობიანი ცხოვრება.

მოგეხსენებათ: სპეცები ბევრ ფულს აკეთებენ და მათი ცოლებიც ძვირფასეულში არიან გამოწყობილნი. ოჯახშიც კარგად არიან მორთულნი.

სევასტის ცოლმა დაიწყო მეზობლებში სიარული. ქმარი როცა სამსახურიდან დაბრუნდებოდა, ცოლი მეზობლის სახლიდან გამოვიდოდა. ქმარს ცივად და გულგრილათ შეხვდებოდა.

— რა დაგემართა, ელენე? ამათ გადმოსვლის შემდეგ შენ მთლად გამოიცვალე?! რაშია საქმე, გენაცვალე?—ეუბნებოდა ერთს საღამოს სევასტი ელენეს.

— შენ ენაცვალე დამხრჩვალ ძაღლს!—წყრომით მიუგო ელენემ და ფანჯარასთან აიტუზა. ორთქლიან ფანჯრის მინაზე დაიწყო ათასების წერა სიტყვა „მან.“ დამატებით, რასაც ნიშნავდა მანეთი.

ამ დროს მეზობელ კარებიდან გამოვიდა კარგად ჩაცმული ცოლ-ქმარი.

— ხედავ იმათ?.. აი იმაშია საქმე,—უთხრა ელენემ სევასტის, თითით უჩვენა ქმარს მიმავალი „სპეცი ცოლ-ქმარი“, შემდეგ იგივე თითი სევასტის თვალში ჩაჰკრა და თვითონ კი გარედ გამოვიდა მეორე მეზობელთან შესასვლელად.

—აჰა! ეხლა კი მივხდი რაშიაც არის საქმე!—გაიფიქრა სევასტიმ. თავი ჩაიქნია და იქვე ჩამოჯდა.

ერთ დღეს მეზობელმა როიალი იყიდა და სახლში მოიტანა. ელენეს ისე გაეხარდა, რომ თითქოს მისიაო, გავარდა გარედ, მეზობელს მიეხმარა სახლში შეტანაზე და დადგმაზე.

მაგრამ, ვაი, სევასტის, როცა ელენე თავის სახლში დაბრუნდა. სევასტიმ შეატყო ცოლს ბრაზი; გალაპარა-

# „სცენის-მოყვარე“



— შენ, კაცო, ძალიან ხშირად ვხედავ თეატრებში?!

— არა, მე წარმოდგენებს არ ვესწრები.. მხოლოდ მოვდივარ იმიტომ, რომ აქ სალაროსთან ვესტ-ბიულში ძალიან თბილა,—ბინა კი ცივი მაქვს.

ქება ეშინოდა. ფრთხილად პალტო ჩაიცვა, ქუდი ჯიბეში ჩამალა და ის იყო ჯოხს იღებდა და კარებში გაპარვას აპირებდა ქურდსავით, რომ ელენე წინ გაუდგა და მრისხანეთ უთხრა:

— სად მიიპარები?

— არსად... ისე ჩავიცვი... ტყვილათ!—ყბა-ყბას ეცემოდა, როცა ეს ამოილაპარაკა მუხლებ მოკვეთილმა სევასტიმ.

— დაინახე შენი დასავსები თვალებით იგი როიალი?.. ხედავ როგორ აცვიათ იმათ ცოლებს? ხედავ როგორი მოწყობილი არიან?.. რით ვარ იმათზე ნაკლები!.. არაფრით არა ვარ... ჩამაცვი იმათსავით და მე იმათზე უკეთესი ვიქნები...

— შენ არ ხარ იმათზე უარესი, მაგრამ მე ვარ იმათ ქმრებზე უარესი და ამიტომაც...

— ხმა გაიკმიდე... მეც მინდა იმათსავით ცხოვრება... მომბეზრდა ასეთი სიცოცხლე.. დიდხანს ვითმინე, მაგრამ აწი კი აღარ შემიძლია...

—:—

დადნა, ჰლექიანს დაემსგავსა ჩვენი სევასტი. ვინ იცის, იქნებ კიდეც აბარგებულიყო ამ ქვეყნიდან, რომ მოულოდნელად იგი სპეცათ არ გამოეცხოთ.

კაცს ფერი მოვიდა. ხალისი დაიტყო. შეუყვარდა სიცოცხლე, ყველაფერი...

ორი თვის შემდეგ სევასტიმ ხელი მოიბრუნა. ისევ დაიბრუნა ცოლის გული და სიყვარული. როცა სამსახურიდან მოვიდოდა სახლში, ფანჯარასთან მჯდომი ცოლი დაინახავდა თუ არა, მაშინვე გარეთ გამოვარდებოდა და ქმარს ჩაეხვეოდა, ჩაკოცნიდა.

მალე გადავიდენ სხვა ბინაზე. მშვენივრად მოაწყო სამი ოთახი. ელენე სიხარულით ცას სწვდებოდა...

მოკეთეებმა გაიგეს სევასტის „გადიდკაცება“... და პირი ქალაქისაკენ.

— ძალიან გამიხარდა ცოლ-შვილს გეფიცები შენი ასე დაწინაურება... არ იფიქრო, ჩემო სევასტი, თითქოს იმიტომ გამიხარდა, რომ პატივს-მცემ... რასაკვირველია, ეხლა სამი ოთახი გაქვს და სანამ სამსახურში მომაწყობდე, შენთან უნდა დავრჩე... სხვაგან სად უნდა წავიდე, შენზე უკეთესი სხვა ვინ მყავს.—ეუბნებოდენ სევასტის მოკეთეები, რომლებიც სოფლიდან ჩამოდიოდენ და სევასტისთან ჰქონდათ ბინა.

სევასტისაც აღარაფერი ეთქმოდა. აკი თვითონ ჰპირდებოდა ყველას, რომ—როცა ორ-სამ ოთახიანი ბინა ექნებოდა, მაშინ ყველას გაუწევდა პატრონობას და დახმარებას.

—:—

ერთს საღამოს, როცა შემთხვევით ცოლ-ქმარი სახლში მარტოდ ისხდენ, ასეთი საუბარი ჰქონდათ:

—შენი ბრალია, ჩემო ელენე! შენ არ იყავი, რომ ვერ ისვენებდი? აჰა, ეხლა უკვე „დიდი კაცი“ ვად და აი ამ „დიდ კაცობამ“ ეს იცის.

— არა, სევასტი, არ შემიძლია. ისევ სჯობია ოთხმოც მანეთიანი სამსახური გქონდეს და ერთ ოთახიანი ბინა, როგორც უწინ გვქონდა,—და ესენი კი თავიდან მოვიშოროთ.

და როცა რევიზიამ სცნო, რომ სევასტი შეუფერებელია თანამდებობაზე.. და ისევ ძველ ალაგას გადაიყვანეს,—ეს არ სწყენია არც სევასტის და ამით უფრო არც ელენეს.

—:—

შ. გარიხელი.

# შარადა

არა, არ მინდა ზოგსავით
შარადის წერა დიდია,
რადგანაც მეტად შორსა მაქვს
სავალი გზა და ხიდია.

1. ბალაჯარიდან მონაფრენ
მწერის სახელი გვქირია,—
და ვინც გაიგებთ, მითხარით,
არ შეირცხვინოთ პირია.

2. თუ მწერალ-პოეტს არ სწყალობს
საქმე სჭირს ერთობ ძალზედა.
ვერაფერს დასწერს უმისოთ
წარსულს და მომავალზედა.

3 რით გადადიან მგზავრები
მდინარის თუ ტბის წყალზედა,—
იმის სახელი მონახეთ,
იგი გაგვიყვანს მშრალზედა.

დასრულდა. სამივ გასჭერით
შუაზე ნაწილათ ორათა;
პირველნი შემოინაეთ,
ურთერთს მიადეთ სწრაფათა.

სხვა არაფერი; გათავდა
უკვე მივიღეთ შარადა.
რაც გამოვიდა გავგზავნოთ
ჩინეთში სწრაფად, ჩქარადა.

ცეტი.

რუმინეთის სამინისტროებში დაარსდა სამობილიზა ციო ბიუროები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ სამხედრო შტატები.



— ლიტვაზე ნაკლები ვართ? ბარემ სახელიც ასეთი გვქონდეს.

# „ნედარაზუმენია"

ე-ე-ე-ხ, მახლაზ, მართალი უთქვიათ პასლოვიცის ინდაზა, თუო სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო. მართალია კორჩავი ლოკნები არც ჯეელობაში მქონია, ჰამა. ამისთანა ვახტის ძოსწრებას ულვაშების გაცვინვაც მერჩივხა. ახარ ისეთ უნიჟენიაში ჩავარდი, რომა ჯიბგირობაც დამაბრალეს და ვირის აბანოში მიკრეს თავი; ჰამაც ლაზათიანი მასაჟი გამიკეთეს, ნეკნები დამიზილეს რაღა—გემოზე მბუბნეს და თან შტრაფი ცდამარტყეს!

ვა, ეს რა კლევეტა მიყვეს ქრისტიანო, მე და ჯიბგირი? ამ სავეცკის სტროისგნით ისეთი ბაიაზლივი რამე გავხდი, რომ ლამის ყველაფერზე ეჟვნები შავიბა და ქუჩაში სიარულის დროსა ჰიანჭველებსაც კი პრედუპრეჟდენია უყო, მამერიდონ, ნეჩაინათ ფეხი არ დავადგა და ამ შარიან დროში ფათერაკში არ ჩავარდე. იაგათ კი მებნებიან თუ ჯიბგირობა გინდოდა და იმ ჰაშარ დედაკაცს ხელი ჩაუყავიო!.. ვახ, ბნელა? მაშ ღმერთი ბრმების სკოლაში მიუბარებიათ რაღა, ჟამანაკები არევია და ქვეყანაზე სიმართლეს და რაზბონიკობას ველარ არჩევს, თეთრი და შავი ერთმანეთში ალინთულა. ჩემისთანა არიფი ხალხი კი კოზაკივით შუაში იჭყლიტება! ესეც ყისმათია რაღა წერაა, ბედის ყნილაში ჩავარდი, მორჩა—ველარ წაუხვალ!

ახარ მაგ მებურაზ გარაცკოი გალავას ვემდური ასობენათა: რაღა სწორეთ ამ იორდანობა დღეს მოუნდა ხიდებისათვის ეგზამენიას გაკეთება და პავერკები? თუ ასეთი ეგზამენატორები არიან, ამტოლი უჩენიკობა და სტუდენტობა ქუჩაში დალაყუნობს და თუ პერეოჩიკი არ იშოვეს, კონკის ბილეთსაც ვერ იყიდიან რუსულის უცოდინარობისგნით ჰაზირ იმათ გაუკეთონ ეგზამენია, აი რკინის ხიდებს რას ჩააცივდნენ?!

ახარ ბარემ თავიდან გეტყვი რაღა იასნათ:

— ამ ახალ იორდანობა დღეს ქუჩაში გამოვსულვარ რაღა, მითქვია ერთი ვნახოთ ამ საქრისტიანოში როგორი ნათლისღებას გააკეთებენ მეთქი. ვერის ხიდისკენ წავედი, სატივოზე ხალხი შეგულებოდა. სპუსკზე კონკას დაუწყე ლოდინი, ჰამა ჩეთრევ-საათი გავიდა და ერთმა კონკამაც არ გამაიარა. ბოლოს მივდივარ და მილიციონს ვეკითხები მიზეზსა. იმან მებნება თუ:

— მოსტი ზანიატია და კონკებს არ უშვებენო.

ვიფიქრე, ალბათ დიდი იორდანობა გაუკეთებიათ-მეთქი და ფეხით წაველი. ხიდზე რომ მიველ, მთელი მილეთი დაძხვდა. აქეთ-იქიდან დრაგუნი მილიცია დაუყენებიათ და ისინიც ფაფხურობენ რაღა, პარიადკას აკეთებეს: თუ ვინმე წინ გავიდოდა, მთელი ბატალიონი მიეხვევოდა და უყვიროდნენ:

— ვას ჟავარიატ, სუდა ნე პრახადიტ, პარიადკა ნე ნარუშაიტო!

ეს ხალხი კი მაინც არ იშლის და ერთი-მეორეს აწვებიან: ეხედამ ბერეგზე ჩამი-ჩუმი არ არი, ხიდზე კი ხალხს არ უშვებენ. ვკითხულობ თუ იორდანეს სად აკეთებენ მეთქი. ერთი ქალი მებნება თუ: იორდანე ,არა იოვანე არ გინდა, აქ მოსტების ეგზამენიას აკეთებენო, ზედ ჩიჟოლი ვაგონები დააყენეს და უნდა ნახონ ჩატყდება თუ არაო.. თან მიცინის. ახარ ატკრავენათ გეტყვი; მადიანი რამეიყო რაღა და მასლაათი გაუბი. ვებნები:

— ეს მოხისურათ შვრებიან, პატარახიდი—რომ გააკეთეს, მერე ზედ მთელი სოფელი შეაყენეს და თქვენ— დავაზანზაროთ და თუ ჩატყდბა—ზნაჩიტ აპასნია და ზედ ნუღარ გაივლითო. ხიდმაც ამტოლი ჩიჟოლა ველარ დაიმაგრა და ჩატყდა, ხალხი კი წყალში ჩაცვივდა. ახარ თუ ხიდზე გასვლა უნდოდათ თითო-თითო გასულიყვნენ რაღა, ერთად რო დგებოდნენ არ იცოდნენ რომ ამოტულა ვირისთავებს ვერ დაიმაგრებდა? აქაც ეგრე შვრებიან, ინჟილერი ხალხია და ის ველარ გაუგიათ, რომ ამტოლი ვაგონები ხიდის პავრეჟდენია გაუკეთებს? თოლ, თითო ცალი გაუშონ რაღა, რას ჩხირკედელობენ მეთქი.

ბევრი იცინა, გვერდზე მამიდგა და ამ მიწოლ-მოწოლაში ან ის მაწვებოდა ნეჩაინათ, ხან მე ვარტყამდი ისემესა, გვერდებსა. უცბათ მილიციონებმა ხალხი უკან დასწიეს და მიწოლ-მოწოლა გაიმართა. ამ ქალს წინიდან დაელენია უყვეს და ლავაშივით ზედ მამაკრეს, ჰამაც შლაპკა დაუმტვრიეს. თურმე ჯიბგირებიც ამუშავებულან და იმისთვის რედიკული წაუგლეჯიათ. ამ დროს მე ბაღდადის ამოღება მინდა და ხელის ჩაყოფის დროსა იმის ჯიბეს ნეჩაინათ მოუცაცუნე.

დაიწყო წიოკობა, ყვირილი:—კარმანჩიკ პაიმალ, დერჟი ემუ, არ გაუშოო.

# თავის ალაგას

როგორც პოლონეთის გაზეთები იტყობინებიან, პილსუდსკი გადადგება პრემიერობიდან და გადავა სავსებით ჯარში. (დეპეშებიდან)



პილსუდსკი: აქედან უკეთესი სანახაობა მოსჩანს... და შვებასაც მეტს ვიგრძნობ.

# დომხალი

## ქუთაისელი ფუტურისტების მიბაძვა

მუხავ მიყვარხარ მუხიანში
ხაზი ხარ ნაზი
სანდრო მასესხე პალტო მინდა
ერთი აბაზი

დავსტირი დღე-ღამ მე შენს საფლავს
თვით ვარ ტრაური
ფარცხანაყანევს აგვიტეხეს
აური-აური

ოხ რა კარგია როცა ყინავს
ბატიფრთის კაბა
და დიდ სიცხეში დაბამბული
გიხდება აბა

ცხვირის კონცერტი ნასადილევს
და პამიდორი
საშობოთ დიახ მე ვიყიდე
ნეზვ-ტახა ღორი

სიყვარული მსურს შევაგროვო
ორი გოდორი
ცულ მოვიაროთ გუშინ თოფით
მთელი მინდორი

წუხელი ღამე შენ გეძებდი
მე ქრაქი მქონდა
სანდრომ აბაზი არ მასესხა
გული დაღონდა

ღიმილ კისკისით შეგყურებდი
მეცვა პერანგი
შვიდი აბაზი დამიფასეს
ვირთხის ხაფანგი

ნაზი ხარ მუხავ მუხიანაში
მუხრანში ხანში
მე ჯვარს დავიწერ ხონში დიახ
ამ მოკლე ხანში

ტროსტი მაქვს მუხის ფუთი მოვა
გირვანქით მეტი
ტლინკო და ტლინკო რატომა ხარ
ასე ჩერჩეტი

სასვენ ნივთებს ვსთხოვ რომ მოეწყონ
სადაც არს ჯერი
ახალი კოფთა შევიკერე
მე ჯვარ-საწერი.

შიხლისკი ბომბ.

---

ხელი მე მტაცა და მილიციონერს დაუძახა. ვა, ისე გავხდი ბრაზისგნით,. როგორც ზაფრანა, ენა ჩამივარდა და ძლივს ვლუღლუღებ.

— მადამ, შენ სიზმარში ხომ არა ხარ, დარბაისელ კაცს ბრიაბროთ რათ მაკეთეფ, შამამხედე რაღა ჯიბგირი ვარ? ჩემი ჯიბიდან ბალდადის ამოღება მინდოდა და ხელი ნეჩაინათ შენ ჩაგიყავი მეთქი. იმან უფრო კაპასობს:

— ნეჩაინათ კი არა, უმიშლენათ ჩამიყავი შე ქოფაკო, შენ ხელს ჩემ ჯიბეში რა უნდოდა, შენი მასლათით ზაბლუჟდენიაში შამიყვანე და მერე კი, უდობნი დრო რომ ნახე. უმიშლენათ ჩამიყავიო.

ატყდა ჩოჩქოლი, შამამეხვივნენ, აქეთ-იქიდან.

ყურის ძირშიც მითაქეს და დიდის ქოთქოთით უჩაშკაში წამიყვანეს. იქაც მომხვდა, და სლედატელმა პადრობნი დაპროსი გამიკეთა. ბოლოს მითხრა თუ: უმიშლენათ ჩაგიყვია და ამა და ამ სტატიის ძალით, შენ კარმანჩიკი გამოდიხარო და ან ნაობახტში უნდა ჩაჯდე. ან შტრაფი უნდა გადაიხადოო.

ვებნები ძმაო, ახარ შარზე ნუ ხარ და! მაგ სტატიებს რას უყურეფ, შენ მე შამამხედე, სიყმეს გეფიცები, ზიარების მადლმა, ჩემი სახის მზემ; მე იორდანის ნახვა მინდოდა, ამ ქალის სიმტერესი არა მქონია და ეს ყველაფერი ნედარაზუმენიაა მეთქი.

ბან ჩუნის, არ დაიჯერა!

— კაკოი ტამ, უმიშლენათ ჩაგიყვია იმისათვის ჯიბეში ხელიო; ეს სტატია ამას ამოფსო და შტრაფი უნდა გადაიხადოო. შაჯდა უჯათობის ვირზე და მაინც თავისი გაიტანა. ორი სუტკა ზარაშოტკაში ჩამაგდო და პამაც ჩემი ოქროს საათი შტრაფათ იმ ქალს მისცეს და გამამისტუმრეს.

ახარ ბრაზი იფრო იმისგნით მამდის, რომა მე ბემურაზებს გაზეთებში ჩაუგდიათ, რომ ხიდების გამოცდა კარგარ ჩატარდაო. ვა გოიეს! კარგათ ჩატარება ამას ჰქვიან, რომ ჰალალ-მართალ კაცსა ნედარაზუმენიისგნით ულუმელი ცეცხლი გამიჩინეს?

ფარსადან.

# „თითქმის კომუნისტი“

(რუსულიდან გადმოკეთებული)

## მოქმედნი პირნი:

ექსფუთიანი—ვაჭარი, მსხვილი და მელოტი.

კეკელა—ამისი ცოლი.

არშაკა }
შუშანა } —ამათი შვილები.

ბარნაბა კროჭი—შრომის დაცვის ინსპექტორი.

მიტრო—ექსფუთიანის მსახური 15—16 წლ.

1

(ექსფუთიანის სახლში სასადილო ოთახი. ზარის ხმაზე მეორე ოთახიდან შემოვარდება მიტრო).

მიტრო:—ბატონო, ბატონო!

ექსფ.:—რა ამბავია, ბიჭო? რა გაყვირებს!? პაჟარი ხომ არა არის?!

მიტრო: ვიღაც უცნობი კაცია და თქვენა გკითხულობს.

ექსფ.: (კარებში გამოჩნდება) ვინ ეშმაკია, წაარტყი კისერში და გააგდე გარეთ.

მიტრო: საჭირო საქმე მაქვსო.

ექსფ.: ვინა ვარო, ბიჭო, არა თქვა?

მიტრო: რა ვიცი; რაღაცა ისპეხტორი ვარო.

ექსფ.: ისპეხტორი!??

მიტრო: ჰო, შრომის ისპეხტორი ვარო.

ექსფ.: (შეშინებული). შრომისაო!?!.. მერე, და, შე ყურუმსაღო რაღას გაშტერებულხარ!? გაიქეცი ჩქარა, შე არამზადავ, და სთხოვე მობრძანდეს. (წაარტყავს კისერში, მიტრო გარბის კარის გასაღებათ. ექსფუთიანი შედის მეორე ოთახში, მაგრამ მალე ბრუნდება, რაღაცას ბუტბუტებს და ხელებს იქნევს. შემოდის კროჭი).

2

## ექსფუთიანი და კროჭი

ექსფ.: (გვერდზედ) ვა, მგონია გავები! (მირბის კროჭის შესახვედრათ. იცინის და ულაქუცებს).

კროჭი: გამარჯვებათ! მე გახლავარ შრომის დაცვის ინსპექტორი, ბარნაბა კროჭი.

ექსფ.: ჰა!.. რა ბრძანეთ?!..

კროჭი: კროჭი, ბატონო, კროჭი. ეს ზემო იმერეთში ცნობილი გვარია და თქვენ რატომ გიკვირთ?

ექსფ.: არა, გასპადინ ისპექტორო, პირიქით ნამდვილი კამუნისტური გვარია შამოკლებული.

კროჭი: შემოკლებული კი არა, ნამდვილათ ასეთია ჩვენი გვარი.

ექსფ.: მიკვირს, უფლის მადლმა, ამ კამუნისტებს რატომ გიყვართ ყველაფერი მოკლე!

კროჭი: ჩვენ საქმის ხალხი ვართ, საქმის.

ექსფ.: მობრძანდით, მობრძანდით გასპადინ ისპეხტორ. დაბრძანდით გეთაყვა. ლამის არის ჰკუიდან შევიშალო სიხარულით, რომ თქვენ სტუმრობას ველირსე. (იცინის) ხე, ხე, ხე, ხე!... ერთი საწყალი კაცი ვარ რაღა, გოსპოდინ ისპეხტორ! მთელი ოჯახი სულ სამ ოთახში ვართ მოკრუნჩხული. ჩემ თავს მე თითონ გავუკეთე უპლატნენიე. მე ხომ თითქმის კამუნისტი ვარ, გოსპოდინ ისპეხტორ და ამიტომაც მივეცი ოთახები ერთ მოხუცებულ საწყალ ქალს და ორ მუშას—პროლეტარს მთელი ქვეყნისას... (გვერდზედ) ვა, მეც რა ციციაანთ დავასავით გავაბი ლაპარაკი! (კროჭს) უკაცრავად, დაბძანდით პაჟალუსტა, ფეხზე რასა სდგეხართ! (კროჭი ჯდება). მართლა, ზაკუსკას ხომ არ მიირთმევთ? მე ეს იყო ვაპირებდი და...

კროჭი: (აწყვეტინებს) გმადლობთ. მე თქვენთან სერიოზულ საქმის გამო ვარ მოსული და ამიტომ...

ექსფ.: ძალიან სასიამოვნოა, ძალიან! მაშ ცოლს დავუძახებ, რომ აღარ იხლაფოთოს ძვირფასი სტუმრის ზაკუსკისათვის. (ეძახის ცოლს): კეკელ, კეკელ!

კეკელას ხმა: რა გინდა, ამხანაგო ქმარო?

ექსფ.: (იცინის) ხე, ხე, ხე, ხე!.. გესმით. ამხ. ქმაროო! ოო, ჩემი კეკელა დიდი ოხერი ბალშევიკია. იმას არ უყვარს ბურჟუაზიული იმია ოჩესტვო... ხედავთ, ამხ. ქმაროო! ხე, ხე, ხე, ხე!.. (კეკელას) კეკელჯან, ჩვენ გვიან ვისაუზმეთ, რადგან ეხლა ჩემთანა ზის ერთით ძვირფასი სტუმარი—შრომის ისპეხტორი. (უკანასკნელ სიტყვებს ხაზგასმით ამბობს და თვით კი დიდმნიშვნელოვანად ახველებს).

კეკელას ხმა: ძალიან სასიამოვნოა. კამუნისტური სალამი ამხანაგს.

ექსფ.: ხე, ხე, ხე, ხე!.. გესმით?.. „კამუნისტური სალამიო“! გეებნებით: ნაღდი ბალშევიკაა ჩემი კეკელა ქრისტეს მადლმა! მე ხომ თითქმის კამუნისტი ვარ, რაღა! აბა, რას მიბრძანებთ?

კროჭი: მე მოვედი თქვენთან შემდეგი საქმის გამო... (სცენის უკან მოისმის პიანინოს ხმა და ქალის ყალბი სიმღერა „ინტერნაციონალი“-სა. მას უერთდება ორი ბავშვის ხმა, რომელნიც სიტყვებს და მოტივს ურევენ და გამოდის რაღაც გულშემზარავი ხმა. კროჭი შეკრთება ამ ხმაზე) ეს რა არის?

ექსფ.: ეს გასპადინ ისპეხტორ, ჩემი დედაკაცი პროლეტარცკი სიმღერას მღერის. ჩამწვარია რაღა ის პირშავი ამ რევოლიუცკი სიმღერებში. რომანცები თვალისდასანახავათ ეჯავრება. შვილებიც ეგეთები არიან... აი, გესმით! (ექსფუთიანი თვალებს დახაბავს, ისმენს და ოხრავს თითქოს დნებაო სიხარულით. კროჭს უსიამოვნება ეტყობა და გაჯავრება ემჩნევა) აი, სიმღერა პანიმაიუ!.. არშინ მალალან ამასთან ნულია მე და ჩემმა ღმერთმა...

კროჭი: (აწყვეტინებს) ეხლა კი დროა შეუდგეთ საქმეს...

ექსფ. (სიმღერით თავდავიწყებული ხელზე-ხელს წაავლებს კროჭს) ვა, ვა, ვა!.. გესმით, იმ ადგილას რა ზორბათ გამოუდით ჩემს ბავშვებს! იცით ეს ბავშვები კი არა,—პირდაპირ კომცომოლები არიან უფლის მადლმა. არ დაიჯერებთ?!.. წითელი ნიფხვებიც კი შემაკერინეს მაგ ეშმაკებმა! ეგ საძაგლები პირდაპირ მეებნებიან: „მამა, შენ რომ ასეთი შრომის მოყვარე და თანამგრძნობი არ იყოო, ჩვენ აბეზატელნათ გაგიქცეოდით სახლიდანაო“. მეც მადლობა ღმერთს, თითქმის კამუნისტი ვარ და ყოველთვის ვცდილობ...

კროჭი (აწყვეტინებს) უკაცრავად...

ექსფ.: ერთი ნიმუტი, გეთაყვა! მე თქვენ გაგაცნობთ ჩემს დედაკაცს და ბავშვებს. ეს პირდაპირ კამუნისტური ოჯახია უფლის სახის მადლმა! (ეძახის ცოლს) კეკელ, გამოდი ჩქარა, გაგაცნო სასიამოვნო სტუმარი.

3

## იგინივე, კეკელა და ბავშვები

კეკელა: (სცენის უკან) ახლავე მოვდივარ. (შემოდის კეკელა და გამოჰყავს ორი ბავშვი. კროჭს) გამარჯვებათ, ამხანაგო! (კროჭი დგება და ხელს გაუწოდებს ჩამოსართმევათ) ხელი არა, ამხანაგო, ხელის ჩამორთმევა აკრძალულია, (შვილებს) არშაკ, შუშანიკ, მიესალმეთ ჩვენი ძვირფასი მთავრობის წარმომადგენელს.

არშაკა და შუშანა: ძვირფას მთავრობის წარმომადგენელს ჩვენი კომსომოლური სალამი, იყავით მზათ!

კეკელა: (კროჭს) მე მოხარული ვარ, რომ შეეძლო მეჩვენებინა თქვენთვის მომავალი მებრძოლნი თავისუფ..« (ექსფუთიანი ნელა დასწევს ძირს კეკელას კალთებს)..

ექსფ. (ჩუმათ) კეკელჯან! წადი რაღა, ვა!.. (მუჯლუგუნით მიყავს კარებისკენ. კეკელა გაჯავრებული

ქმრის ასეთი მოპყრობით, სილას შემოჰკრავს ექვსფუთიანს და გადის) ახ!. (ექვსფუთიანი გამწარებული წაისვლებს ლოყაზე ხელს) ვა, ეს სახეძაღლი, რა ფისთი ბუზებია! რა მაგრათ მიკბინეს ლოყაზე და! მინდოდა მამეკლა, მაგრამ ვერ დავიჭირე.

4

## ექვსფუთიანი და კროჰი

კროჰი: (გაჯავრებული წამოხტება) კმარა ყბედობა!.. კეთილ ინებეთ და მიპასუხეთ კითხვაზე. ნუ თუ, მართლა, თქვენ თავს ნება მიეცით და ასეთი საზიზღრობა ჩაიდინ...

ექვსფ.: (აწყვეტინებს) საზიზღრობა!.. ეს თქვენ, ალბათ, იმის გამო, მოსამსახურეებს სადილის დასვენების დროს რომ ვამუშავებ, მაგრამ მე ხო არ ვიცოდი, რომ არ შაიძლებოდა მუშაობა?! ნუ, თქვენ თუ მოითხოვთ რომ არ შაიძლება, მე...

კროჰი: არა, მე მაგაზე არ ვამბობ...

ექვსფ.: ჰო, მესმის! გასპადინ ისპეხტორ, ალბათ თქვენთან უკე იშპიონეს, რომ მე გავაგდე სამსახურიდან ის ბებერი უკომპესაციოთ... აი, ის ტიფით რომ იყო ავათ.. მაგრამ ის ხომ კაი ხანია... თითქმის თვეზე მეტია.

კროჰი: მოხუცის დათხოვნის შესახებ მე არ ვიცი... მაგრამ თქვენ გაბედეთ...

ექვსფ.: (აწყვეტინებს) ჰო, ის კასერშა თითონ იყო დამნაშავე. ვა, თერთმეტი აბაზი დააკლდა ხუმრობა ხომ არ არის! მე იმას დელიკატნათ უთხარი: შენისთანა ქეციანი არამზადა არ მინდა სამსახურში მეთქი. თუ კისერში რომ წავარტყი იმაზე ბძანებთ... იმას ამის მოწმეები არა ჰყავს.

კროჰი: მე მაგაზე არა...

ექვსფ.: (აწყვეტინებს) ვა, ნეუქელი იმ ბიჭმა იჩიელა! იმან ხომ მიიღო ჩემგან ცხრა აბაზი და თქო, რომ არავითარი პრეტენზია არა მაქვსო. მართალია მე იმას ნეჩაინათ შემთვკარი ლოყაზე და თვალიც გაუსივდა, მაგრამ მე ხომ ჩემი სიოტით უყიდე პრიმოჩკები.

კროჰი: ბიჭზედ კი არ გელაპარაკები, არამედ..

ექვსფ.: (აწყვეტინებს) მინავათ, ეხლა კი მივხვდი: განა თქვენ რომ ჩემს ადგილზე ჰყოფილიყავით სხვანაირად მოიქცეოდით!? მოსამსახურემ დაიგვიანა თითქმის ნახევარი საათით. მე ავიღე და მხოლოდ ერთი კვირის ჯამაგირით დავშტრაფე. იმან გაჯავრებულმა უკადრისათ მიპასუხა,—და მეც დვაინოვათ გაუხადე შტრაფი, გასპადინ ისპეხტორ; მაშ მეტი რა უნდა მექნა! მაშინ ის...

კროჰი: (გაჯავრებით) მოითმინეთ...

ექვსფ.: რა? არც ესაა? აა, თქვენ, ალბათ, იმ კატუშას გამო თუ მობძანდით, გასპადინ ისპეხტორ!

კროჰი: (გაკვირვებით) რომელი კატუშას?..

ექვსფ.: აი ის, უბორჩიცა რომ იყო. (გვერდზედ გაყავს კროჰი) ჩუმათ ვილაპარაკოთ, თორემ ჩემი დედაკაცი... ის ისეთი ბალშევიჩკა მყავს, რომ თითქმის... აი, როგორც მე ვარ რაღა!.. (იქით-აქეთ იხედება და დაბალი ტონით) რასაკვირველია, მე დამნაშავე ვარ იმ ქალთან, რომ ძალიან შევსტოპე და ღრმათ წავედი... მაგრამ მე ხომ მივეცი იმას ბავშვის გამოსაზრდელი ფული. მართალია იმან თავი მოიწამლა, მაგრამ მე ხომ არა ვარ დამნაშავე! ის 18-სა—მე კი 42 წლისა: ჰო და მე კი არა ის, იმან მე შემაცდინა, გასპადინ ისპეხტორ...

კროჰი: (ძალიან გაჯავრებული) რას მიედ-მოედებით ვიღაცა ეშმაკი ხართ! გუშინ საღამოს რომ მოსამსახურისათვის გიცემიათ, თქვენ ჯერ ეს ამიხსენით.

ექვსფ.: (გაკვირვებით) გუშინ საღამოს?! ნეპრავდა! უკანასკნელად მე ვცემე ერთი კვირის წინად და არა გუშინ საღამოს! ტყუილია, გასპადინ ისპეხტორ.

კროჰი: როგორ თუ ერთი კვირის წინად? განცხადებაში გარკვევით სწერია—გუშინ, შაბათს... (იღებს პორთფელიდან განცხადებას და კითხულობს) აი: „გუშინ შაბათს, სახელოსნოს პატრონმა ექვსყურიანმა"...

ექვსფ.: (აქამდის ლაქუცა და შიშით წელში მოხრილი, რა გაიგებს, რომ შრომის დაცვის ინსპექტორი შეცდომით არის მასთან მოსული, რადგან იგი ეძებს ექვსყურიანს და არა ექვსფუთიანს, ყოყოჩათ და ყვირილით მიმართავს კროჰს.) ვა, ექვსყურიანმა სცემა და ჩემთან რა გინდა?! რას მამადექი? რა გინდა ჩემგან? მე ექვსფუთიანი გახლავარ და ექვსყურიანი კი მეზობლათ სცხოვრობს.

კროჰი: როგორ თუ მეზობლათ...

ექვსფ.: დიახ, ყმაწვილო! მოსტყუილდით. სულ უბრალოთ აწუხებთ პატიოსან ხალხს და არც კი გრცხვენიანთ! მე თითქმის კომუნისტი ვარ, ბავშვები წითელ ნიფხვებს ატარებენ, მთელ ოჯახი ინტერნაციონალს მღერის და თქვენ კი სახლში მივარდებით, დაპროსებს მიკეთებთ, მართალ კაცზე ეჭვები შეგაქვთ. და ვინ იცის, რანაირ ცილს არა მწამებთ!!.. ეტა ბეზაბრაზიე! მე ვიჩივლებ უდანაშაულო კაცს რომ მაწუხებთ. სუდში წავალ, უფლის მადლმა წავალ!

კეკელა: (შემოდის) რა ამბავია, რა გაყვირებს?

კროჰი: თქვენ ეი, ცოტა წყნარად...

კეკელა: როგორ თუ წყნარად!! აი, კარები... მიბრძანდით!.. (შვილებს) არშაკ, შუშანიკ, გადაყარეთ ეგ წითელი შარვლები და მიტროს უთხარით რომ საუზმე მოგვიტანოს.

კროჰი: მაშ კარგი თქვენთვისაც მოვიცლი!.. (გადის).

ექვსფ.: აპრუწუნ შენ საქმეს! ძალიან დამემუქრე, თორემ შენმა მზემ ძალიან დიდი დოკუმენტები გაქვს ჩემს წინაალმდეგ. ექვსყურიანს ეძებ... ჩემთან რა გინდა!? არა, როგორ გამიბედა, როგორ? მე პარტი კამუნისტი ვარ, ბავშვები თითქმის კომცომოლები არიან, მთელი ოჯახი ინტერნაციონალს მღერის და ეს ვაჟბატონი კი ჰბედავს და აქ დასაკითხავათ მოდის!.. ეე, ცოტა წყნარათ იყავ, ძიაშვილო, თორემ მე ეშაკ კარაპეტას მეძახიან!..

გოგია.



ლოთი: ამერიკა მიწის ქვეშ არისო, და მე კი ვერაფერს ვხედავ?! სტყუიან ეს ოხრები.



## „სად მარხია... ღორის თავი?“

დაკლული ღორი გლეხმა წაიღო ბაზარზე გასასყიდათ. სადგ. საჯევოხოში „ბაგაჟში“ მისცა და თვითან კი არხეინად ჩაჯდა სამგზავრო რონოდაში. რატომაც არხეინად არ ჩაჯდებოდა—ბილეთი ჯიბეში ჰქონდა, მისი დაკლული ღორი უკან საბარგო რონოდაში იყო და მას მოჰყვებოდა. რონოდიდან ხომ ვერ გაიქცეოდა ყელგამოჭრილი ღორი?

მაგრამ,, ვინ იცის.. სიფხიზლეს თავი არ სტკივა. თურმე დაკლულ ღორს საჯევოხოში მოსჭრეს თავი და განზე გადადვეს. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ დაკლული ღორი და ისიც თავმოკვეთილი სადღა გაიქცეოდა...



ერთი სიტყვით, დაიკარგა ღორის თავი.. და ამიტომ გვეკითხება **წყაროსპირელი:: „სად მარხია... ღორის თავი?-ო.**

რა თქმა უნდა, ამის გაგება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც იცნობს სადგ. საჯევახოს ტვირთ-მზიდავებს: **ისაკი შანიძეს და ვანო ჩხიკვაძეს**, რომლებმაც ვერაგულად მოჰკვეთეს დაკლულ ღორს თავი და ჩამარხეს თავიანთ კუჭში.

ჰო-და ვინც ეს ამბავი იცის, მხოლოდ იგი გასცემს პასუხს:— **„ღორის თავი სად მარხია“** და—**ისაკის და ვანოს კუჭში.**

მაგრამ საფრთხილო კი არის, რომ ღორის თავის მონელებამ არ მოინელოს ეს ვაჟბატონები.

## „იმედი და მოთმინება“



არა უშავს, მართალია: გაქანებულ მატარებლიდან გადმოახტა და სამჯერ ყირამალა გააკეთა, მაგრამ მეგრელიშვილს მაინც არაფერი სტკენია. არ სტკენია იმიტომ, რომ კომისარი დაჰპირდა :— **ნუ გეშინიათ; თქვენი ჯამაგირების საქმეს მოვაგვარებ და ფულს აუცილებლად ჩა**მოგიტანო... მოდი-და ასეთი დაპირების შემდეგ მოიტეხე კაცმა კისერი!

ჰო-და, ბათომის ყველა სამხედრო მაგიდების გამგეები სიხარულით ცას წვდებიან—კომისარი დაბრუნდება და გასული წლის სამი უკანასკნელი თვის ჯამაგირს ჩამოუტანსო.. „ერმიტაჟშიც“ კი ისადილეს.. სურათიც გადაიღეს... დიდი ამბით შეხვდენ თბილისიდან დაბრუნებულ კომისარს... მაგრამ

კომისარმა ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც ამოაყოლაო... ეს იმას ნიშნავს, რომ ჯამაგირი არ იყო. და ნელი ხმით დაიწყო:

— **ამხანაგებო, თქვენი ჯამაგირების საქმე ეხლა მოსკოვში ირჩევა და იმედი მაქვს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, მაინც მიიღებთ ჯამაგირს; ასე, რომ იმედი ნუ დაგეკარგებათ.**

მართლაც კარგი რჩევა და ნუგეშია; ჯამაგირი მაინც დაკარგულია და თუ იმედიც დაიკარგა, მაშინ ხომ უიმედობა მოიცავს ადამიანს.

## ს— ბა „ულაპი“



— **არიქა, თავს ვუშველეთ, კიდევ მოდიან ჰინჰილისტები...**

გადასძახა ძროხამ გოჭებს, ქათმებს და ინდაურებს.. და მოჰკურცხლეს.

ალბათ, მკითხველს ძალიან აინტერესებს თუ ვინ მოდიან და რატომ გარბიან ესენი ასე თავზარდაცემულნი?, ვინ არიან ეს ჰინქლისტები? ყური დავუგდოთ „დუშაშს“:

**ვანის რაიონში დაარსდა ჰინჰლისტების ს-ბა „ულაპი“, რომლის თავმჯდომარეთ არის მ. ლორთქიფანიძე, ხოლო წევრებათ: ავალიანი, ჩიქოვანი, შველიძე და სხვები.**

**როგორც კი ესენი ჩამოვლენ (რა თქმა უნდა, სახაზინო ეტლით 35 ვერსის ხიშორიდან) ვარციხის სახალხო მამულში (ყოფილი ანანოვის) ყოველთვის პანიკა ხდება შინაურ ცხოველებში და ფრინველებში, ან და რატომ არ უნდა მოხდეს!?. ამის წინედ ამ საზოგადოებამ თავის ორ განუწყვეტელ სხდომაზე ულაპი უქნეს ერთს ძროხას, ოთხს გოჭს, ქათმებს და ინდაურებს, ავრეთვე 12 ფუთ (რასაკვირველია), სახაზინო ღვინოს.**

და, თურმე, ამას იმიტომ სჩადიან, რომ, თითქოს ამით ებრძოლებიან ლოთობას. ამბობენ:— რამდენადაც

# „ᲡᲢᲣᲛᲐᲠ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ“




— ჩემი შვილი ბეჟანა კაბუხაშვილი აქანაი ცხოვრობს ხომ?
— საწყალი, აი ეხლა გარდაიცვალა; თქვენ რომ დაგინახა ამდენი სტუმრები მოხვიდოდით, გული გაუსკდა.

ბევრ ღვინოს შევსვამ თვითონ ჩვენ, იმდენად ნაკლებ ღვინოს გაასაღებს სახალხო მამული, რაც გამოიწვევს ლოთობის შემცირებას ხალხში. ამგვარად, ჩვენ ვემსახურებით ხალხს. მაშ გაუმარჯოს ჩვენს კეთილ მიზანს.. დავლიოთ ყანწები.

და სვამენ... სვამენ მანამდი, სანამ სახალხო მამულების ტრესტი ყურადღებას მიაქცევდეს.

## „ᲛᲢᲧᲣᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ“

ჰო-და რა ფილიპეს და ვასილის ბრალია, რომ ხშირად თვრებიან და ბოთლებს კედლებზე ისვრიან! კოოპერატივის გვერდში გამოუჭიმეს სამიკიტნო; ხოლო სამიკიტნოს ვიტრინაში მიკიტანმა მომცინარე კვარტები დააწყო..



აი ეს კვარტები, რომ კოოპერატივის გამგეობის წევრებს ფილიპეს და ვასილს „უხიცინებენ“ და თავისკენ იზიდავენ. ტყვილა უსაყვედურებს იმათ მაყურებელი... კინაღამ დაგვავიწყდა—ეს ამბავი ხდება ტობანიერის თემში (რომ არ გაგვეხსენებოდა ბევრი კოოპერატივის გამგეობის წევრები თავის-თავზე მიიღებდენ, რამეთუ მრავალ არიან ასეთნი ქვეყანასა ზედა).

## „ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ“

„ᲣᲤᲨᲢᲙᲔᲜᲘᲫᲔ“ გვწერს, რომ ზვიადაძე ავანსების მოყვარულიაო. ამ კაცის სახელს კი არ იწერება იმიტომ, რომ თბილისის საყუდში მას ყველა კარგად იცნობს, და საკმარისია მარტო გვარის დასახელება. ყველა იმიტომ იცნობს, რომ კედლის გაზეთში ყოველთვის წააწყდებით მის გვარს. თქვენ გგონიათ, როცა იგი თავის გვარს წაიკითხავს კედლის გაზეთში. მას ეს ეწყინება და, როგორც საზოგადოდ ხდება, გაბრაზდება, „აუხტება-დაუხტება?“ სრულებითაც არა.. მას ღიმილი გადაურბენს სახეზე და ჩაილაპარაკებს:




— ჩამწერეთ რამდენჯერაც გინდათ! სულერთია: თქვენს კედლის გაზეთს ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.



## „სად მარხია... ღორის თავი?“

დაკლული ღორი გლეხმა წაიღო ბაზარზე გასასყიდათ. სადგ. საჯევოხოში „ბაგაჟში“ მისცა და თვითან კი არხეინად ჩაჯდა სამგზავრო რონოდაში. რატომაც არხეინად არ ჩაჯდებოდა—ბილეთი ჯიბეში ჰქონდა, მისი დაკლული ღორი უკან საბარგო რონოდაში იყო და მას მოჰყვებოდა. რონოდიდან ხომ ვერ გაიქცეოდა ყელგამოჭრილი ღორი?

მაგრამ„ ვინ იცის... სითხიზლეს თავი არ სტკივა. თურმე დაკლულ ღორს საჯევოხოში მოსჭრეს თავი და განზე გადადვეს. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ დაკლული ღორი და ისიც თავმოკვეთილი სადღა გაიქცეოდა...



ერთი სიტყვით, დაიკარგა ღორის თავი.. და ამიტომ გვეკითხება **წყაროსპირელი**:: „სად მარხია... ღორის თავი?-ო.

რა თქმა უნდა, ამის გაგება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც იცნობს სადგ. საჯევახოს ტვირთ-მზიდავებს: **ისაკი შანიძეს და ვანო ჩხიკვაძეს**, რომლებმაც ვერაგულად მოჰკვეთეს დაკლულ ღორს თავი და ჩამარხეს თავიანთ კუჭში.

ჰო-და ვინც ეს ამბავი იცის, მხოლოდ იგი გასცემს პასუხს:— **„ღორის თავი სად მარხია“ და—ისაკის და ვანოს კუჭში.**

მაგრამ საფრთხილო კი არის, რომ ღორის თავის შონელებამ არ მოინელოს ეს ვაჟბატონები.

## „იმედი და მოთმინება“



არა უშავს, მართალია: გაქანებულ მატარებლიდან გადმოახტა და სამჯერ ყირამალა გააკეთა, მაგრამ მეგრელიშვილს მაინც არაფერი სტკენია. არ სტკენია იმიტომ, რომ კომისარი დაჰპირდა :— **ნუ გეშინიათ; თქვენი ჯამაგირების საქმეს მოვაგვარებ და ფულს აუცილებლად ჩამოგიტანო...** მოდი-და ასეთი დაპირების შემდეგ მოიტეხე კაცმა კისერი!

ჰო-და, ბათომის ყველა სამხედრო მაგიდების გამგეები სიხარულით ცას წვდებიან—კომისარი დაბრუნდება და გასული წლის სამი უკანასკნელი თვის ჯამაგირს ჩამოგვიტანსო.. „ერმიტაჟშიც“ კი ისადილეს.. სურათიც გადაიღეს... დიდი ამბით შეხვდენ თბილისიდან დაბრუნებულ კომისარს... მაგრამ

კომისარმა ისე ამოიოხრა, თითქოს გულიც ამოაყოლაო... ეს იმას ნიშნავს, რომ ჯამაგირი არ იყო. დანელი ხმით დაიწყო:

**— ამხანაგებო, თქვენი ჯამაგირების საქმე ეხლა მოსკოვში ირჩევა და იმედი მაქვს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, მაინც მიიღებთ ჯამაგირს; ასე, რომ იმედი ნუ დაგეკარგებათ.**

მართლაც კარგი რჩევა და ნუგეშია; ჯამაგირი მაინც დაკარგულია და თუ იმედიც დაიკარგა, მაშინ ხომ უიმედობა მოიცავს ადამიანს.

## ს— ბა „ულაპი“



**— არიქა, თავს უშველეთ, კიდევ მოდიან პინპილისტები...**

გადასძახა ძროხამ გოჭებს, ქათმებს და ინდაურებს... და მოჰკურცხლეს.

ალბათ, მკითხველს ძალიან აინტერესებს თუ ვინ მოდიან და რატომ გარბიან ესენი ასე თავზარდაცემულნი?, ვინ არიან ეს პინპლისტები? ყური დავუგდოთ „დუშაშს“:

**ვანის რაიონში დაარსდა პინპლისტების ს-ბა „ულაპი“, რომლის თავმჯდომარეთ არის მ. ლორთქიფანიძე, ხოლო წევრებათ: ავალიანი, ჩიქოვანი, შველიძე და სხვები.**

**როგორც კი ესენი ჩამოვლენ (რა თქმა უნდა, სახაზინო ეტლით 35 ვერსის ხიშორედან) ვარციხის სახალხო მამულში (ყოფილი ანანოვის) ყოველთვის პანიკა ხდება შინაურ ცხოველებში და ფრინველებში, ან და რატომ არ უნდა მოხდეს!?. ამის წინედ ამ საზოგადოებამ თავის ორ განუწყვეტელ სხდომაზე ულაპი უქნეს ერთს ძროხას, ოთხს გოჭს, ქათმებს და ინდაურებს, აგრეთვე 12 ფუთ (რასაკვირელია), სახაზინო ღვინოს.**

და, თურმე, ამას იმიტომ სჩადიან, რომ, თითქოს ამით ებრძოლებიან ლოთობას. ამბობენ:— რამდენადაც

# „სტუმარ-მასპინძლობა"



— ჩემი შვილი ბეჟანა კაბუხაშვილი აქანაი ცხოვრობს ხომ?
— საწყალი, აი ეხლა გარდაიცვალა; თქვენ რომ დაგინახა ამდენი სტუმრები მოხვიდოდით, გული გაუსკდა.

ბევრ ღვინოს შევსვამ თვითონ ჩვენ, იმდენად ნაკლებ ღვინოს გაასაღებს „სახალხო მამული", რაც გამოიწვევს ლოთობის შემცირებას ხალხში. ამგვარად, ჩვენ ვემსახურებით ხალხს. მაშ გაუმარჯოს ჩვენს კეთილ მიზანს.. დავლიოთ ყანწები.

და სვამენ... სვამენ მანამდი, სანამ სახალხო მამულების ტრესტი ყურადღებას მიაქცევდეს.

## „მტყუანია დამნაშავე"

ჰო-და რა ფილიპეს და ვასილის ბრალია, რომ ხშირად თვრებიან და ბოთლებს კედლებზე ისვრიან! კოოპერატივის გვერდში გამოუჭიმეს სამიკიტნო; ხოლო სამიკიტნოს ვიტრინაში მიკიტანმა მომცინარე კვარტები დააწყო..




აი ეს კვარტები, რომ კოოპერატივის გამგეობის წევრებს ფილიპეს და ვასილს „უხიცინებენ" და თავისკენ იზიდავენ. ტყვილა უსაყვედურებს იმათ მაყურებელი... ყინალამ დაგვავიწყდა—ეს ამბავი ხდება ტობანიერის თემში (რომ არ გაგვხსენებოდა ბევრი კოოპერატივის გამგეობის წევრები თავის-თავზე მიიღებდენ, რამეთუ მრავალ არიან ასეთნი ქვეყანასა ზედა).

## „ფეხებზე ჰკიდია"

„უფშტვენიძე" გვწერს, რომ ზვიადაძე ავანსების მოყვარულიაო. ამ კაცის სახელს კი არ იწერება იმიტომ, რომ თბილისის საყუდში მას ყველა კარგად იცნობს, და საკმარისია მარტო გვარის დასახელება. ყველა იმიტომ იცნობს, რომ კედლის გაზეთში ყოველთვის წააწყდებით მის გვარს. თქვენ გგონიათ, როცა იგი თავის გვარს წაიკითხავს კედლის გაზეთში მას ეს ეწყინება და, როგორც საზოგადოდ ხდება, გაბრაზდება, „აუხტება-დაუხტება? სრულებითაც არა.. მას ღიმილი გადაურბენს სახეზე და ჩაილაპარაკებს:




— ჩამწერეთ რამდენჯერაც გინდათ! სულერთია! თქვენს კედლის გაზეთს ყურადღებას მაინც არავინ აქცევს.

# ნაწყვეტი დღიურიდან

თუ როგორ ჩვავარდა ხელში ეს დღიური, ამას ნუ გამოვეკიდებით. საინტერესოა თვით ფაქტი, რომ დღიური ჩვენს ხელშია, როგორც ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი. თვით ორიგინალი ინახება ცენტრალურ არქივში და გადამუშავებული იქნება ახალი შრომის კოლექტივის მიერ, რომელსაც ტფილისის შრომის ბირჟაც აარსებს უკვე სამი წელია და მაინც ვერ დააარსა. მაგრამ რა შუაშია აქ შრომის ბირჟა ან კოლექტივი, როცა საქმე დღიურს შეეხება და ისიც როგორ დღიურს!

აი [illegible] დღიურიც:

## დღე, პარასკევი.

„დიდება მამასა და ძესა და წმინდასა სულსა. ჰოი, მორწმუნენო, რომელთაც არარა გესმიათ ჩემი ღაღადისა! დღე ესე არს პარასკევი და უკეთუ იცით, რომე ხვალ გათენდების შაბათი. შაბათის შემდეგი დღე არს კვირა და შემდეგ ორშაბათი. გარნა ხვალინდელი დღე არა არს შობა ქრისტესი და არა კომსომოლსკი, რომელმაც წაგვართვა ჩვენ მოსპობითა შობითა საკურთხი ნოყიერი. სამწყსოი გადაყვა წყეულსა კომუნისტურ ზრახვებსა და დამყარდა სოფელსა ამას აგიტპროპი, თემკომის თავმჯდომარე წამოეპოტინა ფოფოდიასა ჩემსა და გაუკეთა პრილაჟენია, რასაც შედეგად მოჰყვა ჩემთან რაზვოდი— უგულებელ მყო მე ფოფოდიამან ჩემმან და შეუერთდა აღმასკომის თავმჯდომარესა; მე კი დავრჩი უალიმენტოდ, ამისთვისცა იძულებულ გავხდი მე შემერთო ჩვენი მრათეს ცოლი, რომელმან თავისა კერძ რაზვოდი მისცა ქმარსა მისსა“... (შემდეგ დღიური წყდება და იწყება მეორე, რომლის ნაგლეჯიც აღმოვაჩინეთ).

## ორშაბათი

„ჰოი მორწმუნენო, აღმოგიღიათ გულნი თქვენნი და შთაგინერგავთ მკერდსა თქვენსა ქვები გულისა ნაცვლად. თუ არა, რას ნიშნავს, რომ შობა გავიდა და ერთი დამხრჩვალთ წიწილიც არ მოგიტანიათ საკურთხად. ნუ თუ ეს არის რეჟიმეკანომია?...“ (დღიური აქაც წყდება და შემდეგ იწყება):

## პარასკევი

„დღე ესე არს ცხემლის ჭრა, ანუ ახალი წლის წინა დღე. ხვალინდელ დღეზეა იმედი ჩემი, ვინძლო მორწმუნეთაგან ათიოდემ გაიხსენოს და ან მაწირვინოს, ან მოიტანოს საკურთხი. ჰოი მორწმუნენო, თქვენზე იმედი, გახდით აქტიური წევრი სამწყსოისა ჩემისა და სამაგიეროდ გიშუამდგომლებთ, სადაც ჯერ არს, რომ მოგიტეონ თანანადებნი თქვენნი და ჩამოგიწერონ დავალიანების ნაწილი მაინც დებიტორ-კრედიტორის ანგარიშში“...

შემდეგი დღიური შემდეგი შინაარსისაა:

## „ორშაბათი, ახალ წლის მესამე დღეა“.

„ჰოი მორწმუნენო! არა იცით, რასა იქმოდეთ. დღეს მესამე დღეა ახალი წლისა და თქვენ კი რას ჩადიხართ! სად იყავით ახალსა წელსა, რატომ არ მოიგონეთ მიცვალებულნი თქვენნი. ვითარმედ რა დაგაკლდებოდათ თითო-ოროლა საკურთხი რომ მოგეტანათ. რით აიხსნება თქვენი ასეთი ინდიფერენტიზმი, თუ არა ზაბასტოვკითა? დიაღ, ეს არს ზაბასტოვკა ეკლესიის მიმართ და ზაბასტოვკა უჯიათი, რამეთუ არავითარ დათმობაზე თქვენ არ მოდიხართ. ჩაიარა უქმად წირვამან და ღვთის მსახურებამან ჩემმან. წყეულიმცა იყავთ და შთაცვენდით ჯოჯოხეთსა უფსკრულისასა და იყავნთ გაწყვეტილი დაქვრივით წესით. რაღაი არს აწ ჩემი ყოფნაი? როგორ შევადგინო მე ბიუჯეტი ჩემი ამა საოპერაციო წლისაი, რადგანაც იგი ფრიად დეფიციტიანია? არავითარი შემოსავალი არა მოსჩანს და გასავალი კი უამრავია. ამ დეფიციტის დასაფარავად მე თქვენგან არღარა მოველი დოტაციასა მას სანატრელსა, რამეთუ ამის საწინააღმდეგოს მტკიცებს ბოევდენია თქვენი.

რაღაი არს შემდგომად ამისა დაშთომილი ჩემთვის? ან უნდა წარვსწყმდე სულით და დავიხვრიტო თავი ჩემი, ვითარცა რასტრატჩიკმა, ან უნდა გავიხადო ანაფორა და შევიდე კურსებსა ზედა საბუხჰალტერიოსასა ნეტარხსენებულ გვამისა მის ფილოიანისასა, რომ სჩეტოვოდობა მაინც მივიღო“...

ამით თითქოს თავდება დღიური. შეიძლება იყოს სადმე მისი გაგრძელება, მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ შევძელით მისი აღმოჩენა.

ალლარ-ალლარხან.

## „პატიება



— მამაო, კოოპერატივში ვიყიდე ეს ბატი და ამით შეცოდება ხომ არ ჩამიდენია ღვთის წინაშე?

— რა თქმა უნდა, დიდი ცოდვა ჩაგიდენია, მაგრამ ერთ ბატს თუ კიდევ იყიდი და მე მაწირვინებ, ღმერთი გაპატიებს ამ შეცოდებას.



**ტარტაროზის მეგობარს:** შე კაი კაცო, „**სიზმრების ახსნა**“ გცოდნია,—და ეს კი ვერ გაგიგია, რომ ასეთ წერილებს ტარტაროზი არ დაბეჭდავს! საეჭვოა ამნაირი წერილით ტარტაროზის მეგობარი გახდეთ.

თავისთავი რომ საზმარში ნახო,—ეს იმას ნიშნავს რომ: თქვენი წერილი უფსკერო გოდორში წავა.

**სინდიოფალას:** როცა თქვენ ეს წერილი დასწერეთ და გედაიკითხეთ,თუ გაგეცინათ,—ავადმყოფი ყოფილხართ და გირჩევთ დროულად მიმართოთ საავადმყოფოს.

**გ. მთისპირელს** (ასკანა): ეს მხოლოდ შესავალია. წინასიტყვაობა, რომელიც სრულიად ზედმეტია; საგანს შეეხეთ.

**ნილის:** ეს არ გამოგვადგება, გამოგზავნეთ სხვა მასალები უფრო დამუშავებული.

**შიხლისკი ბომბს** (ლანირ-ქუტირი): დაეთხოვეთ მღვდელ-დიაკვნებს; სხვა რამეზე სწერეთ.

**მექიას** (სამტრედია): არ არის დასაძრახი თქვენი „ეპოს“, თუ:

**პაპიროსებს რომ მოიტანს**
**არის ძველი, დახაშმული;**
**მოსწევ ერთსა და იმ წამსვე**
**მუშაობას შესწყვეტს გული.**

ალბად თქვენს „ეპოს“ იმიტომ მოაქვს ასეთი პაპიროსები, რომ თამბაქოს წევას გადაეჩვიოთ.

**დენ-დოულს:** ძალიან გინდათ, რომ თქვენი ლექსი დავბეჭდოთ.

**ამ წერილის დაბეჭდვა**
**ტარტაროზო ინებე...**
**მეგობრები ნახავენ**
**და მე გამილიმებენ.**

და რადგან თქვენ გაინტერესებს ყველაზე უფრო ის რომ,—მეგობრებმა ნახონ თქვენი წერილი დაბეჭდილი, რატომ გავგზავნეთ უფსკერო გოდორში, სადაც ყველაზე მეტ მეგობრებს ნახავს თქვენი წერილი.

**კომსომოლა „ხათაბალას“** (ქუთაისი): იხილეთ ჩვენი პასუხი შიხლინსკი ბომბისადმი.

**სევდიშვილს:** ჩვენ არც სევდის არაფერი გვწამს და არც თქვენი წერილის.

**შურდულს:** თქვენც წაიკითხეთ ჩვენი პასუხი შიხლინსკი ბომბისადმი.

**„შენ ხარ თუ მე“-ს და ყველა მათ, ვინც სწერენ მღვდელ-დიაკვნებზე:** ტარტაროზი ამიერიდან არ შეეხება მღვდელ-დიაკვნებს, რადგან სავსებით მათი მოსპობა საზიანოა; აქა-იქ, როგორც ნაშთი, უნდა იყონ და იარსებონ. ძველის-ძველი ცხოველი მამონტი დღეს არსად აღარ მოიპოვება,—და მეცნიერები იძულებული არიან გათხრები მოახდინონ და მიწის სიღმიდან ამოიღონ მისი ჩონჩხები. ჩვენც რომ ასე არ დაგვემართოს, მთლად არ უნდა მოვსპოთ ესენი.

**გრიგოლ-ოღლის** არ დაიბეჭდება, ერთჯერ უკვე იყო.

**გრ. ბათომელს:** თქვენი ფელეტონი საგაზეთოა; ჟურნალისათვის არ გამოგვადგა. (აკი ამის შესახებ ასეთი ვე წერილი უკვე იყო გაზეთში). მოგვაწოდეთ იუმორისტული მასალები.

**კვინტილას** (ტობანიერი) თქვენს საბჭოზე გვწერთ, რომ:

**ერთი სხდომაც არ ჰქონიათ**
**თვე იქნება ბარემ სამი;**
**ამიტომაც გთხოვ აგემო**
**შენი ჩანგლის მწარე შხამი.**

მოახლოვებულია დღე მათი განკითხვისა—საბჭოების არჩევნები.

**მელა-ტურას** (დუშეთი): გამოგზავნეთ მასალები ადგილობრივ ცხოვრებაზე. მასალა უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე და გარკვეული ხელით. წერილის ბოლოში თქვენი ფსევდონიმი, სახელი და გვარი და მისამართი: წერილების შინაარსს გაეცნობით ჩვენი გაზეთიდან და ჟურნალიდან.

**ვას-მაზს:** აკი იყო ეს წერილი დაბეჭდილი!

**ლილიპუტს:** შე კაი კაცო, თვითონ ლილიპუტი ყოფილხართ და წერილს კი ასე გრძელს სწერთ. თვითონ წერილი რომ ლილიპუტი ყოფილიყო, შესაძლებელია იგი მოგვეთავსებია ჟურნალში.

როდინდელ ამბავს სწერთ? რა დროს ზუზებია ეხლა?

**მინდვრიშვილს** განა ღირს ქაღალდის და შრომის დახარჯვა ამ საქმეზე?

**კობას** (ნაქალაქევი. სენაკის მაზრა): თუ სცენის დარბაზი ინგრევა და აღმასკომის თავმჯდომარემ შეკეთება დაგპირდათ, მაგრამ ვერ ასრულებს, ეს იმიტომ, რომ სახლს

**იატაკი სულ არა აქვს,**
**არ უვარგა სახურავი;**
**სახიკვდილოთ გადახრილან**
**კედლებისა ყველა თავი.**

შე დალოცვილო, თუ სახლს არაფერი არ უვარგა როგორ შეიძლება მისი შეკეთება? ამიტომაც არის რომ თავმჯდომარე „გპირდებათ“. შეკეთება კი არ ჰქვია ამას, არამედ ახალის აშენება.

**„მოლოსას“** მოკლეთ და სხვა საკითხებზე.

**„შირ-ვაზანდეს“.** გვწერთ: **ვგზავნი სურათს თავისი წარწერით.. გთხოვთ დაგვიბეჭდოთ...**

„კუჭუხიძე მიაქროლებდა ეტლს...“

**„საწყალი ილიკო კი დასტიროდა ტრაღიკულად დაღუპულ თავის ცხენს, რომელიც ქიდან შველას თხოულობდა“.**



რატომ არ იწერებით სად მოხდა ეს ამბავი, ვინ არის კუჭუხიძე და ილიკო? წერილში დაწვრილებითი და მკაფიო ცნობა უნდა იყოს იმ ფაქტის შესახებ, რომელზედაც იწერებით წერილს.

**„შეშინებულს“** (ბაღდადი. ქუთაისის მაზრა): ახირებულ ამბავს იწერებით:

**ცოფიანმა ძაღლებმა აიღეს ბაზარი. საყასბოები დაცეტილია. ხალხი ქუჩაში ვერ გამოდის და სახლების სახურავებზე იმალება.**

გეტყობათ ძალიან შეშინებულხართ, და ჩვენ დაგმალავთ საიმედო ალაგას უფსკერო გოდორში.

# „პირდაპირი მიმოსვლა“

— ჩინეთის სახალხო ხრმიის გამარჯვებით დაშფრთხალი ინგლისელები სტოვებენ ჩინეთს და სამშობლოში ბრუნდებიან.
(გაზეთებიდან).



ჩემბერლენი: ვაჰ! შენ აქ საიდან?
ინგლისელი: პირდაპირ ჩინეთიდან; ისეთი პანღური გვკრეს, რომ..

ალმასკომის 1-ლი სტამბა კამოს ქუჩა ქ. 68